ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

შაბათი-კვირა

5 — 6 მარტი, 2011 №54 (5435) ფასი: 30 თეთრი

## რუუდ გულიტი: „თუ მარადონა არ ხარ, კლუბის ინტერესებს ემსახურე“

გვ.10



გვ.16

ასტროპროგნოზი

TV პროგრამა



## ახალგორის მაჟორიტარმა ბინის რემონტში 2 მილიონი გადაიხადა

გვ.5

შალვა ნათელაშვილი მაჟორიტარებს სასახლეებიდან გამოყრით ემუქრება

## მარხვა სულის გადასარჩენად გვჭირდება

გვ.7



მო ღვარს დიდი სიბრ ნე და წინდახედულება მართებს



გვ.4

## ლითონის მილით ლავინის ძვალი გამიტეხეს

დეპუტატ ნადაშვილს ხინკლის მოხვევა მეცხვარეებმა ასწავლეს

## რატომ არ ამართლებს რევოლუციები?

გვ.12



## 21-ე საუკუნეში დიქტატორებს მომავალი არა აქვთ

გვ.3

## 3090

sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.



გვ.8

## თეთრ ცხენზე ამხედრებულ უფლისწულზე არ ვოცნებობ

თაკო აბაში ე ცხოვრელების უფლებებს გორშიც იცავს

## კვირის ქრონიკა











გვ.2

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# თელავის ტელევიზიის დირექტორს დაჭერით ემუქრებიან

თელავის ტელეკომპანია „თანამგზავრის“ დირექტორი, ენრი კობახიძე, შესაძლოა, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცენ. ოპოზიციური ტელევიზიის მფლობელი ციხეში შეიძლება ის ინციდენტის გამო მოხვდეს, რომელიც მას გასული წლის



ნოემბერში შეემთხვა. ინციდენტი თელავის რაიონის სოფელ ფშაველში მოხდა, სადაც კობახიძე ნათესავის ქორწილში იმყოფებოდა.

ამ საკითხთან დაკავშირებით მაშინ მედია აქტიურად წერდა. „თანამგზავრის“ დირექტორის მტკიცებით, ინციდენტი მის საქმიანობას უკავშირდებოდა. ამასვე ამტკიცებდნენ არასამთავრობო ორგანიზაციებიც.

ინციდენტამდე ცოტა ხნით ადრე ტელვიზიით რამდენიმე ჟურნალისტური გამოძიება გავიდა, სადაც კახეთში მომხდარ გახმაურებულ მკვლელობებზე იყო საუბარი. კობახიძე ინციდენტის პროვოცირებას შსს-ს თანამშრომელ გელა ჭვრიტიძეს სდებს ბრალად, რომელიც სპეცრაზმ „ომეგას“ ყოფილი წევრია. „თანამგზავრის“ ხელმძღვანელის განმარტებით, ჭვრიტიძე ვანო მერაბიშვილის ახლობელია.

სპეცრაზმელსა და კობახიძეს უთანხმოება ადრეც მოსვლიათ. კობახიძის თქმით, ყოფილმა ომეგელმა მას ტელევიზიის ერთობლივი მართვა შესთავაზა, უარის მიღების შემდეგ კი აუშარდა. კობახიძე ამტკიცებს, რომ ექს-ომეგელმა მას რამდენჯერმე აუტეხა შარი.

შარიანობა ზემოთ ნახსენებ ქორწილშიც გაგრძელდა. ისე, ამ სოფელში თითქმის ყოველი ქორწილი შარითა და ჩხუბით სრულდება. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, კობახიძე ამ ინციდენტის პროვოცირებაში სპეცრაზმელს ადანაშაულებდა. კახეთის საინფორმაციო ცენტრის ცნობით, საპირისპირო ჩვენებები მისცეს გამოძიებას ინციდენტის თვითმხილველებმა. ისინი დანაშაულის პროვოცირებაში ენრი კობახიძეს ადანაშაულებენ.

პირად საუბარში პოლიციაში ადასტურებენ, რომ საქმეში, ჭვრიტიძის გარდა, კიდევ რამდენიმე პირის ჩვენება დევს, რომლებიც კობახიძის მიერ დანაშაულის პროვოცირებას ადასტურებს.

— პოლიციას უჭირს ენრი კობახიძის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა, თორემ საკმარისი მტკიცებულებები აქვთ მის წინააღმდეგ. ჯერ სკანდალს ერიდებიან, — განუცხადა კახეთის საინფორმაციო ცენტრს საოლქო პროკურატურის ერთერთმა თანამშრომელმა.

საქმესთან დაკავშირებით რეგიონის პროკურატურაში ოფიციალურ კომენტარს არ აკეთებენ. ცნობისათვის, „თანამგზავრი“ კახეთში ერთადერთი ოპოზიციური არხია, სადაც ხშირად გადის ისეთი სიუჟეტები, რომლებიც ხელისუფლებას ანერვიულებს.

შორენა მარსაგიშვილი

# ალასანია ვეტერანებს გამოექომაგა

ქართული ოპოზიციის ერთერთი ლიდერი ირაკლი ალასანია ახალი ინიციატივით გამოვიდა. მისი განცხადებით, ეს ინიციატივა საქართველოს 5 კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას გულისხმობს, რომლის განხორციელების შემთხვევაში, ტერიტორიული მთლიანობისთვის საბრძოლო მოქმედებებში დაინვალიდებული პირველი და მეორე ჯგუფის ვეტერანების სახელმწიფო პენსია გაუტოლდება 129 ლარს, ხოლო მესამე ჯგუფის ინვალიდებისა და მონაწილეებისა — 80 ლარს.

ალასანიას თქმით, ინიციატივები ასევე ითვალისწინებს, რომ მარჩენალდაკარგული ოჯახებისთვის თითოეულ დაკარგულ შვილზე დახმარება გაუტოლდეს 129 ლარს, ასევე — ომის I და II ჯგუფის ინვალიდებისა და მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრთა შვილების სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის საფასურის თანადაფინანსებასა და ვეტერანთა დაკრძალვის სარიტუალო ხარჯებისა და მარჩენალდაკარგულთა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად დაღუპულთა ოჯახის წევრების დაკრძალვის სარიტუალო ხარჯების განსაზღვრას. ინიციატივებში ასევე მითითებულია, რომ სამივე ჯგუფის ინვალიდებმა და ვეტერანებმა პენსია მიიღონ საბიუჯეტო სფეროში დასაქმების შემთხვევაშიც, ხოლო 2011 წლის მაისამდე გაეზარდოთ საყოფაცხოვრებო სუბსიდიები.

გაეროში საქართველოს ყოფილმა ელჩმა ხელისუფლებას ვეტერანების წინააღმდეგ ჩადენილი ცოდვებიც გაუხსენა.

— ყველას კარგად გვახსოვს ვეტერანთა საპროტესტო აქციები და შეურაცხმყოფელი რეაქცია პრეზიდენტის მხრიდან. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, წარმოვადგინოთ ისეთი საკანონმდებლო ინიციატივა, რომელიც პასუხს გასცემს ვეტერანთა პრობლემებს, — თქვა მან.

ალასანია ვეტერანების პრობლემებით ჯერ კიდევ გასული წლის დამლევს დაინტერესდა. ვეტერანებს ის მანამდეც შეხვდა, ვიდრე საპროტესტო აქციას დაიწყებდნენ. ვეტერანებმა მას უთხრეს, რომ შიმშილობის დაწყებას აპირებდნენ. ალასანია დიპლომატიურად შეეცადა მათ გადარწმუნებას.

ყოფილმა ელჩმა ეს ვერ შეძლო. ვეტერანებმა გმირთა მოედანზე შიმშილობის აქცია დაიწყეს, რომელიც ხელისუფლებამ 3 იანვარს დაარბია. ამან ამერიკის ელჩიც კი აღაშფოთა, პრეზიდენტი და ნუგზარ წიკლაური კი ვეტერანებს იქით ადანაშაულებ-



დნენ, მემორიალთან როგორ წამოწექითო.

არადა, ეს მემორიალი მოშიმშილეთა თანამებრძოლების უკვდავსაყოფად არის აღმართული და, თუ ვინმეს აქვს იქ წამოწოლის უფლება, ეს ვეტერანები არიან. ისე, ვიდრე წიკლაური მემორიალთან წამოწოლაზე „დაბროს“ გასცემდა, იქნებ განემარტა, სად იყო იმ დროს, როცა ეს ადამიანები ფაქტიურად შიშველი ხელებით სამშობლოს იცავდნენ.

# სახალხო კრება მშვიდობიანი რევოლუციით იმუქრება

არაბულ სამყაროში მიმდინარე პროცესებმა ჩვენშიც გააღვივა რევოლუციის მოლოდინი. ოპოზიციის ნაწილი დარწმუნებულია, რომ რევოლუცია ჩვენშიც მოხდება, მეორე ნაწილი კი ხელისუფლებას შეცვლას დიალოგისა და არჩევნების გზით უპირებს.



სარევოლუციო განწყობა ქვეყანაში ჯერ არ შეიმჩნევა. რამდენიმე პოლიტიკური ძალა გამუდმებით იმას გაიძახის, რომ რაღაც აუცილებლად მოხდება.

აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე, რომელიც სახალხო კრებასთან თანამშრომლობს, მიიჩნევს, რომ სააკაშვილის შეცვლა მხოლოდ მშვიდობიანი რევოლუციით შეიძლება. ჯაველიძე დარწმუნებულია, რომ სახალხო კრება ამას აუცილებლად გააკეთებს.

— ჩვენ თუ რეალურ პროტესტს გამოვხატავთ, მაშინ ხელისუფლება იძულებული გახდება, წავიდეს, — მიიჩნევს ჯაველიძე.

მისი განცხადებით, მხოლოდ ქუჩაში დგომით შედეგი არ მიიღწევა.

— ჩვენ ამერიკის ყურადღება ვერ მივიქციეთ იმიტომ, რომ მშვიდობიანი პროტესტი გამოვხატეთ. ჩვენც ისევე რომ გამოგვეხატა პროტესტი, როგორც ამას ევროპელები გამოხატავენ, ამერიკა სააკაშვილსაც მოსთხოვდა, წადიო, ისევე, როგორც მუბარაქს მოსთხოვა, — მიიჩნევს ჯაველიძე.

ჩვენში ბევრი შიშობს, რომ სააკაშვილი ხალხის გამოსვლის შემთხვევაში შეიძლება კადაფივით მოიქცეს. ჯაველიძე დარწმუნებულია, რომ სააკაშვილი ამას ვერ გაბედავს.

— როგორც კი ხელისუფლება ხალხს ესვრის, ჩათვალეთ, რომ სააკაშვილი დასრულდება, — მიიჩნევს სახალხო კრების წარმომადგენელი.

# გაჩეჩილაძემ ბაქრაძეს ულტიმატუმი წაუყენა



ლევან გაჩეჩილაძე კარგა ხნის განმავლობაში გაუჩინარებული იყო. მისი მხრიდან კარგა ხანია ხმაურიანი განცხადებები აღარ მოგვისმენია. ამის გამო მის ფანებს გული ძალიან სტკიოდათ.

როგორც ჩანს, დუმილი ლევან გაჩეჩილაძესაც მოსწყინდა და გადაწყვიტა, აქტიურ პოლიტიკაში შემობრუნება ხმაურიანი განცხადებით აღენიშნა. როგორც წესი, გაჩეჩილაძე მიზანში ძირითადად საქართველოს პრეზიდენტს იღებდა. ამჯერად მან თავისი ყურადღების ღირსად დავით ბაქრაძე გახადა, რომელიც, თავის მხრივ, ძალიან დაოსტატდა არასაპარლამენტო ოპოზიციის გაქილიკებაში. საპარლამენტო შედარებით ლმობიერად ეპყრობა და ხანდახან ისინი ნაციონალებად მიაჩნია ხოლმე. სიმართლე თუ გვინდა, საპარლამენტო ოპოზიციასაც ხშირად თავი „ნაცმო“ ჰგონია.

ცოტა ხნის წინ ბაქრაძემ არასაპარლამენტო ოპოზიციასაც შესთავაზა დალაპარაკება. ეს შეთავაზება გაჩეჩილაძემ და მისმა ქართულმა პარტიამ არ მიიღეს. მოგეხსენებათ, რომ ქართული პარტია რაიონულ ორგანიზაციებს აფუძნებს. ხმაურიანი განცხადება გაჩეჩილაძემ პარტიის გლდანის რაიონული ორგანიზაციის დაფუძნებაზე გააკეთა. მან საქართველოს ხელისუფლებას სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრიდან ულტიმატუმი წაუყენა.

— სულ ცოტა ხნის წინ „ქართული პარტია“ ხელისუფლებისთვის სოციალურ და პოლიტიკურ სექტას წარმოადგენდა და არაფრად მიიჩნევდა, მაგრამ, რაც „ქართულმა პარტიამ“ კონფერენციების ჩატარება დაიწყო თბილისსა თუ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, ხელისუფლება უკვე დიალოგზე წასასვლელად მზადაა. ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარე, მეჩანგლე ბაქრაძე, მეცოდება ძალიან. როგორც კი გაიგეს ჩვენი კონფერენციების შესახებ, მაშინვე დაიწყეს პასუხად დიალოგებზე საუბარი, თან ისეთმა ხალხმა, რომ მათთვის ეს მუხლების კანკალს ნიშნავს. ჩვენ ერთი თვის წინ ვიყავით მათთვის მიუღებელი სოციალური და პოლიტიკური სექტა. დღეს უცებ კანკალით დიალოგის ხელია გამოშვერილი. ეს არის ამ გაზაფხულზე დამდგარი ჩვენი პირველი გამარჯვება, — განაცხადა ლევან გაჩეჩილაძემ.

ლევან გაჩეჩილაძემ პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს მოუწოდა, თანაგუნდელებთან ერთად მის მხარეს გადავიდეს და ყველაფერი უსისხლოდ დასრულდება.

გარდა ამისა, ლევან გაჩეჩილაძემ ხელისუფლებას 2-პუნქტიანი ულტიმატუმი წაუყენა.

— ჩვენი ულტიმატუმია საქართველო სააკაშვილისა და მისი კრიმინალური ბანდის გარეშე. ბაქრაძის თამადობით მოვუწოდებთ ყველას, გადმოვიდნენ ჩვენთან და, მერწმუნეთ, ყველაფერი უსისხლოდ დამთავრდება. და მეორე: დარწმუნებული ვარ, ქართველი ხალხი მალე იტყვის — „საქართველო ნაციონალური მოძრაობის გარეშე. ცნობილი შიზოფრენიკი ცოტა ხნის წინ აცხადებდა, რომ ჩვენ გვინდოდა ჯიგრით მოსვლა ხელისუფლებაში. დიახ, ჯიგარი გულს ნიშნავს და ჩვენ მალე გულით გავალთ ქუჩაში და გულით შევცლით ამ ხელისუფლებას, — განაცხადა მან.

გაჩეჩილაძის ულტიმატუმის ნაციონალებს არ შეშინებიათ, ყოველ შემთხვევაში, არაფერს იმჩნევენ, თან იცინიან, ამ გაჩეჩილაძემ ჯიგარი ვერ მოიშალაო.

# კლინტონის უწყება საქართველო-ირანის ურთიერთობით შეფიქრიანებულია

საქართველოს ხელისუფლება საეჭვოდ და მოულოდნელად ჩაეხუტა ირანს. მავანმა სთქვა, ეს ხელისუფლებამ ამერიკის გასაღიზიანებლად გააკეთაო. დასამალი არ არის, რომ ბუშის წასვლის შემდეგ სააკაშვილი ვაშინგტონში მიღებული აღარ არის. ჰოდა, ცხელ გულზე ჩვენმა პრეზიდენტმა ირანთან ჩახუტება გადაწყვიტა.

ხანმოკლე მოლაპარაკებების შემდეგ გადაწყდა, რომ საქართველოსა და ირანს შორის უვიზო მიმოსვლა დაიწყებოდა. ექსპერტებმა მაშინვე თქვეს, რომ ეს ამბავი ამერიკას დიდად არ მოეწონებოდა. ამერიკა რეაქციას აგვიანებდა. ამ კვირაში რეაქციის მომლოდინეთა ოცნება ახდა. ჰილარი კლინტონის უწყებამ ნარკოტიკებთან დაკავშირებით ყოველწლიური ანგარიში გამოაქვეყნა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი ეჭვობს, რომ საქართველოსა და ირანს შორის გაფორმებული უვიზო რეჟიმის შესახებ ხელშეკრულებით ახალი ნარკოტრაფიკი (ირანისა და საქართველოს გავლით) გაჩნდება.

— თუ ირანიდან საქართველოში შესული ადამიანების კონტროლი სათანადოდ არ მიმდინარეობს, ამან შეიძლება საქართველოს ტერიტორიაზე ირანიდან დამატებით ნარკოტიკების შედინება გამოიწვიოს. ავღანეთში წარმოებული ნარკოტიკული



საშუალებების 40 პროცენტი მსოფლიოში ირანის გავლით ვრცელდება. ამიტომ საქართველოსა და ირანს შორის გაფორმებული უვიზო რეჟიმის გამო, შესაძლოა, ნარკოდილერებმა ნარკოტიკების გავრცელებისათვის ახალი გზის, საქართველოს გამოყენება სცადონ, — ნათქვამია აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშში.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი საქართველოს ეროვნული ნარკოკონტროლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებისაკენ მოუწოდებს. ანგარიშში ნათქვამია, რომ საქართველოში ამ მიმართულებით რეფორმაა განსახორციელებელი.

ანგარიშის მიხედვით, საქართველოში შესაბამისი სტრატეგია ჯერ კიდევ 2007 წელს ქვეყნის პარლამენტის მიერაა მიღებული და მასში მხოლოდ ძირითადი პრიორიტეტებია ასახული, რაც ნარკოკონტოლისათვის საკმარისი არ არის.

— ეროვნული ნარკოკონტროლის სტრატეგია და ინტეგრირებული სამოქმედო გეგმა იქნება ლოგიკური და ეფექტური პირველი ნაბიჯი. ამისათვის კი საჭიროა ნარკოსაკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებსა და სააგენტოებს შორის მეტი კოორდინაცია. აშშ-ის მთავრობა ამ საკითხზე მომავალშიც გააგრძელებს საქართველოს ტექნიკური და რეკომენდაციული ხასიათის მხარდაჭერას, — ნათქვამია ყოველწლიურ ანგარიშში.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

## სერგეი ბაღაფშმა ვიცე-პრემიერი დაითხოვა



ოკუპირებული აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის ლიდერმა სერგეი ბაღაფშმა დე-ფაქტო მთავრობის ე.წ ვიცე-პრემიერი დაურ თარბა თანამდებობიდან დაითხოვა.

როგორც სააგენტო „აპსნი პრესი" იუწყება, ბაღაფშმა დეფაქტო ვიცე-პრემიერი , მისივე განცხადების საფუძველზე გაათავისუფლა, თუმცა თარბა ამ გადაწყვეტილების მიზეზის დაკონკრეტებისგან თავს იკავებს.

პარტია „ედინაია აბხაზიას" თავმჯდომარე დაურ თარბა დე ფაქტო მთავრობაში აფხაზური ენის, მეცნიერების, ეკონომიკის, კურორტების, ტურიზმის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ეკოლოგიისა და რეპატრიაციის საკითხებს კურირებდა.

**მედიანიუსი**



## კოკოითი ახალი ავტომაგისტრალების აშენებას აპირებს

სამხრეთ ოსეთის მარიონეტული რეჟიმი საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის 3 მლრდ 327 მილიონი რუბლის დახარჯვას აპირებს, — იუწყება საინფორმაციო სააგენტო „რესი". წყაროს ცნობით, შესაბამისი განცხადება მარიონეტული რეჟიმის პრეზიდენტის პრესსამსახურის უფროსმა ვიაჩესლავ სედოვმა გააკეთა. მისი თქმით, ლაპარაკია რვა ავტომაგისტრალის მშენებლობაზე; ესენია: ცხინვალი-ახალგორი, ცხინვალი-ზნაური, ოტრევი-არცევი, გრომი-წინაგარა, გუფთა-კვაისა, მონასტერი-ახმაჯი, ახმაჯი-ლენინგორი და სინაგური-ქარზმანი.

— სახელმწიფო დამკვეთი სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის კაპიტალური, საგზაო მშენებლობისა და არქიტექტურის სამინისტროა. ამასთან, მშენებლებს მშენებლობის ხარისხსა და ვადებზე მკაცრი მოთხოვნები წაუყენეს, — აღნიშნა ვიაჩესლავ სედოვმა და დასძინა, რომ გზების მშენებლობა 2012 წლისათვის დასრულდება. ე.წ.სამხრეთ ოსეთის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის საინვესტიციო პროგრამის განსახორციელებლად რუსეთმა მიმდინარე წელს 6 მილიარდ 810 მილიონი რუბლი გამოყო.

**მედიანიუსი**

## ძიძიგური „ეროვნული საბჭოდან" კუკავას წასვლაში ტრაგედიას ვერ ხედავს



„ეროვნული საბჭოდან" კახა კუკავას წასვლის შესახებ „კონსერვატიული პარტიის" ლიდერი ზვიად ძიძიგური პირველ კომენტარს აკეთებს.

როგორც ძიძიგურმა „ინტერპრესნიუსს" განუცხადა, კუკავამ გადაწყვიტა ცალკე პარტია შეექმნა, რათა პოლიტიკურ სარბიელზე ძალები დამოუკიდებლად მოსინჯოს.

— ვიცით, რომ ნიჭიერი კაცია და წარმატებები მინდა ვუსურვო, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ დაწყებულია პარტიათა გადაჯგუფებების დიდი პროცესი, რომელიც იყოფა „რევოლუციონერებად" და „არჩევნებისტებად", ამ დაჯგუფებაში ჩვენ მოგვიწევს თანამშრომლობაც და კოორდინაციას; ამიტომ არ მიმაჩნია, რომ რაიმე ისეთი ხდება, რომელიც შეშფოთების საფუძველს აძლევდეს ჩვენს გულშემატკივრებს, ან საქართველოში პოლიტიკით დაინტერესებულ ადამიანებს, — აღნიშნა მან და დასძინა, რომ სხვა ჩანაფიქრი იყო, მაგრამ პოლიტიკაში ხშირად ხდება მოვლენების სხვაგვარად განვითარება, რაშიც ტრაგედიას ვერ ხედავს.

რაც შეეხება „ეროვნულ საბჭოს", ძიძიგურის მტკიცებით, საბჭო არ დაიშლება. მისივე ცნობით, „ეროვნული საბჭო" საორგანიზაციო სამუშაოებს დაწყებას აპირებს.

პოლიტიკური პარტია „თავისუფალი საქართველო" „ეროვნულ საბჭოს" გამოეყო. როგორც „ინტერპრესნიუსს" „თავისუფალი საქართველოს" ლიდერმა კახა კუკავამ განუცხადა, გადაწყვეტილება „ეროვნულ საბჭოში" შემავალი პარტიების თხოვნის საფუძველზე მიიღეს. კუკავას თქმით, „ეროვნული საბჭოსთვის" მიუღებელი აღმოჩნდა „თავისუფალი საქართველოს", როგორც პარტიული ორგანიზაციის არსებობა. თავიდან „თავისუფალი საქართველო" არასამთავრობო ორგანიზაციად დაფუძნდა.

— როგორც პოლიტიკური პარტია, „თავისუფალი საქართველო" ბოლო თვეებია, ძალიან აქტიურად და წარმატებით ფუნქციონირებს. დამოუკიდებლად ვახორციელებთ ბევრ სხვადასხვა პროექტს, მათ შორის იყო სამარშრუტო ტაქსების გაფიცვის მასობრივი აქცია, რომელიც უპრეცედენტო იყო ბოლო წლების განმავლობაში. დაგეგმილი გვაქვს ახალი აქციები და სხვა ტიპის პოლიტიკური ღონისძიებები. ჩვენი მიღწევა იყო, ასევე, სტრასბურგში ვიზიტი. პარტია ახალგაზრდულია, ახალი კადრებით დაკომპლექტებული. ბევრი სიახლე აქვს დაგეგმილი, — განაცხადა კუკავამ.

ამ დროისთვის „ეროვნულ საბჭოში" „კონსერვატიული პარტია" და „ხალხის პარტია" რჩებიან.

**ინტერპრესნიუსი**

# 21-ე საუკუნეში დიქტატორებს მომავალი არა აქვთ

*ნათია ხურცილავა*

### ინტერვიუ სამხედრო ექსპერტ ირაკლი სესიაშვილთან

***— ბატონო ირაკლი, ახლო აღმოსავლეთში განვითარებულ მოვლენებს დომინოს ეფექტი აქვს. სომხეთშიც გაიმართა ოპოზიციური შეკრება. ოპოზიციის ნაწილი ამბობს, რომ ეს პროცესი საქართველოშიც გადმოინაცვლებს. როგორია თქვენი შეფასება?***

— არაბულ სამყაროში განვითარებულმა მოვლენებმა რომ მსოფლიოში ახალ დემოკრატიულ ტალღას ბიძგი მისცა, უდავოა. შტეფან ფულემ ევროპარლამენტის ტრიბუნიდან გააკეთა ევროპარლამენტის, უფრო ზუსტად, თვითკრიტიკული განცხადება. მან თქვა, რომ ადამიანებს ხოცავენ იმ ღირებულებებისთვის, რომლისთვისაც ისინი არსებობენ. ფულემ გააკეთა მოწოდება, რომ მათ მხარი უნდა დაუჭირონ დემონსტრანტებს და არა დიქტატორ ხელისუფლებებს, რომლებთანაც რიგ შემთხვევებშიც ისინი თანამშრომლობდნენ. ეს, შეიძლება ითქვას, ერთგვარი აღიარება და ბოდიში იყო. მსოფლიოში შექმნილმა რთულმა პოლიტიკურმა მდგომარეობამ, ეკონომიკურმა კრიზისმა სრულიად ბუნებრივად გამოიწვია ახალი ტალღა, რაც თავისთავად მაპროვოცირებელია პოლიტიკური ლიდერებისთვის, რომ მათ ახალი სტრატეგია შეიმუშავონ ზოგადად მსოფლიოში განვითარებულ მოვლენებთან მიმართებით. დასავლეთი ხვდება, რომ სტაბილურობა დიქტატურის პირობებში არ არის საკმარისი იმისთვის, რომ მათ ღიად ითანამშრომლონ ამ ქვეყნებთან თუნდაც იმისთვის, რომ ენერგორესურსები მიიღონ. ამიტომ დასავლეთი ღიად მიდის იმ დასკვნამდე, რომ აუცილებელია ჯერ დემოკრატია, დემოკრატიული პრინციპები და შემდეგ თანამშრომლობა და პარტნიორობა.

***— რამდენად ადეკვატურია ევროპა, ამერიკის შეერთებული შტატები შექმნილ სიტუაციაში?***

— ევროპაც და შეერთებული შტატებიც აქამდე ცდილობდნენ, ბალანსი მიეღწიათ პარტნიორობას, ინტერესებსა და დემოკრატია-არადემოკრატიას შორის. შეიძლება თანამშრომლობდნენ გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე, შეიძლება — სხვა ინტერესებიდან გამომდინარე. რიგ შემთხვევაში აწონილ-დაწონილ პოზიციებს აფიქსირებდნენ ამ ქვეყნებში არსებულ დემოკრატიის ხარისხთან მიმართებით.

***— თვალს ხუჭავდნენ...***

— დიახ, მეტიც, ამბობდნენ, რომ არ არის სიჩქარე საჭირო. იმედს გამოთქვამდნენ, რომ დემოკრატიული ფასეულობები ეტაპობრივად გაძლიერდებოდა. ასეთი დამოკიდებულება ჰქონდათ და აქვთ კიდეც საქართველოსთან მიმართებითაც. ბოლოს ბრიუსელში რომ ვიყავი, მაღალი თანამდებობის პირს შევხვდი და ვნახე, თავს როგორ იმართლებდნენ. ისინი მეუბნებოდნენ, რომ პროცესი მიმდინარეობს და ამ პროცესში, იმედი გვაქვს, საქართველო დემოკრატიული ქვეყანა გახდებაო, მაგრამ დღეს ცხადია, ევროპელები და ამერიკელები ხვდებიან, რომ ეს პროცესი ვერ მისდევს საზოგადოების მოთხოვნას. საზოგადოება გაცილებით მეტ დემოკრატიას, მეტ თავისუფლებას ითხოვს, ვიდრე ამ ტიპის ხელისუფლებებს შეუძლიათ მისცენ ხალხს. ამ შემთხვევაში ასეთი საზოგადოება ნაპერწკალს ელოდება. ნაპერწკალი, შეიძლება ითქვას, არაბულ სამყაროში განვითარებული მოვლენები გახდა.

***— საქართველოში რამდენად ჰპოვებს ეს ასახვას?***

— ამ მხრივ საქართველოში საკმაოდ რთული ვითარებაა იმდენად, რამდენადაც საზოგადოებას, ოპოზიციურ პოლიტიკურ ძალებს არ მიეცათ საკუთარი პოლიტიკური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საშუალება კანონიერი გზით. არჩევნები ყალბდებოდა, ტელემედია ოკუპირებულია, ხელისუფლება მთლიანად, ასი პროცენტით ფლობს ძალაუფლებას, ანუ ძალაუფლების გადანაწილება, როგორც დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, არ არის უზრუნველყოფილი. ამიტომ ბუნებრივად მიდის ეს პროცესი კულმინაციამდე. ოპოზიცია სამართლიანად ეცადა, არჩევნების გზით რამდენჯერმე პატარა ძვრა მაინც მომხდარიყო ქვეყნის პოლიტიკურ მმართველობაში, მაგრამ ეს მიუღწეველი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, ჩვენი ხელისუფლება ორიენტირებული იყო და რჩება მხოლოდ ასპროცენტიანი ძალაუფლების შენარჩუნებაზე. ამიტომ ბუნებრივად მიდის ყველაფერი რევოლუციამდე, მით უმეტეს, როდესაც დასავლეთიც ღიად გამოხატავს მხარდაჭერას ასეთი პროცესების მიმართ. შეერთებულმა შტატებმა არ დააყოვნა არაბულ სამყაროში განვითარებულ მოვლენებთან მიმართებით და მაშინვე დიალოგისკენ მოუწოდა სამოქალაქო სექტორთან ხელისუფლებას. თუ ხელისუფლება დღესვე არ დაიწყებს თავად რევოლუციას, დემოკრატიულ რევოლუციას ხელისუფლებაში, მერწმუნეთ, რევოლუცია გარდაუვალია. ხელისუფლება თუ რეალურად არ გადადგმას დემოკრატიისკენ ნაბიჯებს,



რევოლუცია, ვიმეორებ, გარდაუვალია. არ გამოვრიცხავ, რომ სომხეთში, აზეირბაიჯანსა და საქართველოში რევოლუციური მოვლენები ერთდროულად დაიწყოს. ყველა ელოდება ამინდს, რომ ამინდთან ერთად ხელისუფლების მხრიდან ერთი არასწორი ქმედება, რომელზეც შეიძლება ერთი წლის წინ არავის რეაგირება არ მოეხდინა, დღეს ნაპერწკალი გახდეს.

***— აცნობიერებს ხელისუფლება, რომ ოპოზიცია რაღაცის მოლოდინშია?***

— ამას ხედავს ხელისუფლება, მაგრამ ახალგაზრდა ხელისუფალს მუდმივად აქვს იმის განცდა, რომ ასეთ კრიზისებს დაძლევს და გამარჯვებული გამოვა, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ მათ აქვთ ამის გამოცდილება, მაგრამ ახლა უკვე სხვა რეალობაა. როგორც იტყვიან, „კოკა წყალს ყოველთვის ვერ მოიტანს". ყველაზე მეტად იმის მეშინია, რომ ახალგაზრდა ხელისუფალს არა აქვს იმდენი სიბრძნე და კაცთმოყვარეობა, საჭიროების შემთხვევაში უარი თქვას ძალისმიერ გზებზე.

***— ექსპერტები ამბობენ, რომ თუ მოვლენები ასე განვითარდა, შეიძლება ეს არ იყოს მორიგი უმსხვერპლო რევოლუცია...***

— ეს ყველაფერი ამ ქვეყანაში მცხოვრებ გონიერ საზოგადოებაზეა დამოკიდებული. ჩვენ განსაკუთრებული გონიერებით ვცდილობთ ყოველთვის ასეთი შიდა დაპირისპირების გადაწყვეტას. სამოქალაქო ომი მხოლოდ ერთ ქუჩაზე იყო. გავიხსენოთ, რომ „ვარდების რევოლუცია" მართლაც უსისხლოდ მოხდა. იმედი მაქვს, ამ შემთხვევაში თუ ასეთი მოვლენების წინაშე აღმოვჩნდით, ყველას ეყოფა გონიერება. 21-ე საუკუნეში არც ერთ დიქტატურას შანსი არა აქვს. ეს ყველამ უნდა გააცნობიეროს. ახალი რევოლუციური ტალღა ბუნებრივად წარმოიქმნა და არა ხელოვნურად. ეს ტალღა აუცილებლად გადაედება ჩრდილოეთ კორეას, ჩინეთსა და რუსეთს. თუ აქამდე არანაირი განცდა არ მქონდა, რომ რუსეთში რამე შეიცვლებოდა, ახლა, დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან დემოკრატიული პროცესი წავა იქ და შეიძლება ჩვენც გვეშველოს ჩვენი პრობლემების მოგვარების კუთხით.

## ნოღაიდელი გამოსაშვები გამოცდების წინააღმდეგ



ზურაბ ნოღაიდელის მოძრაობა „სამართლიანი საქართველო" სკოლის გამოსაშვებ გამოცდებსა და სკოლის ბრენდირების წესის შემოღებას ბავშვთა უფლებების კონვენციის და ასევე, მასწავლებელთა და მშობელთა უფლებების უხეშ დარღვევად აფასებს.

როგორც პარასკევს პარტიის განათლების კომისიის ხელმძღვანელმა მანანა ნიკოლაიშვილმა განაცხადა, უკანონობაა ის, რომ ჯერ კიდევ არ არსებობს გამოცდების ჩატარების წესი და პირობები, რომლითაც განისაზღვრება მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ტესტების მაქსიმალური რაოდენობა. ასევე, დღემდე არაა განმარტებული და დაკანონებული გასული წლის ექსტერნების, გამოცდაზე ჩაჭრილი მოსწავლეებისა და ბრენდირების შედეგად უმაღლესი შეფასების მქონე, ზოგადი საგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეების გამოსაშვები გამოცდებიდან გათავისუფლების საკითხი.

მოძრაობა „სამართლიანი საქართველო" ხელისუფლებას მოუწოდებს, რათა გამოცდებზე გამსვლელი ქულა იყოს დაბალი, გამოცდები ჩატარდეს ივლისის თვეში, მოსწავლეთა ჩაჭრის შემთხვევაში არ დაისვას სკოლის დირექტორისა და პედაგოგის პასუხისმგებლობა. ბავშვს მიეცეს ერთი თვე გამოცდების გადაბარებისთვის. მოსწავლეთა პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით დაინიშნოს კლასიდან კლასში (მეხუთედან მეთორმეტე კლასის ჩათვლით) სავალდებულო გამოცდები.

**მედიანიუსი**

## ოზურგეთში მძარცველები დააკავეს

სამართალდამცველებმა ოზურგეთში ევროპელი მოხალისეების სახლის მძარცველები დააკავეს, — იუწყება „რუსთავი 2".

დაკავებულებმა რამდენიმე დღის წინ ინგლისური ენის პედაგოგის კამილა სიროტინასა და კინომატოგრაფისტი დიანა ზადორნას ბინიდან ორი ნოუთბუკი, ორი ციფრული ფოტოაპარატი, 400 ევრო, ჩეხური სასმელები და სხვა წვრილმანი ნივთები მოიპარეს.

ორივე დაზარალებული არასამთავრობო ორგანიზაცია "სტუდენტურ-ახალგაზრდული სათათბიროს" წარმომადგენელია.

დიანა ზადორნა გურიაზე დოკუმენტურ ფილმს იღებს, ხოლო კამილა სიროტინა ოზურგეთის სკოლაში ინგლისურ ენასა და ხელოვნებას ასწავლის.

მძარცველთა დაკავების შესახებ შს სამინისტროს ოფიციალური ინფორმაცია ჯერ არ გაუვრცელებია.

**მედიანიუსი**

## ხათუნა კალმახელიძემ ყირგიზეთის დელეგაცია მიიღო



სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა, ხათუნა კალმახელიძემ ყირგიზეთის რესპუბლიკის დელეგაცია მიიღო.

როგორც „ინტერპრესნიუსს" სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროდან აცნობეს, მაღალი რანგის ექვსკაციანი დელეგაცია, რომელსაც ყირგიზეთის ვიცე პრემიერი, შამილ ატახანოვი ხელმძღვანელობს, საქართველოს პენიტენციურ სისტემაში განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებს, გამოცდილების გაზიარების მიზნით ადგილზე გაეცნო.

მინისტრის თქმით, შეხვედრაზე ასევე განიხილებოდა სხვადასხვა საკითხები, რაშიც საქართველომ წარმატებას მიაღწია, მათ შორის კორუფციასთან, კრიმინალთან და ე.წ. ქურდულ სამყაროსთან ბრძოლის მიმართულებით.

თავის მხრივ, ყირგიზეთის ვიცე-პრემიერმა, რომელიც რესპუბლიკაში სასჯელაღსრულების სფეროს, კრიმინალთან და კორუფციასთან ბრძოლის საკითხებს კურირებს, განაცხადა, რომ ყირგიზეთის დემოკრატიული განვითარების პროცესში საქართველოს გამოცდილების გაზიარება მნიშვნელოვანია.

ვიზიტისას, სტუმრებმა სასჯელაღსრულების 8 დაწესებულებაც დაათვალიერეს.

საქართველოს პენიტენციურ სისტემაში არსებული სიახლეების გაცნობის მიზნით, რამდენიმე თვის წინ, თბილისში ყირგიზეთის სასჯელაღსრულების სახელმწიფო სამსახურის დელეგაციაც იმყოფებოდა.

**ინტერპრესნიუსი**

# ლითონის მილით ლავინის ძვალი გამიტეხეს

## დეპუტატ ნადაშვილს ხინკლის მოხვევა მეცხვარეებმა ასწავლეს

ნანა მიშელაშვილი

**რუსთავის მაჟორიტარი დეპუტატი დავით ნადაშვილი ამბობს, რომ ღვინის დაყენება საკმაოდ კარგად ეხერხება და კარგი და ცუდი ღვინის გამოცნობა მარტივად შეუ ლია.**

დავით ნადაშვილი ამბობს, რომ თამადობა მაინცდამაინც არ უყვარს და თამადობას სხვისი მოსმენა ურჩევნია.

რატომ გაიტეხა ლავიწის ძვალი, რატომ დაიწვა სახე და რა ააფეთქა ბავშვობაში?

**„ახალი თაობა“ დავით ნადაშვილს ესაუბრა.**

***— საიდან ხართ ნადაშვილები და როგორია თქვენი გვარის ისტორია?***

— ნადაშვილები კახელები ვართ. საკმაოდ დიდი გვარია, ცხოვრობენ სიღნაღში.

***— საგვარეულო შეკრებები გაქვთ?***

— ნათესაური შეკრებები გვაქვს.

***— სკოლა სად დაამთავრეთ?***

— რუსთავში დავიბადე, რუსთავში გავიზარდე და დავამთავრე სკოლა.

***— ე.ი. ძირძველი რუსთაველი ხართ?***

— კი, ახლაც რუსთავში ვცხოვრობ და მეამაყება, რომ რუსთაველი ვარ.

***— როგორი ბავშვი იყავით, ცელქი თუ ზომიერი?***

— ზომიერი არ ვიყავი, ცელქი ვიყავი.

***— ეს რით გამოიხატებოდა?***

— დისციპლინაში ცოტა მოვიკოჭლებდი, ვერ მაკავებდნენ.

***— ხმაურიანი ბავშვი იყავით?***

— კი.

***— მასწავლებელს ხშირად აბრაზებდით ან რაღაცას „უჩალიჩებდით“?***

— ეგეთი რაღაცებიც იყო, ოღონდ, ბევრი — არა.

***— მაგალითად, რა ხერხს მიმართავდით?***

— შუა გაკვეთილიდან ჩუმად ისე გაპარვა, რომ მასწავლებელს არ დაენახა.

***— მერე, მასწავლებელი ამას ვერ იგებდა?***

— ზოგი იგებდა, ზოგი — ვერა, თუმცა, უფროს ასაკში მასწავლებლებთან ვმეგობრობდით და ზოგიერთ მასწავლებელთან ახლაც ურთიერთობა მაქვს.

***— რომელი საგანი არ გიყვარდათ?***

— პრაქტიკულად, ისეთი საგანი არ ყოფილა, რომ არ მყვარებოდა.

***— ტექნიკური საგნები გიყვარდათ?***

— კი.

***— „შპარგალკა“ თუ გამოგიყენებიათ?***

— კი, ასეთი ფაქტები ქართულში იყო.

***— ალბათ, საზეპიროებში...***

— კი, ილია ჭავჭავაძის საზეპიროებში „შპარგალკა“ გამომიყენებია.

***— ორიანი რომელ საგანში გაქვთ მიღებული?***

— ქართულ წერაში.

***— შემდეგ, მარტივად გამოასწორეთ?***

— რა თქმა უნდა.

***— მასწავლებელს კლასიდან გაუგდიხართ?***

— არა.

***— „შატალოზე“ ძირითადად სად მიდიოდით?***

— როდესაც თოვლი იყო, მთებზე მივდიოდით, ძველ რუსთავში კარგი პარკი გვქონდა და იქ მივდიოდით, ასევე — სტადიონზე.

***— „შატალოზე“ თბილისშიც ხომ არ ჩამოდიოდით?***

— არა. თბილისში ჩამოვედით, სკოლა როდესაც დავამთავრეთ, მაშინ, ასეთი ტრადიცია იყო — მცხეთაში გასეირნება. ოთხი გოგონა და ორი ბიჭი ვიყავით წამოსული. მაშინ მილიცია იყო და სალობიესთან დაგვიჭირა. სალობიეში შესვლა არ გვაცალეს.

***— ბავშვობაში ჩხუბის დროს სერიოზული დაზიანება გაქვთ მიღებული?***

— არა.

***— თავგატეხილი ან ხელმოტეხილი თუ ყოფილხართ?***

— არა. ერთადერთი, ბავშვობაში ვჩხუბობდით, მოვერიე და მოწინააღმდეგემ ლითონის მილი მომიქნია, ლავიწის ძვალი გამიტეხა და 6 თვე შეკრული მქონდა.

***— თქვენი კლასელი იყო, ვინც ლითონის მილი მოგარტყათ?***

— არა, სხვა უბნელი იყო.

***— ამ 6 თვის მანძილზე სკოლაში დადიოდით?***

— რა თქმა უნდა.

***— ფეხი არა გაქვთ მოტეხილი?***

— არა, მაგრამ მენისკის პრობლემები მაწუხებდა, მეათე კლასში 6 თვე ყავარჯნებით მომიწია სიარული.

***— სპორტით რომელი კლასიდან იყავით დაკავებული?***



— მესამე კლასიდან კალათბურთს ვთამაშობდი.

***— როგორი მოთამაშე იყავით?***

— საქართველოს ნაკრებში ვიყავი წლების განმავლობაში.

***— ძველ კალათბურთელებს ვარჯიშის მიმართ ნოსტალგია აქვთ. თქვენც ასე ხართ?***

— კი, ნოსტალგია მაქვს. ახლა ნაკლებად ვვარჯიშობ, ძველ კალათბურთელებთან ერთად მიყვარს თამაში. ბავშვობაში შეკრებების დროს ზაფხულში სოხუმში მივყავდით. ახლაც მახსოვს სოხუმის ქუჩები. ერთი თვე ვიყავით ხოლმე სოხუმში.

***— იქაურ კალათბურთელებთან როგორი ურთიერთობა გქონდათ?***

— ნორმალური, ძალიან მეგობრულად ვიყავით.

***— ერთობლივი თამაშები გქონდათ?***

— კი, სოხუმს თავისი გუნდი ჰყავდა და მას ვეთამაშებოდით.

***— ამ „ზბორების“ დროს ბავშვები ერთმანეთს ხშირად „პასტავდნენ“ ან რაღაცას ცუღლუტობდნენ. მსგავს ფაქტებს ადგილი ჰქონდა?***

— კი, ეგ ძირითადად ბათუმში ხდებოდა. ყველა ერთად როდესაც ვიყავით, თამაშის გარდა, გართობაზეც გვეჭირა თვალი.

***— გოგონას გამო გიჩხუბიათ?***

— რა თქმა უნდა.

***— მერე, გალახული თქვენ უფრო მეტჯერ ყოფილხართ თუ სხვა გაგილახავთ?***

— სამწუხაროდ, ვერეოდი... რა ვიცი, ვცელქობდით, ხან რაღაცას ვაფეთქებდით.

***— რას აფეთქებდით?***

— „ვზრივ პაკეტს“. მაშინ არ იყო ისეთი შუშხუნები, როგორიც ახლა იყიდება.

***— ეს თვითნაკეთი იყო?***

— კი, ძირითადად თვითნაკეთი იყო. ერთხელ სახეც დავიწვი.

***— მაშინ დიდი იყავით?***

— კი, მაღალ კლასში ვიყავი. მე და ჩემმა მეზობელმა დათო კუპრეიშვილმა ავაფეთქეთ „ვზრივჩატკა“ და დავიწვით.

***— სერიოზული დამწვრობა გქონდათ?***

— კი.

***— რაც შეეხება ჩხუბს, საკუთარი შეყვარებულის გამო ჩხუბობდით თუ მეგობრის შეყვარებულის გამო?***

— მეგობრის შეყვარებულის გამო ვჩხუბობდი. ფიზიკურად დიდი ვიყავი და დახმარების მიზნით მე მეძახდნენ.

***— მერე, თქვენი თავი გალახული არასდროს გახსოვთ?***

— არა, არ მახსოვს.

***— თუ არ ამბობთ?***

— არ მახსოვს და როგორ ვთქვა? ნამდვილად არ გავლახულვარ.

***— რა პროფესიის ბრძანდებით?***

— ეკონომისტი ვარ.

***— ვინ გირჩიათ ეს პროფესია, მშობლებმა თუ თქვენი გადაწყვეტილება იყო?***

— საკუთარი სურვილით ჩავაბარე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი დავამთავრე.

***— სტუდენტობის პერიოდში საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჩასვლა თუ გიხდებოდათ?***

— დიახ.

***— ძირითადად სად მიდიოდით?***

— სხვადასხვა კუთხიდან მყავდა ჯგუფელები და მათ ხშირად ვსტუმრობდით. ერთი კარგი მეგობარი მყავდა, რომელიც მარტო ცხოვრობდა თბილისში, მეიდანზე. მას მშობლები არა ჰყავდა, მარტო ცხოვრობდა, მასთან ვატარებდით ჯგუფელები დიდ დროს. იტალიურ ეზოში ჰქონდა ბინა, მე რუსთავიდან დავდიოდი და ხშირად მასთან ვრჩებოდი.

***— თქვენზე გავიგე, რომ კარგი თამადა ხართ...***

— არ ვიცი. მე, უბრალოდ, მოსმენა უფრო მიყვარს, ვიდრე თამადობა.

***— სანამ არ დაგაძალებენ, თამადად არ დგებით?***

— ასეა.

***— მკაცრი თამადა ხართ?***

— არა, არა.

***— სუფრიდან ვინმე გაგიძევებიათ?***

— არა, ეგ არ შეიძლება.

***— სასმელებიდან რომელ სასმელს ანიჭებთ უპირატესობას?***

— ქართულ ღვინოს.

***— თავად შეგიძლიათ ღვინის დაყენება?***

— კი, მეშვიდე კლასიდან ვწურავ ღვინოს.

***— კახეთში ვენახი გაქვთ?***

— არა, ძირითადად ვყიდულობ და იმას ვწურავ.

***— კარგი და ცუდი ღვინის გამოცნობა მარტივად შეგიძლიათ?***

— რა თქმა უნდა. კახური და ჩინური ღვინო მომწონს. ჩინურს გორულსაც ეძახიან, ეს ყურძენი გორში, დუშეთის რაიონში მოდის. ასევე ვწურავ რქაწითელს.

***— როგორი კულინარი ხართ, შეგიძლიათ სადილის მომზადება?***

— შემიძლია.

***— რისი გაკეთება შეგიძლიათ?***

— აბსოლუტურად ყველაფრის.

***— ცომეულისაც?***

— რა თქმა უნდა.

***— ვინ გასწავლათ?***

— იძულებული ვიყავი, სადილების მომზადება მესწავლა. სამუშაოდ წავედით სოფელ ოკამში. რამდენიმე თვე კარავში ვცხოვრობდით. იქ დამხმარე არავინ გვყავდა და საკუთარ თავზე თავად ვზრუნავდით. ძირითადად მაშინ ვისწავლე სადილების მომზადება.

***— კარგად რას ამზადებთ?***

— კარგად ვიცი მწვადის შეწვა.

***— კიდევ?***

— ხაშლამის მომზადება.

***— ეგ მარტივია, ყველა შეუძლია...***

— არა, მარტივი არ არის, ხაშლამა ყველაზე დელიკატური მოსამზადებელია.

***— ხინკლის მომზადება შეგიძლიათ?***

— შემიძლია.

***— რამდენ ნაოჭს უკეთებთ?***

— არა დამითვლია. სხვათა შორის, ხინკლის მომზადება მეცხვარეებმა მასწავლეს.

***— ნადირობა გიყვართ?***

— ნადირობა შემიძლია, მაგრამ არ მიყვარს. ნადირის მოკვლა არ მსიამოვნებს.

***— თევზაობა?***

— მაინცდამაინც არც თევზაობა მიყვარს.

***— ზოგიერთი ამბობს, რომ თევზაობა ნერვებს ამშვიდებს და განტვირთვის საშუალებაა...***

— განტვირთვა სხვანაირადაც შეიძლება, მაგალითად, წიგნის კითხვით.

***— კითხვა გიყვართ?***

— ძალიან.

***— რაც შეეხება თქვენს ოჯახს, რამდენი შვილი გყავთ?***

— ორი ქალიშვილი მყავს: თამარი და სალომე.

***— მამას რომელი ჰგავს?***

— ორივე.

***— ხასიათით თუ გარეგნულად?***

— გარეგნულად ორივე მგავს, ხასიათით — უფრო თამარი.

***— თქვენი ხასიათის რა თვისებებს იჭერთ თამარში?***

— უფრო დადინჯებულია, ჩემი სხვა თვისებებიც აქვს.

***— საკუთარ საიდუმლოებებს ქალიშვილები მამას უფრო უყვებიან თუ დედას?***

— დედას უყვებიან.

***— მუსიკალური განათლება გაქვთ?***

— არა, მუსიკალური განათლება არა მაქვს.

***— სუფრასთან სიმღერას არ ჰყვებით?***

— სამწუხაროდ, არა. სამაგიეროდ, კარგი მუსიკის მოსმენა მიყვარს. ბავშვობაში ჰამლეგ გონაშვილს ვიცნობდი. ჩვენს ოჯახშია ნამყოფი, უქეიფია. ჰამლეტ გონაშვილი დიდი ადამიანი იყო.

***— ჰამლეტ გონაშვილს თქვენთვის არ უთქვამს, რომ მუსიკალური განათლება მიგეღოთ?***

— არა. თავადაც არ უყვარდა, როდესაც სუფრასთან სიმღერას აძალებდნენ. ყოველ შემთხვევაში, ერთი-ორჯერ შევესწარი, როდესაც სუფრასთან სიმღერას აძალებდნენ და ამბობდა, გამანებეთ თავიო.

***— ახლა მის სიმღერებს უსმენთ?***

— კი, ხშირად.

***— ძირითადად როგორ მუსიკას უსმენთ?***

— პრაქტიკულად, ყველაფერს ვუსმენ, უფრო ჩემი თაობის სიმღერები მომწონს.

***— თუ არის რაიმე ისეთი ნივთები, რომლებიც ამოჩემებული გაქვთ?***

— არა.

***— ბავშვობაში აგროვებდით რაიმე ნივთებს ან მარკებს?***

— ბავშვობაში შეიძლება მარკებს ვაგროვებდი, მაგრამ ეგ ცოტა ხანს იყო.

***— მნიშვნელობას ანიჭებთ თუ არა, აქსესუარები რომელი ფირმისაა?***

— მეტ-ნაკლებად.

***— საჩუქრებს თქვენ უფრო ხშირად გჩუქნიან თუ თქვენ უფრო ხშირად ჩუქნით?***

— მე უფრო ხშირად ვჩუქნი.

***— ძირითადად ვის?***

— ქალიშვილებს, მეგობრებს.

***— მერე, თქვენი გემოვნება მოსწონთ თუ გიწუნებენ?***

— ძირითადად მოსწონთ. ვეკითხები, რა მოეწონებათ და იმას ვჩუქნი.

***— თქვენ ბოლოს რა საჩუქარი მიიღეთ, გახსოვთ?***

— კი მახოვს, ჰალსტუხი მაჩუქეს.

***— ვინ გაჩუქათ?***

— მეჯვარემ. ჰალსტუხთან ერთად, სანთებელაც მაჩუქა.

***— პარლამენტში რომელიმე დეპუტატთან ნათესაური კავშირი გაქვთ?***

— არა.

***— თქვენ სხვადასხვა თანამდებობაზე გიმუშავიათ, იყავით გარდაბნის გამგებელი, ასევე რწმუნებულის მოადგილე და რუსთავის მერი. იმ თანამდებობებიდან, სადაც იმუშავეთ, ყველაზე რთული რომელი იყო?***

— გარდაბნის რაიონის გამგებლობა.

***— უცნაური თხოვნით თუ მოგმართავდათ მოსახლეობა ან ისეთი თხოვნით, რომელიც თქვენს კომპეტენციაში არ შედიოდა?***

— აბსოლუტურად ყველაფერზე მომმართავდნენ. მოსახლეობას სხვადასხვა პრობლემა აწუხებდა.

***— სახელით მოგმართავდნენ გარდაბნელები თუ ბატონოთი?***

— აზერბაიჯანელები პრეფექტს მეძახდნენ.

***— პრეფექტს რატომ გეძახდნენ?***

— არ ვიცი, ზოგიერთი პრეფექტს მეძახდა, თუმცა, არ ვიცი, რატომ.

***— მკაცრი გამგებელი იყავით?***

— მკაცრი — არა, მომთხოვნი ვიყავი.

# ახალგორის მაჟორიტარმა ბინის რემონტში 2 მილიონი გადაიხადა

შორენა კოწოწაშვილი

**ლეიბორისტული პარტიის ლიდერი საქართველოს პრეზიდენტს მიხეილ კადაფს უწოდებს და დარწმუნებულია, რომ მოქმედი ხელისუფლება და მისი ლიდერი მმართველობის ბოლო თვეებს ითვლის. შრომის პარტიის ლიდერი დარწმუნებულია, რომ სააკაშვილი ვადამდელ არჩევნებზე არ ფიქრობს და არც იმ განცხადებების ეშინია, რომლებსაც ოპოზიციის ლიდერები აკეთებენ.**

შალვა ნათელაშვილი უწოდებს რა დიქტატორს სააკაშვილს, მისი ხელისუფლების საყრდენად მაჟორიტარ დეპუტატებს მიიჩნევს. შესაბამისად ოპოზიციური პარტიის ლიდერი სწორედ მაჟორიტარიზმის მოსპობაში ხედავს გამოსავალს.

ქვეყნის პირველი ლეიბორისტი პირობას დებს, რომ სერიოზულად დაუპირისპირდება კორუმპირებულ მაჟორიტარ დეპუტატებს და ყველა იმ დეპუტატის ქონებას გამოააშკარავებს, რომლებიც გაღატაკებული მოსახლეობის ხარჯზე მდიდრდებიან.ნათელაშვილს აღიზიანებს კითხვა: როდის გვეშველება, ამიტომ მათ გასაგონად, ვინც ამ კითხვას ხშირად სვამს, შემდეგნაირად პასუხობს:

— გავრცელებულ კითხვაზე, როდის გვეშველება, არსებობს ერთადერთი სწორი პასუხი: როცა გაუქმდება ყაჩაღ მაჟორიტარ დეპუტატთა კორპუსი, რომლებსაც სააკაშვილმა გეჯაში ჩაუსხა საქართველო და რომელთა გამოც ჩვენი ხალხი შიმშილობის ზღვარს გადაცდა, — აცხადებს ლეიბორისტული პარტიის ლიდერი შალვა ნათელაშვილი და პირობას დებს, რომ ბოლომდე იბრძოლებს საქართველოში მაჟორიტარ დეპუტატთა კორპუსის გასაუქმებლად.ნათელაშვილმა გუშინ მორიგი ბრიფინგი მიუძღვნა მაჟორიტარებს და ის ათეული დაასახელა, რომელთა ქონებაც რამდენიმე მილიონით განისაზღვრება.

ათეულის სიის სათავეში დგას თეთრიწყაროს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატი დავით ბეჟუაშვილი, რომლის ქონებაც მილიარდნახევარ დოლარს ითვლის. მას მოყვება კობა ნაყოფია, ბოლნისის მაჟორიტარი — 500 მილიონი დოლარი; დავით ოქრიაშვილი — პე-ეს-პეს მფლობელი — 300 მილიონი დოლარით; თემურ კოხოძე, ბაღდათის დეპუტატი — 400 მილიონი დოლარი; არჩილ გეგენავა, მთაწმინდის მაჟორიტარი — 100 მილიონი დოლარი; გოგი ლიპარტელიანი, მშიერი სვანეთის დეპუტატი — 50 მილიონი დოლარი; ვაჟა ოვაშვილი, ახალგორის, დაკარგული რაიონის დეპუტატი — 40 მილიონი; მერაბ სამადაშვილი, ნაძალადევის რაიონის დეპუტატი — 30 მილიონი; კურდღელაშვილი, კასპის რაიონის დეპუტატი — 15 მილიონი; გოდერძი ბუკია, ხობის დეპუტატი — 10 მილიონი დოლარი.შალვა ნათელაშვილის თქმით, სააკაშვილის მილიონერი დეპუტატების სიის გამოაშკარავება გაგრძელდება და ეს უნდა დამთავრდეს საქართველოში მაჟორიტარიზმის ინსტიტუტის დამარცხებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ლეიბორისტული პარტიის ლიდერი თვლის, რომ ყველა ეს მაჟორიტარი დეპუტატი და სხვები ნებისმიერ სააკაშვილს, ნებისმიერ მუბარაქ-კადაფს დაუდგება პირისფარეშად, რათა ქვეყანა ყვლიფონ და ჭამონ.

ნათელაშვილის თქმით, კობა ნაყოფიას, რომელსაც შეუჭამია ოქროს საბადოები, წილები აქვს კანარის კუნძულებზე, სადაც ერთი პალმა ერთი მილიონი ღირს. აქვე აქვს წილები მის მეუღლესაც.

— მაინტერესებს, თუ გახსენებიათ ამ მშიერი გაზაფხულის ფონზე, როგორ შიმშილობენ ბოლნისელები, თუმცა ვფიქრობ, რომ ბოლნისელები ღირსები არიან, ისევე, როგორც სხვები, რომლებმაც ამათი არჩევის დროს ერთ ტომარა ფქვილში, ან ერთი მიცვალებულის დამარხვაში გაყიდეს საქართველო. კი, სწორს უკეთებენ, რომ აღარფერს აძლევენ. ასე უნდა აკაწკაწოთ კბილები და მერე ისწავლით ჭკუას და მერე მისცემთ ორი ყუთი მაკარონის მიხედვით ხმას, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

რაც შეეხება იმას, თუ როგორ აპირებს ლეიბორისტული პარტიის ლიდერი მაჟორიატარების წინააღმდეგ ბრძოლას, ნათელაშვილის თქმით, მაჟორიტარების გარშემო აუტანელი ვითარება უნდა შეიქმნას; ხალხმა უნდა გამოაძევოს მაჟორიტარები თავისი ოფისებიდან და სასახლეებიდან, უნდა მიუხტნენ სახლში და ჰკითხონ: რატომ ხარ შენ მილიონერი და მე რატომ ვარ მშიერი, რა დამსახურებით? იმ დამსახურებით, რომ სამშობლოს გაყიდვას აუწიე ხელი?

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, საზოგადოებამ და ოპოზიციამ უნდა იაქტიუროს იმ კუთხით, რომ მომავალ არჩევნებში აღარ იქნეს დაშვებული მაჟორიტარი დეპუტატების არჩევა.

— უბედურება და კოლექტიური სააკაშვილი მაჟორიტარებში იმალება. ეს მაჟორიტარები იყვნენ, რომ შევარდნაძეს უკეთებდნენ უმრავლესობას, ეს მაჟორიატრები დაუდგნენ გადატრიალების დროს გვერდით სააკაშვილს, პარლამენტში დახდნენ და ყველა კონსტიტუციურ ცვლილებას ხმა მისცეს. დღეს ეს მაჟორიტარები ახალ პატრონს ემსახურებიან და ტენდერზე აქვთ საქართველო დადებული, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა და ის პერიოდი გაიხსენა, როდესაც თავადაც იყო საქართველოს პარლამენტის ორგზის მაჟორიტარი დეპუტატი. ნათელაშვილის თქმით, მაჟორიტარებს არანაირი საქმე არ აქვთ პოლიტიკასთან, მათ არ აქვთ ელემენტარული განათლება.

— საიდან მოდიან ასეთი დაუნები, ელემენტარული განათლება არა აქვთ, მარტო ჭამა-სმა აინტერესებთ. ქურდები მოყავდათ პარლამენტში და ისინი ურჩევდნენ საქმეს, როცა ერთი მაჟორიატარი მეორეს რაღაცაში გადააგდებდა, — აღნიშნა ნათელაშვილმა. და ის ფაქტი, რომ პრეზიდენტის პარლამენტში გამოსვლისას დეპუტატმა ჩახვაძემ ვერ დაასახელა ვერც ერთი კორუმპირებული დეპუტატი თუ მთავრობის წევრი, შრომის პარტიის ლიდერმა ამ სიტყვებით ახსნა: „ასეთი კორუმპირებული დეპუტატები იქ ისხდნენ და თავის კუდს ხომ არ მოიჭრიდნენ? ეს პოზიციაც და ოპოზიციაც ყოველ საღამოს ერთად სხედან რესტორნებში და ქეიფობენ. სადღეგრძელოები ისმება და ფიცვერცხლი ასე იოლად არ გატყდება მათ შორის, ეს არის უბედურება. საქართველოა მსხვერპლი, ეს არის უბედურება.“როგორც ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა განაცხადა, თანხები, რომელიც დასახელდა თითოეულ მაჟორიტართან მიმართებაში, არის აბსოლუტურად სწორი. თუმცა შეიძლება ოდნავ მცირე, რადგანაც სააკაშვილის მაჟორიტარები ყოველდღიულად სოლიდურ თანხებს შოულობენ. რაც შეეხება წყაროს, თუ საიდან აქვს ოპოზიციური პარტიის ლიდერს ინფორმაცია კონკრეტულ



შალვა ნათელაშვილი მაჟორიტარებს სასახლეებიდან გამოყრით ემუქრება

ციფრებთან დაკავშირებით, წყაროს დასახელებისგან ნათელაშვილმა თავი შეიკავა.

**შალვა ნათელაშვილი:**

— დეპუტატ ოვაშვილს დაწერილი აქვს, რომ ორი მილიონი ევრო დაეხარჯა ბინის რემონტში. რა უბედურებაა, ორი მილიონი ევრო ლუვრის რემონტში არ იხარჯება. როგორც ამბობენ, კრწანისში ჰქონია სახლი მთის წვერზე. არც რცხვენია ალბათ, ერთხელ არ ჩასულა წეროვანში დევნილებთან და ერთი კოლოფი კანფეტიც არ მიუტანია. როგორ სძინავს ღამე ოვაშვილს, როცა ამდენი ადამიანი შიმშილობს და ამდენი მილიონი აქვს მუთაქაში. კარგით, შეიძლება სააკაშვილი გაგიჟდა, გადაირია, მიხეილ კადაფი გახდა. ეს ქვეყანა ხომ ჩვენია და ხალხს ხომ მიხედვა უნდა. ახლა ახალგორიდან დეპუტატს ველარ აირჩევენ, რადგან რაიონი დაკარგეს. რაც შეეხება დეპუტატ გოდერძი ბუკიას, მას მილიონები მოსკოვში აქვს ნაშოვნი. იმ მოსკოვში, რომელიც სააკაშვილს ძალიან არ უყვარს. მოსკოვიდან გამოუგზავნა ფეესბემ სააკაშვილს ორი დეპუტატი: მარტვილის დეპუტატი ნაული ჯანაშია, რომელიც ამ სიაში ვერ მოხვდა, რადგან ჩვენი მონაცემებით ამ დეპუტატებისგან განსხვავებით, ცოტა მილიონები აქვს და მეორე — გოდერძი ბუკია, რომელიც დღე და ღამე არბატზე ზის რესტორან „გენაცვალეში“ და ნაცმოძრაობის ელიტის მიმღებ-გამცილებელია. ბუკია ახორციელებს მათ დახვედრას და მომსახურებას თავისი ქალბატონებით. ეს ბუკია ატარებს ხობში მეგრული სიმღერის ფესტივალს, სადაც ეპატიჟება პრეზიდენტის მეუღლეს სანდრას, როგორ „დიდ მეგრელ მომღერალს“. გინახავთ თქვენ ამერიკის კონგრესში მილიონერი და მილიარდერი კონგრესის წევრი? ერთადერთი როკფელერი იყო, რომლის ქონებაც ყველამ იცოდა და რომლის კანონიერებაშიც ეჭვი არავის ეპარებოდა. ამერიკის კონგრესს არ დაესიზმრება და მსოფლიო პარლამენტარიზმს არ დაესიზმრება ის თანხები, რაც სააკაშვილის მაჟორიტარ დეპუტატებს აქვთ. ყველაფერს საზღვარი ხომ უნდა ჰქონდეს? ლეიბორისტული პარტიის ლიდერი პირობას დებს, რომ ყველა მილიონერი დეპუტატის სახლთან მივა და საპროტესტო აქციას გამართავს თანამოზარეებთან ერთად. ნათელაშვილის თქმით, საქართველოს მოსახლეობამ უნდა იცოდეს, ვინ ჭამს და რას ხმარდება საქართველოს გაყიდვის შედეგად მიღებული მილიონები. პრესკონფერენციის ბოლოს შალვა ნათელაშვილს რამდენმე კითხვით მივმართეთ.

***— ბატონო შალვა, თქვენ მიერ დასახელებული თანხები ნაცმოძრაობის მაჟორიტარმა დეპუტატებმა პარლამენტში მოსვლის შემდგომ დააგროვეს თუ მანამდეც ფლობდნენ?***

— მაგალითად, თემურ კოხოძის ქონება რამდენიმე დღის წინ გაიზარდა 20 მილიონით, როდესაც საირმის კომპლექსი აჩუქეს 60 ათას ლარად. ნაწილი დეპუტატების ქონება ალბათ არ გაიზარდა, შემცირდა კიდეც, რადგან სააკაშვილს აფინანსებენ.

***— რა შეგიძლიათ გვითხრათ გოდერძი ბუკიასთან დაკავშირებით?***

— ძალიან ნაძირალა კაცია, პირდაპირ შემიძლია გითხრათ.

***— როგორც მახსოვს, ბუკია ნავთობის ბიზნესში იყო შევარდნაძის ხელისუფლების პერიოდში. მისი ინტერესები ამ მხრივ კვლავ იკვეთება?***

— კი, შევარდნაძის პერიოდიდან მოდის ბუკია და მისი ბიზნესინტერესები. ბუკიას აქამდე დაიჭერდნენ იმის გამო, რომ რუსეთიდან ფულის გადმორიცხვებს იღებს, სააკაშვილთან რომ არ მიჰქონდეს. აბა, ერთი მე მივიღო რუსეთიდან ფული, რა ამბავი ატყდება. ბადრი პატარკაციშვილმა გვაჩუქა ფული, შავ ფულად ჩაგვითვალეს და გვიჭერდნენ. ნახეთ ერთი, ბანკში რამდენი მილიონია გადმორიცხული ნაული ჯანაშიაზე და გოდერძი ბუკიაზე. რაც შეეხება ბუკიას და ნავთობის ბიზნესს, ნავთობის ბიზნესში რუსეთის მასშტაბით ფეესბეს გარეშე რომ არავინ გამუშავებს, ეს ალბათ მშვენივრად მოგეხსენებათ.

***— რაზე მიანიშნებთ, ბატონო შალვა, ბუკია და ჯანაშია გარკვეულწილად შუამავლები არიან რუსეთის ხელისუფლებასთან?***

— რა თქმა უნდა, ეს არის თემურ ალასანიას ჯგუფი კახა ბენდუქიძის ჩათვლით. თემურ ალასანიაა ამათი კოორდინატორი და ბრიგადირი.

***— ბატონო შალვა, მოდით პოლიტიკურ პროცესებს შევეხოთ. ოპოზიციის ერთი ნაწილი პროცესების რევოლუციურ განვითარებაზე საუბრობს, მეორე ნაწილი, მაგალითად, ირაკლი ალასანია გიგა ბოკერიას ხვდება და ხელისუფლებასთან რიგ საკითხებში თანამშრომლობას პრობლემად არ მიიჩნევს. რას ნიშნავს ეს?***

— ეს არის პირდაპირ თეთრი სახლიდან მოსული მითითება, ზუსტ ინფორმაციას გეუბნებით, ოპოზიციურ ძალებზე, რომლებიც თანამშრომლობენ ხელისუფლებასთან, რომ ახლო კონტაქტები და საჯარო აქტიურობა ჰქონდეთ გიგა ბოკერიასთან. ბრუს ჯექსონის ჯგუფი, რომელსაც ფრიიდომ ჰაუზი ხელმძღვანელობდა და რომელმაც აქ მოაწყო რევოლუცია, აძლიერებს ბოკერიას, უგულავას და ლევან რამიშვილის ჯგუფს. აქცენტს აკეთებენ მმართველ ოპოზიციურ ძალებზე.

***— ანუ ამერიკა ბოკერიას მხრიდან ცდილობს აკონტროლოს საქართველოში პოლიტიკური პროცესები?***

— ვერ გეტყვით, რომ მთლად ბოკერიაზე არიან დამოკიდებული, მაგრამ ერთ-ერთ გველეშაპის თავად ამერიკას ეს ჯგუფი წარმოუდგენია.

***— თქვენთვის მისაღებია იგივე ალასანიას განცხადება, რომ ხელისუფლებასთან გარკვეულ საკითხებზე კონსტრუქციული თანამშრომლობა მისთვის მისაღებია?***

— ალასანიას პირდაპირ ამერიკიდან აქვს მითითება, რომ ხელისუფლებასთან ითანამშრომლოს. თეთრ სახლში როცა მარკ ფოლანს შეხვდა, მან უთხრა, ბოკერიასთან გქონდეთ საჯარო, ჩუმი კი არა, საჯარო კონსულტაციებიო. ალასანიაც ამას ასრულებს.

***— რადგან ალასანია გამოიკვეთა ოპოზიციური ფლანგიდან, ფიქრობთ, რომ ამერიკა აპირებს ბოკერია — ალასანიას გუნდებით ახალი პარლამენტის დაკომპლექტებას?***

— ასე აპირებენ. შიდა და გარე ძალები ისევ აპირებენ მათი ინტერესების დამცველი ჯგუფების მოყვანას საქართველოს ხელისუფლებაში. ყველა სქემა, რომელიც დღეს მიდის, გარე თუ შიდა სქემები, ისევ მომართულია ლეიბორისტული პარტიის ხელისუფლებაში არდასაშვებად. შიდა ყაჩაღებისთვის და გარე ოკუპანტებისთვის ისევ ჩვენ, ლეიბორისტები ვართ მიუღებელი ძალა. ამიტომ მთელი სქემები და ბინძური პიარი აამოქმედეს ჩვენს წინაღმდეგ. ავრცელებენ, თითქოს ვარდების რევოლუციის დროს 800 ათასი ამილია, ვითომ რიჩარდ მაილსს მოუტანია სახლში კეისით. ეს ყველაფერი ემსახურება იმას, რომ როგორმე ჩაგვანელონ, მაგრამ აღარ გამოუვათ. ისტორია არ მეორდება და ისინი ვერ გაიმეორებენ 2003 წელს.

***— ალასანია-ბოკერიას შეხვედრამდე მინიშნებები კეთდებოდა, რომ უცხოელი დიპლომატებისთვის ყველაზე მისაღები გიორგი თარგამაძე და ქრისტიან-დემოკრატები იყვნენ. ალასანიამ ჩააჩოჩა ქრისტიან-დემოკრატები?***

— არა, არ ჩააჩოჩეს. ისინი მუშაობენ, რაც შეიძლება მეტი ჯგუფები გახადონ თავიანთი მხარდამჭერი.

***— ბოლო დღეებში გაჩნდა განცხადებები იმის თაობაზე, რომ საქართველოში შეიძლება რევოლუციური პროცესი დაიწყოს. ბურჯანაძე და ლევან გაჩეჩილაძე აქცენტს სწორედ ამაზე აკეთებენ.***

— ეს ჩემთვის არასერიოზულია. ჩემს კოლეგებს მინდა ვუთხრა, რომ რევოლუციები წინასწარ არ აანონსდება, რევოლუციები მზადდება.

***— რატომ გამორიცხავთ რევოლუციას? პოლიტიკოსების ნაწილი ფიქრობს, რომ სომხეთიდან გამოსვლები საქართველოში გადმოინაცვლებს.***

— სომხეთში იციან, როგორ ააშენონ სახელმწიფო და როგორ მიხედონ თავიანთ თავს. სომხებს ნუ შევედრებით. სომხეთში ორჯერ შეიცვალა ხელისუფლება საარჩევნო გზით და სომხეთი ამ კუთხით ევროპული სტანდარტების დონეზეა ასული. ჩვენ ჯერ კიდევ ვართ იმ ეტაპზე, გამოქვაბულში სანამ შევიდოდა კაცობრიობა, ხეზე რომ ისხდნენ და ხეზე რომ ირჩევდნენ ბელადს.

***— დაბოლოს, ის ფაქტი, რომ გიგა ბოკერია და ირაკლი ალასანია გარკვეულ კონსულტაციებს მართავენ, როგორც თქვენ თქვით, თეთრი სახლის მითითებით, ეს სააკაშვილისთვის გამაღიზიანებელი და საშიშია?***

— სააკაშვილისთვის შეიძლება ეს გამაღიზიანებელი იყოს, მაგრამ, თუ ბევრს იხტუნავებს, ჰააგის ტრიბუნალზე აღმოჩნდება. ამერიკელმა ტიპებმა იციან ეგეთი რაღაცეები.

***— სააკაშვილი ბოკერიასთან ურთიერთობისას ფრთხილობს?***

— რა თქმა უნდა.

# დევნილობაში ბევრი ახალი კერძი ვისწავლე

## როგორ უმასპინ ლდებოდა „ივერიაში“ ტატა ახალაია სახელოვან მწერლებს

გულიკო ბალა ე

**აფხაზეთიღან ღევნიღ მწეიაღ ტატა ახაღაიას სასტუმიო „ივეიიაში" ცხოვიობის ჰეიიოღში ცნობიღი ჰიიოვნებები სტუმიობღნენ ხოღმე. მათ ტატა ახაღაია ჩვეუღი სტუმაითმოყვაიეობით მასჰინძღობღა.**

სხვადასხვა დროს მასთან სტუმრად იმყოფებოდნენ ამერიკელი მწერალი ნეითან მარტინი და ინგლისური გაზეთის „გარდიანის“ ჟურნალისტი (ლონდონიდან) მაიკლ პეტერსონი.

ისინი აფხაზეთის ტრაგედიის შესასწავლად იყვნენ ჩამოსულები და ტატა ახალაიას ეწვივნენ ინტერვიუს ჩასაწერად. მწერალმა მათაც ჩვეული გულმოდგინებით უმასპინძლა თავის მიერ გამოგონებული ხურმის ფხალითა და მეგრული ხაჭაპურით.

როგორც ტატა ახალაია გვიყვება, დრო და დრო მასთან, სასტუმრო „ივერიის“ პატარა, მაგრამ გემოვნებით მოწყობილ ოთახში, ხშირად სტუმრობდნენ უცხოელი თუ ქართველი ჟურნალისტები, მწერალი ლევან სანიკიძე, მწერალთა კავშირის მაშინდელი თავმჯდომარე წივწივაძე, სოხუმის აეროპორტის უფროსი გოგი ფაცაცია, მეცნიერებათა დოქტორი სიმონ ზაქარაია, სახალხო არტისტი ზანდა იოსელიანი და შავგულიძის თეატრის რეჟისორი გია კახელი და სხვები. აი, ასეთი საზოგადოება იკრიბებოდა ტატა ახლაიასთან „ივერიაში“ ცხოვრების პერიოდში, რასაც ახლა იგი სიამოვნებით იხსენებს.

**მწერალი ტატა ახალაია გვაცნობს იმ დროს მის მიერ გამოგონილი კერძების რეცეპტებსაც.**

***— ქალატონო ტატა, რამდენადაც ვიცი, როცა „ივერიაში“ ცხოვრობდით, ხშირად გსტუმრობდნენ ქართველი მწერლები...***

— დიახ, მსტუმრობდნენ ხოლმე ლევან სანიკიძე, რეზო მიშველაძე, ფაზისის აკადემიის აკადემიის პრეზიდენტი ნუგზარ ნადარაია და სხვები. ისინი ჩემთან იკრიბებოდნენ, რადგან ჩემი პიესების მიხედვით დადგმულ სპექტაკლს რომ ნახავდნენ, შემდეგ ჩემთან მოდიოდნენ. მაშინ ჩემი პიესები შავგულიძის თეატრში იდგმებოდა. მახსოვს, პირველი პიესა 1994 წელს დაიდგა და სპექტაკლის შემდეგ ბატონმა ლევან სანიკიძემ ჟურნალისტებს უთხრა, ქალბატონმა ტატამ ილიასეული ჭირვარამი საქართველოსი სცენაზე გადაიტანაო. მე იმის საშუალება არ მქონდა, ისინი სადმე დამეპატიჟებინა, ამიტომ, ვუთხარი, ხვალ „ივერიაში“ მობრძანდით, 403 ნომერში ვცხოვრობ-მეთქი. მეორე დღეს მართლაც მოვიდნენ ბატონები ლევან სანიკიძე, ნუგზარ ნადარაია და თემურ მიფჩუანი (პროფესორი, აკადემიკოსი). ორი საათით ადრე დამირეკეს, მოვდივართო. სანამ ისინი მოვიდოდნენ, დერეფანში პატარა ღუმელი მქონდა და იქ ქვაბით ღომი დავდგი. ვიფიქრე, დასავლეთში რომ იციან, ისე გავუმასპინძლდები, ელარჯს გავაკეთებ-მეთქი. დერეფანში ერთ დევნილ ქალს პატარა ბუფეტი ჰქონდა გაკეთებული და მას იქ ქათამი შევაწვევინე. ბაჟესთვის ყოველთვის მქონდა გამზადებული მასალა. მას გავხსნიდი თბილ ან ცივ წყალში და ვაკეთებდი ბაჟეს. ამას მივამატებდი ხილს, კიდევ რაღაცას და სწრაფად ვამზადებდი.

***— ელარჯი 2 საათში რომ არ კეთდება?***

— ღომის მასალა გამზადებული მქონდა ხოლმე და რომ დამირეკავდნენ, პირდაპირ მოსახარშად ვდგამდი. სანამ ღომი იხარშება, ყველს დაჭრი. სუფრაზე ცივი ელარჯის მიტანა არ შეიძლება. ვიდრე სტუმრები იკრიბებიან და ერთმანეთში ლაპარაკობენ, ღომს შეზილავ, ჩაყრი ყველს, კარგად აურევ და 5-10 წუთში საინზე გადატანას დაიწყებ. მაშინაც, სანამ სტუმრები ჩემს წიგნებს ათვალიერებდნენ და ლაპარაკობდნენ, დრო და დრო გავდიოდი და შევდიოდი. ღომი ადუღდა, ყველი ჩავყარე, თავი კარგად დავახურე. 2-3 წუთში მასა კარგად გადავატრიალე. სუფრაზე ნამცხვარი და ყავა მივიტანე. მათ არ იცოდნენ თუ ღომსაც ვაკეთებდი. ბაჟეც გამზადებული მქონდა, მაგრამ კარი გაღებული იყო და ფარდის იქიდან ოთახში სუნი შევიდა. ნუგზარმა მითხრა, ტატა, რაღაც ელარჯის სუნი მცემსო. მე ვუთხარი, ქვევით რესტორანია და სუნი იქიდან მოდის-მეთქი.

***— ეფექტი გინდოდათ მოგეხდინათ?***

— დიახ. ღომში ყველი რომ შევზილე, ელარჯი ხუთ წუთში მზად იყო და ბატონ ნუგზარს ვუთხარი, თქვენ ელარჯის სუნი გეცათ, ხომ? აი, ახლა რესტორნიდან გადმომაწოდეს და ახლავე მოგართმევთ-მეთქი. ბატონი ნუგზარი ადგა, გაიხედა, საიდან მოგაწოდესო და დაინახა, აგერ ქვაბი, თეფშები, ყველაფერი მიწყვია. ბატონ ლევანს ეუბნება, მოდი, რა განახო, ქალი კი არა ღმერთია, რა ნახა, ასე სწრაფად როგორ გააკეთაო. მას ეგონა, იმ წუთში დავდგი. ამ დროს ყველაფერი გამზადებული მქონდა. ღომი შევიტანე, ბაჟე დავდგი. ბატონი ლევანი ამბობს, აი, კოლხი ქალი, სადაც არ უნდა იყოს, თავისთავს მაინც გამოაჩენსო. ლევანმა მითხრა, შენი წიგნი „ჭრილობავ ჩემო, შენ აფხაზეთო“ რომ წავიკითხე, ავცრემლდიო. მიფჩუანმა თქვა, კაცო, სოხუმში ბევრი ვიტირე და აქაც ტირილი არ მინდაო. ამ დროს შემოგვიერთდნენ ბატონები სომონ ზაქარაია, გოგი ფაცაცია და ჩემი ნათესავი, თანაკურსელი. სუფრა რომ დაინახეს გაშლილი, ვახ, ვახ, რას ვხედავთო...

***— ე.ი. ელარჯი თქვენს სტუმრებს ძალიან მოსწონდათ.***

— დიახ.

***— კერძების თქვენული რეცეპტები ხომ არ გაქვთ?***

— ჩემი ნაცნობებიდან ვინც „ივერიის“



მხარეს წამოვიდოდა, ან, უბრალოდ, ქალაქში ჰქონდა საქმე, გამორიცხულია ჩემთან არ შემოევლოთ. ამიტომ ზოგჯერ ვნერვიულობდი, ვაითუ ვერაფრით გავუმასპინძლდე-მეთქი. ყოველთვის ხომ არ გაქვს. თუმცა, დერეფანში ქალს ბუფეტი რომ ჰქონდა, იმის იმედი მქონდა. იმ ქალს ბუფეტში ყველაფერი ჰქონდა, შემეძლო ნისიადაც ამელო და შემდეგ გამესტუმრებინა. ერთხელ (1997 წელი იყო. იმ პერიოდში ჩემი 3-4 პიესა უკვე დადგმული იყო შავგულიძის თეტრში) თეატრის დირექტორმა (ახლა გარდაცვლილია, საწყალი) სულიკო დევაძემ დამირეკა, მე და რეჟისორი გია კახელი აგერ ვდგავართ, „ივერიასთან“ („ივერიის წინ ფანტანი რომ იყო, გემახსოვრებათ. ახლაც არის. იქ იყვნენ) და არ შეიძლება მოვიდეთო? ღმერთო ჩემო, რას ამბობთ, მობრძანდით-მეთქი. არაფერი მქონდა გამზადებული, მაგრამ შემოდგომა იყო და 2-3 კილო კარალიოკი მქონდა ნაყიდი. გატარებული ნიგოზი მაცივარში ყოველთვის მედო. ბუფეტში რომ ქალი მუშაობდა, ისიც ჩვენებური იყო. მას ვუთხარი, სასწრაფოდ ეს კარალიოკი გაფცქვენი და მანქანაში გაატარე-მეთქი. ის გაკვირვებული მიყურებს და მეკითხება, მერე, ეს რად გინდა, ასე ჭამენ, კოვზითო? არა, ჩქარა გამიკეთე-მეთქი. მოვუტანე გატარებული ნიგოზი, აჯიკა და ვუთხარი, აქ გამიკეთე, რადგან იმ პატარა ოთახში უხერხულია სტუმრების თვალწინ ამის კეთება-მეთქი.

***— სტუმრები უკვე ამოსული იყვნენ?***

— მალე ამოვიდნენ. იმ ქალთან ამის მიტანა ძლივს მოვასწარი. ქალი თვალებში მიყურებს, ხომ არ გაგიჟდაო. მჭადი მაქვს გაკეთებული, მაგრამ ფხალი არ მაქვს, მჭადს ვათბობ და თუ ფხალი არ იქნება, მარტო მჭადი რა არის-მეთქი. გაკვირვებული მიყურებს და მეუბნება, ეს ფხალი იქნება? ეს ხურმაა, ქალბატონო ტატა! ვეუბნები, ჰო, ხურმაა, ვიცი, გამიტარე, დაამატე მარილი, აჯიკა და ნიგოზი-მეთქი.

***— სუნელებს თუ ამატებ?***

— სუნელები, მწვანილი, ხახვი და ნიორი აჯიკაშია შერეული. როგორც ფხალს ვაკეთებთ, ისე შეურიე და გამიმზადე-მეთქი. ბროწეული მივეცი კიდევ, კაკლები და ფართო საინი. ვუთხარი, ამ საინზე დამიდევი, ბროწეულის კაკლებით მორთე და თუ ისინი მოსულები იქნებიან, დამიკაკუნე და შემომაწოდე-მეთქი. 20 ცალი მჭადი მქონდა გამომცხვარი. ახლა მჭადის ისტორიასაც მოგიყვებით. ჩემი გამომცხვარი მჭადი ძალიან ფუმფულაა.

***— როგორ აკეთებთ?***

— 200 გრამი სიმინდის ფქვილით, 100 გრამი პურის ფქვილითა და ნახევარი ჩაის კოვში სოდით კარგად აფუებული მჭადი ცხვება. ამ დროში თეატრის რეჟისორი და დირექტორი მოვიდნენ. შევეგებე, მობრძანდით, მობრძანდით-მეთქი. მჭადი მაგიდაზე დავდე, კარგ საინზე, ზედ სალფეთკი გადავაფარე. სოფლიდან მოტანილი არაყი მქონდა, ჩემი ამხანაგის ჩამოტანილი და ისიც დავდგი და ვუთხარი, მოიცადეთ, ახლა რაღაცას შემომიტანენ, მეზობელს ვთხოვე და უნდა გამიკეთოს-მეთქი. ამ დროს ზარის ხმა გაისმა და შემომიტანა დიდი საინით, ზემოდან ბროწეულით კარგად მორთული ხურმის ფხალი. მივართვი, მაგრამ არ მითქვამს, რისგან იყო გაკეთებული. ფხალია და მჭადთან და ყველთან ერთად მიირთვით-მეთქი. ოჰ, რა კარგიაო და თეფშზე გადაიტანეს. ჭამენ, მაგრამ კაციშვილი არ კითხულობს, რისგანაა გაკეთებული, რანაირი ფხალიაო. ამბობენ, რა კარგი ფხალია, რა კარგიო. ვეკითხები, კარგია და მეტი არაფერი? ეს ფხალი რისგანაა გაკეთებული ვერ მიხვდით-მეთქი? ვერ მივხვდით, მაგრამ ჩვეულებრივი ფხალი არ არისო? რომ გითხრათ, არ დაიჯერებთ, მაგრამ გარეთ ქალი რომ არის, იმას გავაკეთებინე, ნაფცქვენები ჯერ არ გადამიყრია, ხურმის ფხალია, კარალიოკისაგან გავაკეთე-მეთქი. რაო, კარალიოკიო? ორივემ ჩემ ფურცლებს სტაცეს ხელი და რეცეპტის ჩაწერა დაიწყეს.

***— რამდენი კილო კარალიოკისგან გააკეთეთ?***

— კილონახევარი იქნებოდა. ჭამდნენ და იძახოდნენ, რა გემრიელია, რა კარგია, რა განსაკუთრებული გემო აქვსო. რეცეპტი ორივემ ჩაიწერა, მეუღლეებს გავაკეთებინებთო. განცვიფრებულები წავიდნენ და იმ ქალსაც მადლობა უთხრეს ჩემი დახმარებისთვის. იმ ქალმა უთხრა, მე კი არა, თვითონ დამეხმარა, ჩემ ცხოვრებაში არ გამიგია ხურმისგან ფხალის გაკეთებაო. სულიკო დევაძეს რეცეპტი სახლში მიუტანია და მის მეზობლებსაც გადაუწერიათ.

***— ხურმის ფხალის გაკეთება უცბად მოიფიქრეთ?***

— დიახ, უცბად მოვიფიქრე, რადგან სხვა არაფერი მქონდა მისატანებელი მჭადთან და ყველთან. ვიფიქრე, ხურმა მჟავე არ არის, ნიგოზი და აჯიკა რომ გავუკეთო, დაამშვენებს-მეთქი. იმ ქალს ვუთხარი, აჯიკა ცოტა მეტი გაეკეთებინა, ხურმის გემო არ ეგრძნოთ. ეს ამბავი თეატრში გავრცელდა. ვაიმე, ხურმა და, აი ხურმას იმიტომ ვყიდულობთ, გაკეთება ადვილიაო... ყველამ დაიწყო ამ კერძის გაკეთება. ეს იყო ჩემი პირველი ცდა გაჭირვებისაგან გამოსასვლელად. მერე ლევან სანიკიძე რომ მოვიდა, ორნაირი ფხალი გავაკეთე. ერთი „ბურაკისაგან“, მეორე — კარალიოკისაგან. ორივე მოვრთე და მივიტანე. უფრო მეტად ხურმის ფხალი მოეწონათ. ვკითხე, ბატონო ლევან, როგორ მოგწონთ? მითხრა, ძალიან კარგია, რაღაც განსხვავებული გემო აქვს და რისგან გააკეთეო. ჯერ არ გეტყვით, ჯერ კიდევ შეჭამეთ და მერე გეტყვით-მეთქი. მერე, როცა შეჭამეს და ლაპარაკზე გადავედით, ვაუამბე. გაოგნდა. სამეგრელოში იმდენჯერ ვყოფილვარ, ყველაფერი მინახავს, მაგრამ ეს არ გამიგიაო. გაჭირვებამ გამაკეთებინა და ახლა თავისუფლად ვაკეთებ-მეთქი. ჩემ ცხოვრებაში არ დამავიწყდება. სუფრაზე რომ მივიტანე, ნერვიულობისაგან ხელები გამეყინა, რა სირცხვილია, ვაითუ, არ შეჭამონ-მეთქი, მაგრამ ისე მოეწონათ, ნამცეცი არ დარჩენილა.

***— დევნილობის გაჭირვებამ კოლხური სტუმართმასპინძლობა მაინც ვერ დაგავიწყათ?***

— დიახ. „ივერიაში“ რომ ვცხოვრობდი, ღამით ვწერდი, დღისით ვმუშაობდი. არც მეგობრების მოსვლა დამკლებია, არც წასვლა და არც შეხვედრა. გავიდოდა 10 დღე ან 1 თვე და ბატონი ლევანი რეკავდა, ქალბატონო ტატა, როგორი ყველი უნდა, მითხარი, მომაქვს და ელარჯი გააკეთეო. ყველის მოტანა საჭირო არ არის, თქვენ ვერ გაარჩევთ, ელარჯს როგორი ყველი უნდა, ნუ წუხართ, მობრძანდით და მე დაგახვედრებთ-მეთქი. ელარჯს გადასახარში ყველი უნდა, ან სულგუნი, რომელიც ახალი გაკეთებულია, მარილი რომ არ აქვს. ასეთი ურთიერთობა გვქონდა. ახლა სხვა სიტუაციაა, არ ვმუშაობ და რთულ ვითარებაში ვიმყოფები. ამიტომ ზოგჯერ მავიწყდება, როდის ვიცინოდი.

***— ქალბატონო ტატა, თბილისში მიღებულია, ვინმესთან რომ მიდიხარ, ყავით გიმასპინძლდება და ამით მთავრდება ყველაფერი.***

— არ გეწყინოთ. 18 წელია აქ ვცხოვრობ, მაგრამ კიდევ 18 წელი რომ ვიცხოვრო, თბილისელი ვერ გავხდები. მე არასოდეს ვიქნები თბილისელი. საქართველო ჩემთვის ყველაფერია. ძალიან მიყვარს თბილისი, მაგრამ თბილისის ადათ-წესებზე არ ვარ გაზრდილი და ვერ ვეგუები.

***— ანუ სტუმრისადმი თბილი დამოკიდებულება, სტუმრის პატივისცემა თქვენთვის მთავარია?***

— დიახ. საქმიანი შეხვედრაა თუ ჩვეულებრივი, რომ ვსხდებით, რაღაც მაინც ხომ უნდა იყოს. როცა ამის საშუალება არ მაქვს, ძალიან შეწუხებული ვარ. აქ ჩემი წიგნის პრეზენტაცია რომ გავაკეთე, კმაყოფილი არ ვიყავი.

***— მშვენიერი პრეზენტაცია გქონდათ?***

— მინდოდა ცხელი ხაჭაპურები და ცხელი ელარჯი ყოფილიყო, მაგრამ ამის საშუალება არ მქონდა. შემოდგომის სუფრა იყო. ზოგიერთს უთქვამს, ტატასთან ისეთი სუფრა არ იყო, დაჩვეული რომ ვიყავითო. მართალია, ისეთი არ იყო. რა მექნა? პრეზენტაცია მწერალთა კავშირში ვერ გავმართე. ვინ იცის, იქ სიტუაცია როდის დალაგდება. მინდოდა ჩემი წიგნის პრეზენტაცია სიცოცხლეში გამეკეთებინა, თუნდაც ძალიან ვიწრო წრეში.

***— კიდევ თუ გაქვთ თქვენი გამოგონილი კერძის რეცეპტი?***

— კიდევ ერთი რეცეპტი მაქვს. პიტნის, ნიორის, მარილისა და აჯიკისაგან მასა ცალკე უნდა გაამზადო და შეურიო ჭყინტი ყველი, მაგრამ მთლად ისეთიც არ ვარგა, წყალი წურწურით რომ გასდის. ერთხელ მწერალთა კავშირიდან დამირეკეს, მოვდივართო. ყველი არ მქონდა, მაგრამ იმ ქალს ჰქონდა, დერეფანში რომ იყო, ღმერთმა გაახაროს. ცოტა მაგარი ყველი იყო. მგონი ქართლში იყო დამზადებული. პატარა ტაფაზე დავდე, ზემოდან ცხელი წყალი დავასხი და ცეცხლი ავუნთე რომ დარბილებულიყო. ვაიმე, დედა, რომ არ გამომივიდეს, რა მეშველება-მეთქი. ჩვენებურ ყველს დადებ, დაიწურება და გააკეთებ.

***— სულგუნზე ამბობთ?***

— არა, პირველად ამოღებული ყველი უნდა იყოს. ყველი პიურესავით გავხადე. სხვანაირად უნდა გაკეთებულიყო, მაგრამ არ გამოვიდა, დაიფშვნა. ვიფიქრე, არა უშავს, სხვაგვარად გავაკეთებ-მეთქი და მოვამზადე ცომი, ყველში შევურიე გატარებული პიტნა, ნიორი, აჯიკა და იმ ქალს მივეცი გასაკეთებლად, დერეფანში ბუფეტი რომ აქვს. ვუთხარი, ხაჭაპურივით გამოეცხო და ცოტა ვარდისფერი რომ გახდებოდა, ამოელო. გატარებული ყველი ცოტა დავტოვე საინზე, შეიძლებოდა „სმეტანასავით“ პურზე გადაგესვა და გეჭამა. ვიფიქრე, თუ კარგი არ გამოვიდა, ქალები არიან და გამიგებენ-მეთქი. რაღაცეები დავალაგე. ცხელი ხაჭაპური შემოვიტანე. ხაჭაპური კი არა, მე თვითონ არ ვიცი, რაა.

***— ე.ი. ესეც თქვენ მოიგონეთ.***

— დიახ. ოთხად გავჭერი და ძალიან სასიამოვნო სუნი გაუშვა. ვაიმე, რა კარგია, ტატა, რა არის ესო?

***— რა დაარქვით?***

— პიტნიანი ხაჭაპური. ვუთხარი, თუ მოგწონთ, მეორეს გავაკეთებინებ-მეთქი და იმ ქალს კიდევ გავაკეთებინე. გეხვეწები, რეცეპტი მოგვეციო. ვეუბნები, მოიცა, რეცეპტებს ასე კი არ იძლევიან, გენაცვალე... ასეთი ხაჭაპურის გაკეთება სამეგრელოში იციანო? იქ რას ვაკეთებდი, აღარც მახსოვს, ახლა თბილისში ვარ და აქ მოვიგონე. სულ სხვანაირი მინდოდა, მაგრამ ყველი ისეთი არ გამოდგა, როგორიც საჭირო იყო და ვიფიქრე, ხაჭაპურივით გავაკეთებ-მეთქი.

***— პიტნაში აზელილი ყველი გინდოდათ გაგეკეთებინათ და სულ სხვა რამ გააკეთეთ...***

— დიახ. პიტნის, ყველის და აჯიკის ნარევს ცხელ ღომშიც დებენ. ძალიან გემრიელია.

***— „ივერიაში“ ცხოვრება სასიამოვნო მოგონებად დაგრჩათ?***

— დიახ. პიტნიანი ხაჭაპური რომ გავაკეთე, ჩემთან სახალხო არტისტები ზანდა იოსელიანი და თამილა ლასხიშვილი იყვნენ. ზანდას ქმარი მეგრელი ჰყავს. მან თქვა, რეცეპტი დამიწერე და ჩემს ქმარს ვეტყვი, აი, ნახე, მეგრული ხაჭაპურის გაკეთება ვისწავლეო. რა უნდა აჩვენო, მეგრული ხაჭაპურია თუ ფრანგული, მე თვითონ არ ვიცი და ის კაცი სკამიდან გადავარდება-მეთქი. მერე დამირეკავდნენ ხოლმე და მეუბნებოდნენ, ტატა, პიტნიან ხაჭაპურს თუ გააკეთებ, მოვალთ რა, გეხვეწებითო და მოდიოდნენ... ეს სასიამოვნო მოგონებად დამრჩა.

ნათია ხურცილავა

**ინტერვიუ წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მღვდელთან, დეკანოზ მამა თეოდორე გოგოლაძესთან.**

***— მამა თეოდორე, ყველაფრის საწყისი და სათავე უფლის აღდგომაა. მართლმადიდებელი სამყარო ემზადება აღდგომისთვის...***

— სწორად აღნიშნეთ, ყველაფრის საწყისი და თავი, ყოველივე სიკეთის დასაბამი უფლის აღდგომაა. რომ არ ყოფილიყო უფლის აღდგომა, არ იქნებოდა ჯოჯოხეთის წარტყვევნა, ადამიანის გამოხსნა ჯოჯოხეთიდან. ყველა ეშმაკის, სიკვდილისა და ჯოჯოხეთის ბატონობის ქვეშ იქნებოდა, მაგრამ უფლის განკაცებით, უფლის აღდგომით, უფლის ჯვარცმითა და სიმდაბლით, რაც გადარჩენის თავიდათავია, ადამიანის გამოხსნა მოხდა. ბუნებრივია, ამ დიდ მოვლენას განსაკუთრებული მომზადება, მიგებება სჭირდება. ამისთვის ეკლესიამ დააწესა დიდი მარხვა. დიდი მარხვა სხვა მარხვებისგან მართლაც განსხვავდება თავისი სიმკაცრით, ტიპიკონური აგებულებით, ლოცვით. დიდ მარხვაში, მაგალითად, სრული ლიტურგია, გარდა შაბათ-კვირისა, არ აღესრულება. აღესრულება მხოლოდ პირველშეწირულის ლიტურგია ოთხშაბათსა და პარასკევს, ასევე — თუ რამე დიდი დღესასწაულია. აღდგომის პირველი და ბოლო კვირა, ასევე ოთხშაბათი-პარასკევი ტიპიკონურად უზეთოა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც ზომიერება უნდა გამოიჩინოს ადამიანმა. მონასტერში ამ წესის დაცვა აუცილებელიც არის და ადვილიც.

***— რატომ არის ადვილი?***

— მონაზვნები მთელი დღის განმავლობაში ლოცვით ღვაწლში, უფლისადმი ვედრებაში არიან, სინანულის განსაკუთრებული ფორმა აქვთ არჩეული. ზოგს თავისი კანონი აქვს და იმ კანონს ასრულებს, ამიტომ უფრო ადვილდება, მაგრამ ერისკაცისთვის შედარებით ძნელია. ცხოვრება ისედაც გართულებულია, ადამიანი მხოლოდ სახლში არ არის, სახლიდან გადის, ტაძარში მოდის, მეუღლეს, შვილებს, ოჯახს უნდა მიხედოს. სამსახურში უნდა მივიდეს და უნდა შეძლოს იმ დავალების აღსრულება, რომელსაც მისგან სამსახური ითხოვს. ამისთვის, ბუნებრივია, ფიზიკური ძალაა აუცილებელი, გარდა სულიერი ძალისა. მახსენდება თეოდორე სტუდიელის სიტყვები, რომლის სწავლებაც დიდი სერობის შემდეგ იკითხება. ერთ-ერთ ქადაგებაში დიდი მამა ბრძანებს: ჯობია, დღეში ერთხელ მიიღო საზრდელი, ვიდრე მთელი კვირა არ მიიღო არაფერი და აღარც ლოცვა შეგეძლოს, ვეღარც ფეხზე დგომა, ვეღარც ვედრება. ჯობია, შედარებით მოძლიერებული იყოს სხეული და ადამიანს შეეძლოს ლოცვა,

**ხშირია შემთხვევა, როდესაც მოდის ადამიანი და ამბობს, ჩემს მოძღვართან ვერ ვიხსნებით. მოძღვარმა არ უნდა გამოჩხრიკოს, რატომ? სად? რისთვის? ეს კითხვები შეიძლება დამაბრკოლებელი გახდეს. აღსარება მრევლს სულიერ თავისუფლებაში უნდა დაეხმაროს. აღსარების შემდეგ ადამიანმა სულის თავისუფლება უნდა იგრძნოს, სულიერი სიმშვიდე. ხშირად მეკითხებიან: როგორ უნდა ვთქვა აღსარება? რა უნდა ვთქვა აღსარებაში? ადამიანმა აღსარებაში ის უნდა თქვას, რაც მის სულს აწუხებს.**

ვედრება, მეტანიების აღსრულება, წმინდა წერილის კითხვა, ვიდრე არაფერი მიიღოს და სხეული ისე მოუძლურდეს, რომ ვერაფერი შეძლოს. პირადად მე ჩემს მრევლს მკაცრ კურთხევას არ ვაძლევ, რომ აუცილებლად უზეთო მარხვა დაიცვან. ვამბობ, არის ასეთი ტიპიკონი და, თუ ვინმეს შეგიძლიათ ისე, რომ ან ამპარტავნობაში არ ჩავარდეთ, ან დიდი წარმოდგენა არ შეგექმნათ საკუთარ თავზე, მაშინ დაიცავით. პავლე მოციქულის სიტყვები გამახსენდა, რომელიც მშვენივრად განმარტავს: მჭამელი მას არამჭამელსა ნუ განიკითხავ და არამჭამელი მჭამელსა მას ნუ განიკითხავ. საჭმელი და მუცელი ორივე ღმერთმა განაქარვოს. საჭმელი და სასმელი სასუფეველს ვერ დაიმკვიდრებს. ჩვენ საჭმელის მოკლება, სასმელის მოკლება, ზეწოლა, მღვიძარება, ფსალმუნება, მეტანიები, კეთილი საქმეები, აღსარება, სინანული, ზიარება, ეკლესიური ცხოვრება — ეს ყველაფერი გვჭირდება მხოლოდ იმისთვის, რომ სული გადავირჩინოთ, ვცხონდეთ და სასუფეველი დავიმკვიდროთ. მოძღვრის კურთხევის გარეშე ადამიანმა საკუთარ თავზე რაიმე სახის ღვაწლი არ უნდა აიღოს. ეს არ შეიძლება, რადგან შესაძლოა გაუთვალისწინებელი რამე მოხდეს და ადამიანი უფრო დიდ ცოდვაში ჩავარდეს. უნდა აღვნიშნო, რომ მოძღვრის არ უნდა გვეშინოდეს. შეიძლება ადამიანს ღმერთის ეშინოდეს? თუმცა, „შიში ღვთისა დასაბამი სიბრძნისა“, მაგრამ აქ საუბარია სხვა შიშზე. მე გეუბნებით იმ შიშზე, რომლის გრძნობაც ადამს სამოთხეში გაუჩნდა. ადამი სამოთხეში დადგენილი იყო ყოველივე ხილულის ხელმწიფედ, მეუფედ. ამის დასამტკიცებლად, როგორც ერთ-ერთი წმინდანი ბრძანებს, უფალმა მოიყვანა მასთან ყოველი ცხოველი, ფრინველი, თევზი და ყველაფერს ადამმა დაარქვა სახელი, ბალახსაც კი. ეს იმას ნიშნავს, რომ მათზე ხელმწიფება მიიღო მან, მაგრამ, როდესაც დაეცა ეშმაკის მანქანებით და განიძარცვა სულიერი სამოსი, მოესმა ღვთის ხმა: „ადამ, სად ხარ?“ განა უფალმა არ იცოდა, სად იყო ადამი ტერიტორიულად, მაგრამ საუბარია ამაზე: ადამ, სად იყავი, რა სიმაღლეზე და სად დაეშვი. ადამმა, ნახეთ, რა უპასუხა: ხმისა შენისა შემეშინდა და დავიმალეო. სწორედ ამ შიშზე, ცოდვის გამო შიშზე ვსაუბრობ. როდესაც ადამიანი მეტს სცოდავს, არის შემთხვევები, რომ დიდი ხნის განმავლობაში მრევლი ვერ მოდის ტაძარში, ეშინია, ფიქრობს, მივალ ტაძარში და მოძღვარი გამლანძღავსო, მაგრამ, რატომ უნდა გალანძღო ან უყვირო? რჯულის კანონში წერია, შემცოდეზე არც ხელი არ უნდა აღმართო და არც უყვირო. მამათა ნაშრომების, ზეპირი გადმოცემის, წმინდა წერილის მიხედვით მოძღვარს გამოაქვს დასკვნა და საეკლესიო ეპიტიმია შემცოდის მიმართ. აღმსარებელი მოძღვარმა არ უნდა დათრგუნოს და სასოწარკვეთაში არ უნდა ჩააგდოს, პირიქით, მრევლს ეპიტიმია უნდა მოეხმაროს სულიერი სიმტკიცის მოპოვებასა და სულიერი ცხოვრების გაგრძელებაში, უფალთან მიახლების გზაზე. მოძღვარს დიდი სიბრძნე და წინდახედულება მართებს.

***— შეიძლება დამაბრკოლებელი აღმოჩნდეს შიში და ეკლესიურ ცხოვრებასაც განერიდოს ადამიანი?***



— რა თქმა უნდა.

***— ამ შემთხვევაში მოძღვარზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული?***

— რასაკვირველია. ხშირია შემთხვევა, როდესაც მოდის ადამიანი და ამბობს, ჩემს მოძღვართან ვერ ვიხსნებიო. მოძღვარმა არ უნდა გამოჩხრიკოს, რატომ? სად? რისთვის? ეს კითხვები შეიძლება დამაბრკოლებელი გახდეს. აღსარება მრევლს სულიერ თავისუფლებაში უნდა დაეხმაროს. აღსარების შემდეგ ადამიანმა სულის თავისუფლება უნდა იგრძნოს, სულიერი სიმშვიდე. ხშირად მეკითხებიან: როგორ უნდა ვთქვა აღსარება? რა უნდა ვთქვა აღსარებაში? ადამიანმა აღსარებაში ის უნდა თქვას, რაც მის სულს აწუხებს.

***— დავიწყების შემთხვევაში?***

— უფალი აღსარების თქმისთვის, სინანულისთვის მოუწოდებს ადამიანს და ის გაახსენებს. ანგელოზი, რომელმაც აღსარებამდე მიიყვანა, ის ახსენებს. არ მისცემს საშუალებას, არ დააძინებს, რომ დაავიწყდეს, მაგრამ, თუ ადამიანს უნდა, სინდისი ჩაკლას, ეს უკვე სხვაა. თუ ადამიანს გულითა და სულით უნდა, რომ შეინანოს, ამაში მას უფალი, პირიქით, ეხმარება. ამისთვის არის სწორედ მოძღვარი. ადამიანი აღსარების თქმას გადაწყვეტს სინანულიდან გამომდინარე, რადგანაც საიდუმლო, ვიმეორებ, არის სინანული. აღსარება არის სინანულის ხილული ფორმა. მოძღვართან მიდის აღმსარებელი, პირისპირ ეუბნება, ინანიებს, მერე მოძღვარი ოლარს გადააფარებს და შენდობის ლოცვას უკითხავს, მერე აძლევს ეპიტიმიას და განწმენდილი მიეახლება წმინდა ზიარებას, მაგრამ ადამიანმა უნდა დაყოს, რა არის მთავარი, რამ უბიძგა ამა თუ იმ ცოდვისკენ. როდესაც მაცხოვარმა იორდანეში ნათელი იღო, 40 დღე-ღამის განმავლობაში იმარხულა. ერთი შეგონება იმათთვის, ვინც ინათლება, უფრო სწორად, მშობლებს. ხშირად ნათლობა საბაბად იქცევა უზომო ქეიფისთვის, არადა, სახარებაში წერია, რომ უფალმა 40 დღე და ღამე იმარხულა. არავინ სთხოვს არავის, რომ 40 დღე იმარხულოს და არაფერი ჭამოს. ეს მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. უნდა გაითვალისწინონ, რომ რაც მადლი მიიღეს ნათლისღებისას, ერთ დღეში და ორ საათში არ უნდა დაკარგოს დროსტარებით, არამედ, პირიქით, ნათლისღების შემდეგ განსაკუთრებულ ლოცვას, მარხვას უნდა მიეცეს. ამბობენ, მარხვაში ნათლობა არ შეიძლებაო. როგორ არ შეიძლება. თუმცა, დიდმარხვის დროს არის რამდენიმე კვირა, როდესაც თავს იკავებდა ძველი ქრისტიანი ნათლობისგან. დიდ შაბათს იყო გრანდიოზული ნათლობა. მარხულები, განწმენდილები, სინანულით აღსავსენი მიდიოდნენ

# მარხვა სულის გადასარჩენად გვჭირდება

## მო ღვარს დიდი სიბრ ნე და წინდახედულება მართებს

ტაძარში და ინათლებოდნენ დიდ შაბათსა და აღდგომას. ამიტომაც არის, რომ დიდ შაბათსა და აღდგომის დღეებში ნათლისღების საგალობელი იგალობება. არავინ ითხოვს, 40 დღე არაფერი ჭამოო. ეს დიდ მამებსაც კი უჭირდათ. თვით სვიმეონ მესვეტესაც კი გაუჭირდა, 40 დღე იმარხულა და ცოცხალ-მკვდარი იპოვა ანტიოქიის პატრიარქმა. ეს მოსეს შეეძლო, ჯერ 40 დღე იმარხულა, შემდეგ ქვის ფიცრები დაამსხვრია, მერე ისევ 40 დღე იმარხულა ებრაელი ერისთვის, რომლის გამოც დაისაჯა და აღთქმული ქვეყანა მხოლოდ შორიდან ნახა და არც შეუშვა ღმერთმა, ასეთი ადამიანი, რომლის მსგავსი სიმშვიდის, ალბათ, თითზე ჩამოსათვლელი თუ ვიცით წმინდა წერილიდან.

***— მმარხველს სიმშვიდე უნდა ახლდეს თან?***

— როდესაც ზომაზე მეტად მარხულობს ადამიანი, შეიძლება, გაღიზიანებაც გამოიწვიოს ამან. განსაკუთრებით პირველ და ბოლო შვიდეულს ეხება, როდესაც ცდილობენ, რაც შეიძლება მკაცრად შეინახონ. ამას თან ერთვის გაღიზიანება მოძღვრის, ტაძრის, მშობლების, ახლობლების მიმართ. ადამიანის სულიერი ღვაწლი და ფიზიკური მონაცემები თანხვედრაში უნდა იყოს, დისბალანსი არ უნდა მოხდეს.

***— მამა თეოდორე, თეოლოგების ნაწილი, მორწმუნე მრევლი ხშირად საუბრობს იმაზე, რომ აღსარების დროს მოძღვართან ბოლომდე ვერ იხსნება, რადგან მას მოძღვარი უყურებს. მაგალითად, კათოლიკურ ეკლესიაში მოძღვარი არ ჩანს, მრევლი მიდის და აბარებს აღსარებას. რას იტყვით ამ საკითხზე?***

— რა არის ოლარი? ეს არის ქრისტეს უღელი გაორმაგებული საღვთო მადლით. დიაკვანს აქვს გინგილა. მღვდელს გაორმაგებული გინგილა აქვს. უღლის შესახებ მაცხოვარი სახარებაში ბრძანებს: აღიღეთ უღელი თქვენი ჩემზედა, რამეთუ უღელი ჩემი ტკბილ არს და ტვირთი ჩემი სუბუქ არს. როდესაც ადამიანი უფლის ტაძარში სინანულით მოდის, როდესაც სინანულით მოუდრეკ მუხლს და ქედს მოძღვარს ოლარს, ამით აჩვენებს გარეგნულ სახეს მაცხოვრის უღლისადმი მორჩილებისა და სურვილისა, რომ მაცხოვრის უღელი თავზე დაიდგა. როდესაც მოძღვარი კითხულობს შენდობის ლოცვებს, ტვირთი, რომელიც ცოდვის გამო დაედო ადამიანის ქედს, განქარდა და აღისუბუქა. რაც შეეხება აღსარების გარეგნულ ფორმას, უნდა ვიცოდეთ, მაშინაც კი, როდესაც ეკლესია ერთიანი იყო, ადგილობრივი თავისებურებებიც არსებობდა. კათოლიკური სამყაროს ტრადიცია იყო ის და ისეთ ფორმას არჩევდნენ. თუმცა, ესეც პირობითია. როდესაც მოძღვარი შემოდის, ხომ შეიძლება, შეხვდეს აღმსარებელი. თუმცა, შეიძლება ითქვას, რომ რაღაც კომფორტი არის. ვიდრე მართლმადიდებელ და კათოლიკურ ეკლესიებში აღსარების გარეგნული ფორმა ჩამოყალიბდებოდა, მანამდე აღსარება საყოველთაო იყო. ყველა ქრისტიანი საკურთხევლის წინ იდგა და ხმამაღლა აღიარებდა თავის ცოდვას. თუ დაბრკოლებაზეა საუბარი, მაშინ უნდა ყოფილიყო. საქმე ის არის, რომ იმდენად დიდი იყო მათში სინანული, ისინი არ უყურებდნენ იმას, რას იტყვის მოძღვარი, მიცნობს ან არ მიცნობსო. მაშინ ერთი ქრისტიანული თემი იყო. მაშინ დიდი სასჯელი იყო მრუშობისთვის, კაცისკვლისთვის, პარვისთვის. ფაქტიურად, ამისთვის ქრისტიანული თემიდან იკვეთებოდნენ, რაც უფრო დიდი სასჯელი გახლდათ. ახლა იმდენად დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს, რა გარეგნული ფორმაა აღსარების კათოლიკურ თუ მართლმადიდებელ სამყაროში. ვიმეორებ, ადამიანი, რომელიც შინაგანად შეწუხებულია თავისი ცოდვებით, უკვე აღარ უყურებს, რას ეტყვის მას მოძღვარი.

***— ანუ, ადამიანი როდესაც სინანულშია, მისთვის მთავარია, აღიაროს და არ ფიქრობს იმაზე, რას იფიქრებს მოძღვარი...***

— რა თქმა უნდა. ასევე მოძღვარს არ ახსოვს ყველა აღსარება. ზოგიერთ სამრევლოში მრევლი ათასობით არის. შეიძლება, მოძღვარს გაახსენდეს სიტუაციიდან გამომდინარე აღსარება, მაგრამ, არა იმიტომ, რომ შეურაცხყოფა მიაყენოს, არამედ იმიტომ, რომ, პირიქით, სწორ გზაზე დააყენოს, სულიერი ცხოვრების წინსვლისთვის გამოიყენოს. თუმცა, ვის რას ვუმალავთ. უფალი ბრძანებს: „არა არს დამალული, რომელი არა გამოცხადდეს და დაფარული, რომელი არა საცნაურ იყოს“. ყველაფერი, რაც შეიძლება მალულად გავაკეთოთ, მოვა დრო და ყველა გაიგებს, მაგრამ, აღსარებაში რასაც ადამიანი იტყვის და გულით შეინანებს, იმას ვერავინ ვეღარ გაიგებს. თუ ჩაიდენ, ისევ უნდა თქვა აღსარება. რატომ? იმიტომ, რომ დიდი მამები ამბობენ: სინანული განმაახლებელ არს ნათლისღებისა. ნათლისღება ერთხელ ხდება, როგორც უფლის შობა და აღდგომა. ადამიანის ხორციელი შობა ერთხელ მოხდა და სულიერიც ერთხელ უნდა მოხდეს. ნათლისღების დროს ადამიანს ნებისმიერი ცოდვა მიეტევება, მაგრამ, შემდეგ არ ვართ დაზღვეული, რომ ცოდვა არ ჩავიდინოთ. ამიტომ არის საჭირო აღსარება და მონანიება. ამიტომ დაუშვა უფალმა სინანულის საიდუმლო და ამიტომ დაადგინა მღვდელნი, სამღვდელო დასი უფალმა. რა არის ნება ღვთისა: რომელსა ნებავს ყოველთა კაცთა ცხოვრება და გზასა ჭეშმარიტებისა მოსვლად. ამას ემსახურება მაცხოვრის განკაცება.

ეკა ირემაშვილი

# თეთრ ცხენზე ამხედრებულ უფლისწულზე არ ვოცნებობ

## თაკო აბაში ე ცხოველების უფლებებს გორშიც იცავს

**მსახიობი თაკო აბაშიძე უკვე მეოთხე თვეა საცხოვრებლად გორში გადავიდა და გორის თეატრში დაიწყო მუშაობა. ახლა წინასაპრემიერო გაწამაწია აქვს. რეჟისორმა გიორგი შალუტაშვილმა ახალ სპექტაკლ „ყოფილების სარეცელში" დაკავა.**



თაკო მეტად ენერგიული და გახსნილი რესპონდენტია. უყვარს სიცოცხლით სავსე ადამიანები, რადგან მოდუნებული პიროვნებები თრგუნავენ. არ არსებობს თემა, რომელზეც გულწრფელად არ დაგელაპარაკება. სიგიჟემდე უყვარს ცხოველები და არ მალავს, რომ არასოდეს იცხოვრებს ადამიანთან, რომელსაც ცხოველები არ ეყვარება.

მსახიობი არ მალავს, რომ შეყვარებულია. სჯერა, რომ სიყვარული ნებისმიერ პოზიციაში შეიძლება დაიბადოს. მისი რჩეული კი, გარიგების არაერთი მცდელობის მიუხედავად, საკუთარი გემოვნებით ამოარჩია.

**თაკო აბაშიძე:**

— მეოთხე თვე დაიწყო, რაც გორში ვცხოვრობ და ვმუშაობ გორის თეატრში საზოგადოებრივი სამსახურის უფროსად, თან მსახიობიც ვარ და თეატრში სპექტაკლებშიც ვთამაშობ. დღეს რომ გორის თეატრში ვარ, ეს ამ თეატრის მმართველის, მისი მოადგილის, სამხატვრო ხელმძღვანელისა და იმ ადამიანების დამსახურებაა, რომლებმაც ნდობა გამომიცხადეს.

***— გაგიჭირდათ ამ გადაწყვეტილების მიღება?***

— არა, საერთოდ არ გამჭირვებია. არ შეიძლება, ყველა მსახიობი დედაქალაქში მუშაობდეს. ყველა ქვეყანა არ არის განებივრებული იმით, რომ რეგიონებში არსებობდეს თეატრები. ამ კუთხით ჩვენ საკმაოდ ძლიერი ქვეყანა ვართ, ამიტომ ყველანი ერთიანი ძალებით უნდა შევესიოთ რეგიონულ თეატრებს, რომ ისინიც აღორძინდნენ და ახალი სიცოცხლე შევიდეს თეატრებში. ყველამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისთვის, რომ მაყურებელმა თეატრში იაროს.

***— ფესტივალსაც ამიტომ ატარებთ?***

— რა თქმა უნდა. ეს არის დიდი საჩუქარი, იმიტომ რომ ძალიან ცოტა ადამიანი ახერხებს, იაროს თბილისში მარჯანიშვილის, რუსთაველის, კინომსახიობთა თეატრში და ნახოს საუკეთესო სპექტაკლები. ჩვენ საქართველოს თითქმის ყველა თეატრი გამოგვეხმაურა. ერთი თვის განმავლობაში ამ რეგიონის მცხოვრებლებს აქვთ საშუალება, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო თეატრების სპექტაკლები ნახონ. ამით კეთდება მეორე საქმე — ის შემოსავალი, რაც შემოვა გაყიდული ბილეთებიდან, მოხმარდება თეატრის დიდი სცენის რეაბილიტაციას, რომელიც მთლიანად ამორტიზირებულია. ჩვენ ბილეთისთვის ისეთი ფასი არ დაგვიდია, რომ მაყურებელმა მისი ყიდვა ვერ შეძლოს.

***— გორის თეატრზე მშობლიური თეატრივით საუბრობთ...***

— ძალიან მშობლიური გახდა გორის თეატრი ჩემთვის. მართლა შემიყვარდა იქაურობა. ზოგადად თეატრი მიყვარს და მით უმეტეს ის თეატრი, რომელშიც ახლა ვმუშაობ. ეს არის უძველესი თეატრი და უდიდესი ტრადიციები აქვს. ვისურვებდი, გორის თეატრი იყოს ერთ-ერთი უპირველესი თეატრი საქართველოში.

***— გორის თეატრს მანამდეც ასე კარგად იცნობდით?***

— სამწუხაროდ, არა. როგორც მიყვებიან, მაყურებელი გორის თეატრს მანამდეც ჰყავდა. პერმანენტულად დაიწყო მაყურებლის უკუსვლა, ახლა კი გვინდა, გორის თეატრი ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება იყოს გამოცოცხლების, განტვირთვის, სულიერი დასვენებისა.

***— პრემიერა როდის გაქვთ?***

— ჩვენი პრემიერაც ამ ფესტივალის ფარგლებშია დანიშნული. რეჟისორმა გიორგი შალუტაშვილმა დადგა ირაკლი სამსონაძის პიესა „ყოფილების სარეცელი", რომელშიც ვთამაშობთ მე და გიორგი რევაზიშვილი. ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო პიესა, რომელიც წამიკითხავს და ეს სპექტაკლი გახდება ჩემთვის ერთ-ერთი საყვარელი სპექტაკლი.

***— როგორც წესი, მსახიობებს არ უყვართ საყვარელი როლისა და სპექტაკლის გამორჩევა.***

— ასე ვარ მეც, მაგრამ ეს სპექტაკლი ჩემთვის ნამდვილად გამორჩეულია.

***— ირაკლი სამსონაძის ეს პიესა რუსთაველის თეატრშიც დაიდგა. გაქვთ ნანახი?***

— არა. ერთი პერიოდი მინდოდა წასვლა და ნახვა, მაგრამ ვერ მოვახერხე, ახლა კი შეგნებულად არ ვნახე.

***— თეატრის დასს ადვილად მოერგეთ?***

— კი, არაფერი გამჭირვებია. საერთოდ, კომუნიკაბელური ადამიანი ვარ და ყველას ადვილად ვუგებ. დიდი დრო არ მჭირდება ადაპტაციისთვის, დისკომფორტს არ განვიცდი ადამიანებთან ურთიერთობისას და ვცდილობ, მათ მეტად გავუგო.

***— თაკო, როგორ მიგიღოთ გორმა?***

— ძალიან კარგად, თბილად და დადებითად. აქ საოცარი ხალხია. სიამოვნებით ვცხოვრობ, თან თბილისიდან არც ისე შორს არის. ერთი პრობლემა ის მაქვს, რომ ჩემები მენატრებიან.

***— თბილისში ხშირად ახერხებთ ჩამოსვლას?***

— როგორც კი თავისუფალი დრო გამომიჩნდება, მაშინვე თბილისში მოვდივარ. ყველა ჩემი საყვარელი ადამიანი თბილისშია და ამიტომ მათი ნახვა ხშირად მინდება. კვირაში ერთხელ მაინც ჩამოვდივარ. გორი არ არის ძალიან შორს, თან ახალი გზა ძალიან ამარტივებს გადაადგილებას, შემხვედრი მანქანებიც არ მოდის და უფრო მშვიდად ვარ. იცით, როგორი სენი მჭირს? გვერდით რომ ვუზივარ მძღოლს, ზუსტად ისევე ვატარებ, როგორც ის, იმავე მანევრებს ვაკეთებ, რასაც მძღოლი.

***— საყვარელ ცხოველებს როგორ შეელიეთ?***

— ეს ჩემთვის ყველაზე მტკივნეული თემაა. სამწუხაროდ, თბილისიდან გორში ჩემი არც ერთი ცხოველი არ წამომიყვანია, რადგან ვიცი, რომ მათ სერიოზული მოვლა სჭირდებათ. ყველა ოჯახში დავტოვე და დედაჩემი უვლის. საქვეყნოდ ცნობილია, რომ ცხოველები სიგიჟემდე მიყვარს და მათი უფლებების დამცველ საზოგადოებაშიც ვმუშაობ. ეს არის ცხოველთა დაცვისა და ჯიშიანი ძაღლების მოვლის ფედერაცია. მართალია, გორში თბილისიდან ჩემი საყვარელი ცხოველები ვერ წავიყვანე, თუმცა იქ არიან მაწანწალა ძაღლები, რომლებსაც ყოველ დილით ვაპურებ. სახლში ცხოველი რომ გყავს, მას განსაკუთრებული ყურადღება და სითბო სჭირდება. ვინაიდან გორში მთელი დღე გასული ვარ სახლიდან, აქ ცხოველს ვერ გავაჩერებ.

***— ცხოველების მხოლოდ მოვლა გიყვართ თუ გაჩუქებაც?***

— ცხოველის გაჩუქება და კარგი პატრონისთვის ჩაბარება ჩემთვის უდიდესი სიამოვნებაა. გორიდან ახლახან წამოვიყვანე ლეკვი და თბილისში გავაჩუქე. ერთ საღამოს გვიან დავბრუნდი სახლში და მაშინვე მივწექი. უკვე უნდა დამეძინა, რომ უცებ მომესმა ლეკვის წკმუტუნი. საერთოდ, გორში ცივი ჰავაა და ვიფიქრე, ალბათ, ვინმემ გალახა ძაღლი ან სახლიდან გამოაგდო-მეთქი. ვერაფრით დავიძინე, ხალათით გავედი სადარბაზოში და რას ვხედავ? პატარა ლეკვი კიბესთან წკმუტუნებდა და კანკალებდა. ვაიმე, შოკში ჩავვარდი. შემოვიყვანე, ვაბანავე, ვაჭამე. მივხვდი, რომ ეს ძაღლი უნდა დავიტოვო და, თუ ლეკვი დავიტოვე, მაშინ ყველაფერს თავი უნდა დავანებო, ამიტომ ვუპოვე კარგი პატრონი და ახლა მშვენივრად ცხოვრობს თბილისის მახლობლად თავის ახალ პატრონთან ძალიან კარგ ოჯახში. ისეთი ბედნიერი ვარ... ერთხელ მანგლისიდანაც ასე წამოვიყვანე ძაღლი და გავაჩუქე.

***— ცხოველებისადმი ასეთი გამძაფრებული სიყვარული ბავშვობიდან გაქვთ?***

— ეს დედაჩემის დამსახურებაა. მასაც ძალიან უყვარს ცხოველები. პრობლემა განა იმაშია, რომ ბევრი უპატრონო ცხოველია ჩვენ გარშემო. პრობლემა თვითონ ადამიანებშია. როგორც წესი, ცხოველების უმრავლესობა სახლიდან არის გაგდებული. ისინი შემდეგ ერთმანეთშიც მრავლდებიან და ინფიცირდებიან. ეს საკითხი საკმაოდ სერიოზულად არის განსახილველი და მოსაგვარებელი. ისინი ცივილიზებული მეთოდით უნდა აღირიცხოს, მოხდეს მათი ჯანმრთელობის შემოწმება და, თუკი ძაღლი არ არის ინფიცირებული, მისი მოკვლა ნამდვილი კრიმინალია. თუ ძაღლი ინფიცირებულია, უნდა მოხდეს მისი დაძინება და არა ისე სადისტურად მოკვლა, როგორც ჩვენთან ხდება. ყველა ნორმალურ ქვეყანაში უკვე ცივილიზებული მეთოდები მოქმედებს. თუ გაეროში შესვლა გვინდა, მაშინ ცხოველთა უფლებების დაცვაზე სერიოზულად უნდა ვიმსჯელოთ. არ მინდა, ცუდად გამომივიდეს, მაგრამ ხშირად ცხოველები გაცილებით ერთგულნი არიან, ვიდრე ადამიანები. არ მსიამოვნებს ამის თქმა, მაგრამ ეს სიმართლეა. ძალიან ვღიზიანდები, როცა ამბობენ, ცხოველი იმიტომ არის შენი ერთგული, რომ აჭმევო. უკაცრავად, მაგრამ ძალიან ბევრი ადამიანი ვიცი, რომელსაც შეიძლება პატივიც სცე, თან გადაჰყვე, გვერდით დაუდგე, მაგრამ მაინც არ უყვარდე.

***— სახლში რამდენი ცხოველი გყავთ?***

— მთლად საგიჟეთი არ გვაქვს სახლში, მაგრამ მყავს პეკინესის ჯიშის ძაღლი, სპარსული ჯიშის კლასიკური კატა, სპარსული სამეფო კატა, ერთი კუ, ზაზუნა, სამი იადონი, მთის ჩიტი ცოლ-ქმარი, რომელთაც „ჩიჟიკებს" ეძახიან, მყავს თუთიყუში, რომელიც ჩემზე უკეთ ლაპარაკობს, თევზები. ეზოს კატებს აღარ ვთვლი, ისინი, როგორც წესი, მოდიან, ჭამენ და მიდიან.

***— მათ პირადად უვლით?***

— კი, მათი მოვლა დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ჩვენს ოჯახში ფლორა და ფაუნა უმაღლეს დონეზეა აყვანილი. ჩემს ცხოველებს ცალკე ერთი ადამიანი სჭირდებათ. ეს არის დედაჩემი. მას ყოველთვის უყვარდა ცხოველები და მეც ოჯახმა შემაყვარა ისინი. ყველა ბავშვს ვეუბნები, რომ ცხოველი აუცილებლად უნდა უყვარდეს. შინაური ცხოველი მთლიანად პატრონზეა დამოკიდებული, ამიტომ ისინი ძალიან მეცოდებიან. საქართველოში არის კიდევ ერთი გასაოცარი ტენდენცია — ცხოველი მოსწონთ ლეკვობისა და კნუტობის პერიოდში. როგორც კი გაიზრდებიან, მორჩა, აღარ უნდათ და მაშინვე ქუჩაში აგდებენ. არ ვიცი, რატომ არ ესმით, რომ ცხოველი, რომელიც სახლში მოგყავს, შენი ოჯახის წევრი ხდება და მას ისევე უნდა მოაურო, როგორც ოჯახის დანარჩენ წევრებს. თუ არ გაქვს მისი რჩენის თავი, საერთოდ არ უნდა მოიყვანო. მათ ჩვეულებრივი განცდები აქვთ. ჩემს ძაღლს ჰქონდა ცრუ ორსულობა, თავისი ექიმი ჰყავდა. ჩვენ ჭკუაზე არ ვიყავით, გვეგონა, ჩიკო ლეკვებს გააჩენდა, იყო სახლში სტაფილოს ხეხვები და ერთი ამბავი. ძალიან რომ გადააცილა, მივიყვანეთ ექიმთან და აღმოჩნდა, რომ მუცელში წყალი ჰქონდა და ლეკვები არ ჰყავდა. ეს ჩემმა ძაღლმა საშინლად განიცადა. ისე ძალიან უნდოდა შვილები, რომ ჩვენი კატა, რომელიც შარშან 19 წლის ასაკში გარდაიცვალა, როგორც კი კალათიდან ამოვიდოდა, ჩიკო მაშინვე გარბოდა და მის კნუტებს უწვებოდა. მაპატიოს ყველამ, მაგრამ ჩემს კატასა და ძაღლს გაცილებით მეტი დედობრივი ინსტინქტები აქვთ, ვიდრე იმ ქალბატონს, რომელმაც ცოტა ხნის წინ საკუთარი შვილი მოკლა მისაქციელში.

***— ანუ თქვენ ანგრევთ მითს იმის შესახებ, რომ კატისა და ძაღლის მეგობრობა გამორიცხულია?***

— რასაკვირველია. ვისაც არ სჯერა, მოვიდეს ჩემს ოჯახში და ნახავს. საკუთარი სახლი გვაქვს და, როცა ჩემი კატა ეზოში გადის, ჩემი ძაღლი მიჰყვება და კატას იცავს. თქვენ რომ ნახოთ, როგორ წვება ჩემი ძაღლი პირაღმა და ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ჩემი კატა როგორ აწვება, შეიძლება ვერ გადაიტანოთ.

***— საკმაოდ სწრაფად ლაპარაკობთ. ასეთივე სწრაფი ტემპით ცხოვრობთ?***

— რა თქმა უნდა. იმდენი საქმე მაქვს და იმდენი რამეა მთელი დღის განმავლობაში მოსასწრები, რომ მოდუნების დრო არც მრჩება. საერთოდ ვერ ვიტან მოდუნებულ ადამიანებს. სიცოცხლით სავსე პიროვნებები მავსებენ და მახალისებენ. ძალიან მხიარული ვარ და, თუ მოდუნებულ ადამიანთან ვურთიერთობ, ეს საშინლად მთრგუნავს, ამიტომ ჩემ გარშემო ძირითადად ჩემნაირი „დაქოქილი" ადამიანები არიან.

***— მიეჩვიეთ იმ ფაქტს, რომ სერიალით უფრო მალე გახდით პოპულარული?***

— თეატრი და კინო — ეს ორი აბსოლუტურად სხვადასხვა რამ არის. ორივემ საშინელი მონატრება იცის. კინოც ისევე მიყვარს, როგორც თეატრი, მაგრამ თეატრი განსაკუთრებულია, იმიტომ რომ ცოცხალი ორგანიზმია. იქ სულ მუშაობ და არ ჩერდები. კამერამ საშინელი მონატრება იცის. სანამ გავხდებოდი პოპულარული, იყო წლები, როცა ვმუშაობდი თეატრში, მაგრამ ასეთი პოპულარული არ ვიყავი და მაყურებლის მხოლოდ ის კონტინგენტი მიცნობდა, რომელიც თეატრში დადიოდა.

***— გადაღებები არ გენატრებათ?***

— კი, ძალიან მენატრება. კინომაც იცის მონატრება. სერიალის პირველი სერია რომ გავიდა და მეორე დღეს გავედი ქუჩაში, უკვე პოპულდარული ვიყავი. ეს ძალიან კარგია. ჩემთვის პოპულარობა დიდი სიამოვნებაა. ტყუილია, როცა ამბობენ, რომ პოპულარობა დამღლელია. არ მჯერა იმ ადამიანების, რომლებიც ამბობენ, რომ ეს ყველაფერი მოსაბეზრებელია. როცა ამ პროფესიას ირჩევ, თავიდანვე უნდა შეეგუო, რომ ცნობადი იქნები და საზოგადოებისთვის საინტერესო ადამიანი გახდები. თუ არ გსიამოვნებს ეს ყველაფერი, მაშინ პოპულარული არ უნდა გახდე. არ ვიცი, ალბათ, მე არ მაწუხებს ეს პოპულარობა, დისკომფორტს ნამდვილად არ განვიცდი. ქუჩაში ჩვეულებრივად დავდივარ, არ ვიძაბები, არ ვკომპლექსდები, ისევ ის თაკო ვარ, რაც აქამდე ვიყავი. ალბათ, ცუდად არ მექცევიან ის ადამიანები, რომლებიც მცნობენ. მსიამოვნებს ნამდვილად, როცა დავდივარ ქუჩაში, მხვდებიან, მეფერებიან. ანტიპათია, ბოლმა და აგრესია ჩემ მიმართ არასოდეს მიგრძვნია. თუმცა, არც ის შეიძლება, რომ ყველას უყვარდე.

***— მაყურებელს უკვე გადაავიწყდა თქვენი პერსონაჟი ნატა თუ ისევ ამ სახელით მოგმართავენ?***

— სერიალი ისეთი რამ არის, რომ მომენტალურად გხდის პოპულარულს. ნატას სახელს ისე შევეჩვიე, ახლაც ვინმე ნატას თუ ეძახიან, მექანიკურად მეც ვიხედები. ორივე სახელს მეძახიან — ზოგისთვის თაკო ვარ, ზოგისთვის — ნატა. ამაზე გართულება არ მაქვს.

***— ჭორებზე საშინლად რეაგირებთ თუ უკვე რეაქცია აღარ გაქვთ?***

— ჭორზე რეაქცია არც არასოდეს მქონია. ჟურნალისტებისაც მესმის. ვიცი, რომ მათაც უნდათ, ისეთი სათაური შეარჩიონ, რომელიც ჟურნალს გაყიდის. როცა გამოვიდა ფილმი, „რაც ყველაზე ძალიან გიყვარს 2", იქ ორსულად ვიყავი. მოვიდა ჟურნალისტი, ჩავწერეთ ინტერვიუ და ყდაზე ვარ, თან აწერია სათაური — „ვისგან არის ორსულად თაკო აბაშიძე". მოვიდა მეორე ჟურნალისტი. ძალიან აღშფოთებული ველაპარაკე. ისიც დამეთანხმა. ამ დროს გამოვიდა ის ინტერვიუც, ისევ ყდაზე ვარ და წერია — თაკო აბაშიძეს ტყუპები შეეძინა. სამწუხაროდ, საზოგადოებას მართლა ჰგონია, რომ მყავს ტყუპი ბიჭები. ცოტა ხნის წინ ახლობელი მშობიარობდა და „საბალეშჩიკოდ" მივედი. ერთი მოხუცი მოვიდა და მომეფერა, პატარები როგორ არიანო. ვიფიქრე, ვიღაცაში ავერიე-მეთქი. ვინ პატარები-მეთქი და თქვენი ტყუპები, რა ჰქვიათო. არ მყავს შვილები-მეთქი და გაგიჟდა ქალი, მე თვითონ წავიკითხე, ტყუპები რომ გეყოლაო. ბევრს ჰგონია, რომ მყავს და ვმალავ.

***— თაყვანისმცემლებთან დისტანციის დაჭერა გიყვართ?***

— გორში?

***— თუნდაც გორში.***

— ინტერესი გორში ჩემ მიმართ არის, მაგრამ, თუ მამაკაცისგან მამაკაცური ყურადღება მოდის, ამ შემთხვევაში ვიჭერ დისტანციას. ყველა მამაკაცის ყურადღება სასიამოვნო ნამდვილად არ არის. საერთოდ, ძალიან მარტივია საქართველოში ამ საკითხის მოგვარება — სწრაფად ვრცელდება ინფორმაციები, არის თუ არა დისტანციური ქალბატონი. თუკი მამაკაცებმა იციან, რომ შენთან ზედმეტი ყურადღება არ უნდა გამოხატონ, თვითონ იწყებენ თავის შეკავებას. ამის გამო ზედმეტად ნამდვილად არ ვწუხდები. მოვიტყუები, რომ ვთქვა, მომდევენ ქუჩაში-მეთქი.

***— ჩვენთან ძირითადად ცნობილ სახეებს ჭორიკნები ვიღაცაზე ათხოვებენ...***

— მეც სულ მათხოვებენ. ამას წინათ ვიყავი რადიო „აფხაზეთის ხმაში" და წამყვანმა პირდაპირ ეთერში გამოაცხადა, თაკო აბაშიძე დაოჯახდაო. კინაღამ მოვკალი, მაგრამ იძახა და იძახა. მე არ მახსენდება ასეთი რამ და, სკლეროზი თუ მაქვს, არ ვიცი-მეთქი.

***— შეძახილმა ხე გაახმოო, არ გაგიგიათ?***

— კი ბატონო, გაახმოს, არც ამაზე მაქვს გართულება. ყველა ქალი უნდა მივიდეს იმ მზაობამდე, რომ შექმნას ოჯახი, მაგრამ სასურველია, ეს ნაადრევ ასაკში არ მოხდეს.

***— ამ ეტაპზე ამისთვის მზად ხართ?***

— კი, ამისთვის მზად ვარ. არსებობს რაღაცები, რაც საკუთარ თავში უნდა გამოარკვიო. ამ ყველაფერში კი ასაკი უპირველესია.

***— წუნია ხართ?***

— არა, წუნია არ ვარ. კარგად ვიცნობ ადამიანებს, ამიტომ ჩემი მოტყუება ადვილი არ არის. ადამიანებში ვეძებ გულწრფელობას. თუკი ადამიანმა მომატყუა, ჩვენი ურთიერთობა ვერ აეწყობა. გულწრფელობით გაცილებით მეტი რამის მიღწევა შეიძლება. არ არსებობს ტყუილი, რომელიც არ გაცხადდება, ამიტომ მირჩევნია, ყველაფერი თავიდანვე ვიცოდე.

***— რეალისტი ხართ თუ მეოცნებე?***

— თეთრ ცხენზე ამხედრებულ უფლისწულზე ოცნების ასაკიდან დიდი ხანია გამოვედი. ჩემს ასაკში და 25-27 წლის ასაკში მყოფი ქალბატონები თუ კიდევ უფლისწულზე ოცნებობენ, მაშინ ცოტა მძიმედ ყოფილა ჩვენი საქმე.

***— ფინანსურ მდგომარეობას თუ აქვს თქვენთვის მნიშვნელობა?***

— როცა ადამიანები ულღდებიან, მნიშვნელობა აქვს ყველაფერს. საარსებო მინიმუმი უნდა ჰქონდეს წყვილს, რომ ცხოვრება არ გაუჭირდეთ ერთად, რომ პრობლემებმა არ დაავიწყოს მთავარი, თუმცა, არავითარ შემთხვევაში ფულში არ არის ბედნიერება.

# მეტ დაიმონმა კარიერა 200 დოლარიანი ჰონორარით დაიწყო

ამერიკულ კინოსამყაროში მსახიობი, სცენარისტი და პროდიუსერი მეტ დაიმონი საკმაოდ ცნობილი პიროვნებაა. დაიმონი არის „ოსკარის“ (1998), „ოქროს გლობუსის“ (1998) და ბერლინის კინოფესტივალის (1998) პრემიების ლაურეატი.

## ბავშვობა

მეტიუ პეიჯ დაიმონი 1970 წლის 8 ოქტომბერს დაიბადა მასაჩუსეტსის შტატის ქალაქ კემბრიჯში. თუმცა, მისი ცხოვრების საწყისი 2 წელი ბოსტონში, საკმაოდ მდიდარ რაიონ ნიუტონში გაატარა. მისი ოჯახი შეძლებულად ითვლებოდა — მამა, კენტ დაიმონი საგადასახადო სამსახურის ინსპექტორი იყო, ხოლო დედა, ნენსი კარლსონ-პეიჯი კოლეჯში ასწავლიდა. როგორც ხშირად ხდება, ოჯახში სრული იდილია მაინც ვერ ჰპოვა და მეტიუს მშობლები მაშინ დაშორდნენ ერთმანეთს, როდესაც მომავალი მსახიობი 2 წლის იყო. მისის დაიმონი იძულებული გახდა შვილებთან ერთად (მეტიუს უფროსი ძმა ჰყავს) ისევ კემბრიჯში დაბრუნებულიყო და ისეთ სახლში ცხოვრობდნენ, სადაც კიდევ 5 ოჯახს ჰქონდა თავშესაფარი.

მეტიუ ბავშვობიდან ძალიან მიზანმიმართული ბავშვი იყო და უკვე 6 წლის ასაკში ყველასთვის მოულოდნელად კალათბურთელობა გადაწყვიტა. მისი ეს ნაბიჯი მამას არ მოეწონა და უთხრა:

— თავს სისულელეებით ნუ გამოიტენი. ჩვენ ოჯახში 160 სანტიმეტრზე მაღალი თითქმის არ იზრდებიან. უკეთესი იქნება, თუ ფინანსურ კოლეჯში ჩააბარებ და მამის კვალს გაჰყვები, სხვა საქმე მაინც არ გამოგივა, — ასეთი იყო უფროსი დაიმონის აზრი.

მართალია, მეტიუმ მამის რჩევის გამო კალათბურთი მიატოვა, მაგრამ ამის შემდეგ უკვე აღარავის რჩევას ითვალისწინებდა და მხოლოდ თავისით ცდილობდა ყველა დაბრკოლების გადატანას.

## მეგობარი

1980 წელს მეტიუს ბედის იღბლად, მან გაიცნო ერთი ბიჭუნა, რომელიც მასზე 2 წლით უმცროსი იყო და 2 კვარტლის დაშორებით ცხოვრობდა. მას ბენ აფლეკი ერქვა. ალბათ, ბედისწერა იყო, რომ ისინი უახლოესი მეგობრები გამხდარიყვნენ და გასაკვირიც არ არის, რომ მათი მეგობრობა ხელოვნებაშიც ერთად გადაიზარდა და დღემდე ასე მოდიან.

გაცნობიდან რამდენიმე წლის შემდეგ ბიჭუნებმა გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგეს — შეკრიბეს თავიანთი მოგროვილი თანხა, იყიდეს ყველაზე იაფფასიანი ბილეთები ნიუ იორკამდე, რათა „მიკი მაუსის შოუში“ ნორჩი ტალანტების კონკურსში მიეღოთ მონაწილეობა. სხვათა შორის, იქვე გაიცნეს ისეთი მომავალი ვარსკვლავები, როგორებიც არიან ბრიტნი სპირსი და კრისტინა აგილერა. თუმცა, ორივე ბიჭუნასთავის პირველივე შესარჩევი ეტაპი ბოლო აღმოჩნდა — ჟიურიმ არ მიიჩნია ტალანტებად მეტიუ და ბენი და ისინიც შერცხვენილი დაბრუნდნენ შინ.

— ახლაც მახსოვს, თუ როგორ ვბრუნდებოდით უკან. ერთმანეთის თვალებში შეხედვა არ გვინდოდა და ზურგით ვიჯექით. ორივე მათგანს ყელში რაღაც გვქონდა გაჩხერილი, — იხსენებდა ორივე მათგანი მოგვიანებით.

მხოლოდ სკოლის დამთავრების ბოლო წელს გაუღიმათ ბედმა. უახლოეს სუპერმარკეტს რეკლამის გადაღება დასჭირდა და ორივე მათგანი მიიწვია. საამისოდ ბიჭება 200-200 დოლარი ჩაიჯიბეს. ამან ბიჭებს ისევ გაუღვიძა გრძნობა და ისევ ნიუ იორკს მიაშურეს, რათა უფრო ახლოს ყოფილიყვნენ ცნობილ რეჟისორებთან და უფრო მსუყე ჰონორარებთან.

მეტიუმ ჰარვარდის უნივერსიტეტში ჩააბარა და სწავლაზე გადაერთო. პარალელურად სცენარისტობის კურსებს ეუფლებოდა და უკვე მესამე კურსის შემდეგ მსახიობიბის გარდა არაფერზე ოცნებობდა. მეტიუმ მისი მშობლები ფაქტის წინაშე დააყენა — ან მსახიობობა, ანაც არაფერი. არც მშობლები ყოფილან შოკირებული შვილის გადაწყვეტილებით და წინააღმდეგი არ წასულან.

## კარიერის დასაწყისი

ჯერ კიდევ სწავლის პერიოდში, 1988 წელს მეტიუს დებიუტი ჰქონდა ფილმში „მისტიური პიცა“, სადაც მხოლოდ ერთი ფრაზა წარმოთქვა. ამას მოჰყვა კომედია „გლორი დეიზი“, რომელმაც მხოლოდ 700 დოლარი შემოსავალი ნახა და აქედან 300 მეტიუს მეგობრებმა გადაუხადეს ბილეთებში, რათა მისი „შედევრი“ ენახათ.

კარიერა კარგად რომ არ დაიწყო, ფაქტია. მეტიუს პირველი მთავარი როლი იყო ფილმში „სკოლის კავშირები“, სადაც მასთან ერთად აფლეკი და კიდევ ორი ნაკლებად ცნობილი მსახიობი კრის ოდონელი და ბრენდან ფრეიზერი მონაწილეობდა. ვერც ამ ფილმმა ჰპოვა მოწონება მაყურებელში და ახალგაზრდა მსახიობი კვლავაც შეუმჩნეველი დარჩა.

მეტიუს მხოლოდ რამდენიმე თვის შემდეგ გაუმართლა, როდესაც ფილმში „ჯერონიმო: ამერიკელების ლეგენდა“ ითამაშა. ამ ვესტერნში ის პარტნიორობას უწევდა ისეთ მსახიობებს, როგორიც ჯინ ჰეკმანი და რობერტ დიუვალია.

პირველი წარმატება კი მსახიობს მოუტანა ფილმმა „სიმამაცე ომში“, რომელიც ფართო ეკრანებზე 1996 წელს გამოვიდა. ამ ფილმში მთავარი როლის შესრულებისთვის მეტიუ დღეში 20 კილომეტრს დარბოდა, რათა წონა დაეგდო და ამასთან მკაცრ დიეტაზე იყო. ამ „მსხვერპლმა“ შედეგი მოიტანა — მეტიუ თვით ყველაზე მკაცრმა კრიტიკოსებმაც კი აღიარეს. თუმცა, ეკუთვნოდა კიდეც, რადგან ფილმში დენზელ ვაშინგტონისა და მეგ რაიანის კონკურენციას გაუძლო.

ამის შემდეგ მეტიუმ კიდევ რამდენიმე ფილმში ითამაშა, მაგრამ სერიოზული წარმატება არ მოჰყოლია.





მეტიუმ გადაწყვიტა აფლეკთან ერთად ახალ პროექტზე დაეწყო მუშაობა, რომლის ნაწილი ჯერ კიდევ ჰარვარდში სწავლისას ჰქონდა შედგენილი. „უილ ჰატინგის ჭკვიანები“ — ამ ფილმის სცენარი მიიტანეს უამრავ სტუდიაში, რომელთა მოწონება კი დაიმსახურეს, მაგრამ არცერთ მათგანს არ სურდა მთავარ როლში რომელიმე მათგანი ენახა. მეგობრებს კი სხვაგვარად არ სურდათ და თავიანთ გარეშე ფილმის გადაღებაზე უარი თქვეს. ამასთან, საკმაოდ სარფიან წინადადებებზე.

სტუდია „მირამაქსმა“ 1997 წელს გადაწყვიტა პროექტი ისე გაეშვა, როგორც ეს მეგობრებს სურდათ და იმავე წელს გამოვიდა ფილმი, რომელშიც მეტიუსთან და ბენთან ერთად მთავარ როლს რობინ უილიამსიც თამაშობს.

10-მილიონიანი ბიუჯეტის ფილმმა კინოგაქირავებაში 225 მილიონი დოლარი გამოიმუშავა, ხოლო მეტიუმ და ბენმა „ოსკარისა“ და „ოქროს გლობუსის“ პრემიები მიიღეს საუკეთესო სცენარისთვის. ასევე წარდგენილი იყვნენ 9 ნომინაციაში — საუკეთესო მსახიობი, წლის აღმოჩენა და სხვა.



მეგობრებს უკვე მოსვენება არ ჰქონდათ და ისინიც ძალიან მხიარულები გამოდგნენ — ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ როგორ მიაღწიეს წარმატებს, ყოველთვის ხუმრობით პასუხიბდნენ — იმიტომ, რომ საყვარლები ვართ.

## მეტი აღიარება

მეტიუს უკვე ჰოლივუდში ყველა იცნობდა და მასზე სერიოზულად დაფიქრდნენ რეჟისორები, შემოსავალმა კი უკვე მილიონებს გადააჭარბა. მომავალ წელს დაიმონი სტივენ სპილბერგმა მიიწვია ფილმში „გადაარჩინეთ რიგითი რაიანი“, რომელმაც 5 „ოსკარი“ აიღო და აღიარებული იქნა ამერიკის ყველაზე შემოსავლიან ფილმად 1998 წელს.

იმავე წელს ედუარდ ნორტონტან და ჯონ მალკოვიჩთან ერთად ითამაშა ფილმში „შულერი“, ხოლო ერთი წლის შემდეგ მაყურებელი გვინეტ პერტლოუსთან და ჯუდი ლოუსთან ერთად ფილმში „ტალანტი მისტერ რიპლი“ გაახარა. ამ ფილმში თამაშისთვის, მეტიუ „ოქროს გლობუსის“ პრემიის ლაურეატი გახდა.

კევინ სმიტის რელიგიურ-სატირულ კომედიაში „დოგმა“ კი მეტიუს მეწყვილე მისი მეგობარი აფლეკი იყო. ფილმმა საკმაოდ დიდი პოპულარობა მოიპოვა და გასაკვირიც არ იყო, როდესაც მისი გაგრძელება გადაიღეს. თუმცა, როგორც უმეტეს შემთხვევებშია, მეორე ნაწილი ისეთივე წარმატებული ვერ გამოდგა.

ამის მიუხედავად, დაიმონის პოპულარობა სულ უფრო იზრდებოდა, რითაც თავად მსახიობი იყო გაკვირვებული. როგორც თავად ამბობს, ღამით ხშირად წამომდგარა საწოლიდან, სარკეში ჩაუხედავას და თავისი თავისთვის უკითხავს, თუ რატომ უმართლებს ასე ცხოვრებაში.

2000 წელს მეტიუ გადაიღეს ფილმებში „მოურჯულებელი გული“, „ბაგერ ვანსის ლეგენდა“ და „მოძებნეთ ფორესტერი“. თუმცა, ყველა ეს ფილმი გადაფარა კრიმინალურმა კომედია-ბოევიკმა „ოუშენის 11 მეგობარი“. ამ ფილმმა მართლად უდიდესი პოპულარობით ისარგებლა და უახლოეს 3 წელიწადში კიდევ გადაიღეს „ოუშენის 12 მეგობარი“ და „ოუშენის 13 მეგობარი“. დაიმონის პარალელურად ფილმში თამაშობდნენ ჯორჯ კლუნი, ბრედ პიტი და ჯულია რობერტსი.

2002-04 წლებში დაიმონმა ითამაშა ფილმებში „სახიფათო ადამიანის აღიარება, „მესამე ზედმეტია“ და „გოგონა ჯერსიდან“, რასაც მოჰყვა ჰიტ ლეჯერთან და მონიკა ბელუჩისთან ერთად ნათამაშები ფანტასმაგორიული ფილმი ძმები გრიმები“. აღსანიშნავია, რომ ამ ფილმში ერთ-ერთი ძმა ჯონი დეპს უნდა ეთამაშა, რომელიც მზად იყო „კარიბის ზღვის მეკობრეების“ გადაღებაზე უარი ეთქვა, მაგრამ „საბრალო“ დეპი დაიწუნეს. დეპის უარყოფის შემდეგ ლაჯერმა მეტიუს გმირის გაცვლა შესთავაზა, რის შედეგად ჩვენს გმირს ვილჰემის როლი ერგო, ლაჯერს კი — იაკობის. თუმცა, ეს კიდევ არაფერი იყო. ფილმის სცენარისტებმა მოითხოვეს, რომ მეტიუს გმირის ცხვირი ისეთი ყოფილიყო, თითქოს რამდენჯერმე გაუტეხეს, რასაც ეწინააღმდეგებოდა პროდიუსერი ბობ ვანშტეინი და დაჟინებით ამტკიცებდა, დაიმონი იმისთვის არ აგვიყვანია, მაყურებელმაც კი რომ ვერ იცნოსო. თუ დაიმონს სახეს დაუმახინჯებდნენ, ვანშტეინი პროექტიდან წასვლით იმუქრებოდა.

## ბოლო ნამუშევრები

2006 წელს ეკრანებზე გამოვიდა 2 შესანიშნავი ფილმი, რომელმაც არა მარტო შეცვალა მსახიობის კარიერა, არამედ თავად მეტიუს პიროვნებაც. ორივე ფილმის თემატიკა ერთმანეთს წააგავდა და მაყურებელმა მსახიობი ისევ მათთვის მიჩვეულ აგენტის როლში იხილა. მარტინ სკორსეზეს დეტექტიური დრამა „უკანდახეული“ პოლიციისა და ბოსტონის მაფიას შეჯახებაზეა აგებული. აღსანიშნავია, რომ ამ ფილმის სცენარისტმა ერიკ როტმა მისი დაწერა რეალურ ფაქტებზე გადაწყვიტა და ფილმში 60-70-იანი წლების პერიოდია ასახული.

პარალელურად დაიმონს რობერტ დე ნირო ფილმში „ცრუ გამოცდა“ იღებდა. ამ ფილმში მისი კონკურენტი ლეონარდო დი კაპრიო იყო, მაგრამ საბოლოოდ არჩევანი დაიმონზე შეაჩერეს.

— წარმოგიდგენიათ, პარასკევს სკორსეზესთან ვმუშაობ, ორშაბათს კი უკვე დე ნიროსთან. ასეთი ბედნიერება ალბათ ბევრს არ ხვედრია, — კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი დაიმონმა თავის იღბალს.

ამჟამად მსახიობი ერთბაშად რამდენიმე პროექტზე მუშაობს. ამასთან, არანაკლებ ცნობილ ფიგურებთან — ფრენსის ფორდ კოპოლა, სტივენ სოდებერგი და კლინტ ისტვუდი. ამ რეჟისორების გადაღებულ ფილმებს უკვე დიდი ინტერესით ელიან.

## პირადი ცხოვრება

დიდი ხნის მანძილზე მეტიუ უყურებდა თუ როგორ იტანჯებოდა მისი მეგობარი აფლეკი ჯენიფერ ლოპესის სიყვარულით და კარგად ხედავდა, რომ ბენი სიყვარულს უფრო დიდ დროს უთმობდა, ვიდრე სამსახურს. ამიტომაც, თავად არ სურდა იგივე შეცდომა დაეშვა. მის სკოლის მეგობარ გოგონას, ცისფერთვალება სორენს სწორედ იმიტომ დაშორდა, რომ გოგონა მეტ ყურადღებას სთხოვდა და კითხვაზე, რა უფრო მნიშვნელოვანი იყო მისთვის, გოგონა თუ სცენა, ადვილი მისახვედრია, რას უპასუხებდა მეტიუ.

სამსახურთან კონკურენციას ვერ გაუძლო ვერ კარა სენდსმა, მოდელმა და მსახიობის პირველმა ნიუიორკელმა მეგობარმა.

ამას მოჰყვა პარტნიორების ხშირი ცვლა — დაიმონს უფრო მისი კოლეგებისკენ მიუწევდა გული და ასე გახდნენ მისი გოგონები კლერ დეინსი, მინი დრაივერი, გვინეტ პერტლოუ, ფრანკ პოტენტე, ვაინონა რაიდერი...

კოლეგებთან 2-წლიანი გართობის შემდეგ მეტიუმ გადაწყვიტა მსახიობებისკენ არასდროს გაეხედა.

— მათ ჩამოუყალიბებელი ფსიქიკა აქვთ, ძალიან ბევრს ითხოვენ და თავი გამუდმებით სამსახურში მგონია, — აღნიშნა დაიმონმა.

ასეც მოხდა — სადღეისოდ მისი სიყვარული და კანონიერი ცოლი, ესპანელი დეკორატორი ლუჩანა ბაროუზია, რომელიც 2003 წელს მაიამიში გაიცნო. მათი ქორწინება 2005 წელს შედგა, ხოლო ერთი წლის შემდეგ გოგონა, იზაბელა შეეძინათ.

2008 წელს კი ოჯახს კიდევ ერთი პატარა, ჯია ზავალა შეემატა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ლუჩანას პირველი ქორწინებიდანაც 11 წლის გოგონა ალექსია ჰყავს, მეტიუს 4 ქალის მოვლა უხდება სახლში. ასე გახდა ერთ დროს მარტოდ მოსიარულე მეტიუ ოჯახის მთავარი.

მის უმთავრეს მეგობრად კი ისევ აფლეკი რჩება. ისინი თავიანთი ოჯახებით ხშირად დადიან ერთად და საღამოებს მოგონებებსა და მხიარულებაში ატარებენ.

## საინტერესო ფაქტები

მსახიობის სიმაღლე 178 სანტიმეტრია და ამით „ვერ გაამართლა“ მამამისის ნათქვამი, რომ მათ ოჯახში 160 სანტიმეტრზე მაღალი არავინ იზრდება. მის სისხლში შოტლანდიური და ინგლისური ფესვებია. თუ უფრო ღრმადაც ჩავიხედავთ, ბებია ფინელი ჰყავდა. თუ ერთ-ერთ ფილმში მეტიუ დი კაპრიოს ნაცვლად აიყვანეს, ფილმში „სწრაფი და მკვდარი“ მთავარი როლის შესრულებაზე თავად თქვა უარი, რომელიც შემდეგ დი კაპრიოს ერგო. მსახიობი ძალიან ბევრს ეწეოდა, მაგრამ შემდეგ ჰიპნოზიორთან რამდენიმე სეანსი გაიარა და მოწევას თავი დაანება.

ფილმში „ტალანტი მისტერ რიპლის“ თამაშისთვის მსახიობს 13,5 კილოგრამის დაკლება მოუხდა. ამავე ფილმისთვის ისწავლა ფორტეპიანოზე დაკვრა და ამავე ფილმმა წარმოაჩინა, რომ მას სიმღერაც შესანიშნავად შეუძლია.



ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი

მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.
შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.

დარეკეთ!

მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607

ახალი ქსელები 700 608

გაერთიანებული ტელეკომი 608 608



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
სწრაფი გადახდის აპარატები

(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.

# რუუდ გულიტი: „თუ მარადონა არ ხარ, კლუბის ინტერესებს ემსახურე“



ჰოლანდიელი რუუდ გულიტი გროზნოს „ტერეკის“ მწვრთნელი რომ გახდა, ახალი ამბავი არ არის. გულიტი იმედოვნებს, რომ ამ გუნდს ევროპაში სახელს გაუთქვამს. ლეგენდარული ფეხბურთელი თავისი ახალი საცხოვრებელი ადგილით კი მოიხიბლა, მაგრამ, მთავარი განმსაზღვრელი რომ ფულია, ეს მისი ინტერვიუდანაც კარგად ჩანს. რისი შემძლეა გულიტი, ეს მომავალ სეზონში გამოჩნდება, რომელიც რუსეთში 12 მარტს იწყება.

***— როგორია თქვენი შთაბეჭდილება გროზნოში პირველი ვიზიტის შემდეგ?***

— დაუვიწყარი. ყველაფრით მოვიხიბლე: ახალი სახლი, სუფთა ქუჩები, ღიმილი ადამიანთა სახეებზე, რომლებმაც ამდენი რამ გადაიტანეს. რამზან კადიროვმა ომის დროინდელი ქალაქის ფოტოები მანახვა. ნამდვილი ჯოჯოხეთი იყო! ახლა კი გროზნო ლამაზი, თანამედროვე დედაქალაქია. ეს იმას ნიშნავს, რომ სურვილის შემთხვევაში ადამიანებს საოცრებების მოხდენა შეუძლიათ.

***— მსგავსი საოცრების მოხდენა თქვენც მოგიწევთ. ჩეჩნეთში ოცნებობენ, რომ „ტერეკი“ ევროპული დონის გუნდად იქცეს.***

— ამაზე გამუდმებით ვფიქრობ. მთავარია, ჩვენმა თამაშმა ადამიანებს სიხარული მიანიჭოს. ეს უკვე გამარჯვება იქნება.

***— აქამდე თუ გსმენიათ ქალაქ გროზნოს შესახებ?***

— მხოლოდ საინფორმაციო გამოშვებებში, როდესაც იქ ომი იყო. მაგრამ მე პოლიტიკისგან ძალიან შორს ვარ და ამ ომის არსით არ დავინტერესებულვარ.

***— გროზნოში ყველა იმას აქცევს ყურადღებას, რომ მუდამ იღიმით. ეს თქვენი ჩვეულებრივი, საკუთარ თავში დარწმუნებული ადამიანის მდგომარეობაა თუ რეაქცია თბილ მიღებაზე?***

— მე იმ ადამიანთა კატეგორიას მივეკუთვნები, რომლებიც მუდამ პოზიტიურად აზროვნებენ. პესიმისტები არ მიყვარს და არც მათ ვუყვარვარ. ასე რომ, ვცდილობ, მუდამ ღიმილიანი სახე მქონდეს.

***— თქვენი 15-წლიანი სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში რომელი დღეები იყო ყველაზე ბედნიერი ან სამწუხარო?***

— საკმარისად იყო ბედნიერიც და სამწუხაროც. მთლიანობაში, საკუთარი ბედით კმაყოფილი ვარ. ყველაზე ცუდი პერიოდი მაშინ დგება, როდესაც კლუბის მეპატრონეებს მოთმინება არ ჰყოფნით, რომ გუნდის შენება გაცალონ. მათ ყველაფერი უცბათ უნდათ. მაგრამ, ტყუილად არ ამბობენ, რომ სწრაფად მხოლოდ ბავშვები იბადებიან. აი, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ და „არსენალმა“ გააცნობიერეს, რომ ფეხბურთში სიჩქარე არაფრის მომტანია. სწორედ ამიტომ მუშაობენ იქ ამდენი ხანი ფერგიუსონი და ვენგერი.

***— თქვენს სამწვრთნელო კარიერაში რომელი მოვლენა მიგაჩნიათ ყველაზე მნიშვნელოვნად?***

— 1997 წელს „ჩელსისთან“ ერთად ინგლისის თასის მოგება. მთავარი ის კი არაა, რომ თასი მოვიგეთ, არამედ ის, რომ ფეხბურთელები ათამაშდნენ. მაგალითად დენის უაიზიც კმარა, რომელსაც მანამდე არ ესმოდა, რას ვითხოვდი მისგან.

***— რის გახსენებას არ ისურვებდით?***

— მოდით, ამაზე ნუ ვისაუბრებთ. უკვე გითხარით, რომ მხოლოდ პოზიტივით ვცხოვრობ. იცით, ჩემს პროფესიაში ყველაზე მეტად რა არ მომწონს? ის, რომ მწვრთნელს ადრე თუ გვიან აგდებენ. მაგრამ, ვერაფერს იზამ, ასეთია ცხოვრება.

***— 19-წლიანი საფეხბურთო კარიერის განმავლობაში არაერთ მწვრთნელთან მოგიწიათ მუშაობა. რომელ სპეციალისტს მიიჩნევთ ყველაზე კოლორიტულად?***

— კონკრეტულად რომელიმეს გამოყოფა არ მსურს. ყველა მათგანისგან ვისწავლე რაღაც. ზოგი დაცვის საიდუმლოს მიმხელდა, ზოგი — შეტევის.

***— და მაინც?***

— ყველაზე მეტი იმ მწვრთნელებისგან ვისწავლე, რომლებიც ახალგაზრდობაში მავარჯიშებდნენ. დღემდე მახსოვს არიგო საკის გაკვეთილები, რინუს მიხელსის მოძღვრება. ჯამში, მასწავლებლებში გამიმართლა და მათ მუდამ თაყვანს ვცემ.

***— ჰოლანდიაში მხოლოდ „ფეინოორდში“ რატომ მუშაობდით?***

— ასე მოხდა. შესაძლოა იმიტომ, რომ უმეტეს დროს საზღვარგარეთ ვცხოვრობდი.

***— „ჰარლემში“, სადაც პირველი ნაბიჯები გადადგით, მუშაობის სურვილი არ გქონდათ?***

— სამწუხაროდ, ეს კლუბი აღარ არსებობს. თქვენი „სატურნის“ მსგავსად, მასზე ფინანსურმა კრიზისმა იმოქმედა.

***— შეგირდებთან კონფლიქტი თუ გქონიათ?***

— ფეხბურთელებთან პირადი კონფლიქტი არასდროს მქონია. უწინარესად, მოთამაშე გუნდის ღირსება უნდა იყოს. თუ მარადონა არ ხარ, კეთილი უნდა ინებო და კლუბის ინტერესებს ემსახურო.

***— თქვენს თავს მკაცრ მწვრთნელთა რიცხვს მიაკუთვნებთ?***

— ამის შესახებ სჯობს ფეხბურთელებს ჰკითხოთ. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ დისციპლინის გარეშე ყველაზე ვარსკვლავური გუნდიც კი ვერაფერს მიაღწევს.

***— ჯარიმები დისციპლინის დამყარებას ხელს უწყობს?***

— ვიტყოდი, რომ მხოლოდ ერთ-ერთი საშუალებაა. პირადად მე ჯარიმებს არასდროს ვეყრდნობი. ეს კლუბის ხელმძღვანელობის საქმეა.

***— ფეხბურთელი გულიტი ოდესმე თუ დაჯარიმებულა?***

— მაპატიეთ, ვერაფერს გავიხსენებ.

***— ფეხბურთელისგან ყველაზე მეტად რას ვერ აიტანთ?***

— ეგოისტობას. მსგავსებს შევთავაზებდი, ჩოგბურთი ეთამაშათ, თუმცა, ჩოგბურთსაც მხოლოდ ეგოისტები როდი თამაშობენ.

***— რას საქმიანობდით მაშინ, როდესაც „ტერეკის“ ხელმძღვანელობა დაგიკავშირდათ?***

— აბუ დაბიში ვისვენებდი. სწორედ იქ დამირეკეს და მუშაობა შემომთავაზეს. მანამდე ინგლისისა და ჰოლანდიის ჩემპიონატების მატჩების ტელეკომენტატორად ვმუშაობდი.

***— ბელგიასა და ჰოლანდიას 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობა სურდათ. მათი განაცხადის წარდგენაში თქვენ უანგაროდ მონაწილეობდით?***

— ზუსტად ასეა.

***— ძალიან დამწუხრდით, როდესაც მასპინძლობის უფლება რუსეთმა მიიღო?***

— რა თქმა უნდა. ჩვენ ხომ ამდენი ხნის განმავლობაში ველოდით, რომ მსოფლიო ფორუმს ბელგიელებთან ერთად ვუმასპინძლებდით. არა უშავს, რამენაირად გადავიტანთ.

***— „ტერეკთან“ მოლაპარაკების პერიოდში თუ იყო მომენტი, როდესაც რაღაცამ განსაკუთრებულად დაგაეჭვათ?***

— ორ რამეს ვუფრთხოდი. პირველი — კლუბის სტრუქტურას არ ვიცნობდი, მისი შესაძლებლობები არ ვიცოდი. მეორე — გაურკვევლობა, რომელსაც უნდა შევხვედროდი. მაგრამ ესეც მწვრთნელის მუშაობის ნაწილია.

***— თქვენი დამხმარეები გაგვაცანით.***

— ვან ნიკერკთან ერთად ჯერ კიდევ „ჰარლემში“ ვთამაშობდი. ფეხბურთზე ერთნაირი შეხედულება გვაქვს და სამწვრთნელო პრინციპებიც ერთნაირი გვაქვს. ტასუ კოპი ფიზმომზადებისა და სარეაბილიტაციო კურსის მწვრთნელია. „ტერეკი“ მისი პირველი კლუბია, მაგრამ ჰოლანდიაში ყველა იცნობს და ინდივიდუალურად, ფეხბურთელებს დახმარების თხოვნით არაერთხელ მიუმართავთ.

***— თქვენ ის მწვრთნელი ხართ, რომელიც გადამწყვეტ სიტყვას მუდამ თავად ამბობს?***

— ერთი გუნდი ვართ და თანაშემწეების აზრს მუდამ ვითვალისწინებ, თუმცა, ყველაფერში მათი დათანხმების აზრს ვერ ვხედავ. მაშინ აჯობებდა, გუნდში დედა მომეწვია.

***— რამდენად დაემთხვა ვიდეოში ნანახი რეალობას?***

— ჯერჯერობით ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება. დროა საჭირო. მხოლოდ ერთი რამ ვიცი — განვითარება აუცილებელია. რის ხარჯზე? სწორედ ესაა ჩემი უმთავრესი საზრუნავი.

***— რას იტყვით „ტერეკის“ შემტევ პოტენციალზე?***

— რა თქმა უნდა, „ბარსელონა“ არ ვართ, მაგრამ რაღაც კონტურები უკვე გამოიკვეთა. შევხვდით დანიურ კლუბს, რომელიც არც თავად თამაშობდა და ამის უფლებას ჩვენც არ გვაძლევდა, მაგრამ მაინც გავიმარჯვეთ. აუცილებელია, საკუთარ შანსს დაელოდო და ის აუცილებლად მოვა.

***— „ტერეკის“ დაკომპლექტება დასრულებულია?***

— ეს პროცესი არასდროს უნდა დასრულდეს. პარალელურად, უნდა ავამაღლოთ იმ ფეხბურთელების სათამაშო დონე, რომლებიც უკვე გუნდის წევრები არიან. სწორედ ესაა ჩემი მთავარი ამოცანა.

***— ის ფაქტი, რომ ჩემპიონატის დაწყება „ზენიტთან“ და „რუბინთან“ შეხვედრებით გიწევთ, უხერხულობას არ გიქმნით?***

— ჩემთვის სულ ერთია, ვისით დავიწყებ ტურნირს. თუ კარგად დავიწყეთ, დადებით იმპულსს მივიღებთ. საკუთარი თავის მაშინაც უნდა გწამდეს, როდესაც ფავორიტს ეთამაშები.

***— ცივი ამინდები არ გაშინებთ?***

— ყველანი თანაბარ პირობებში ვიქნებით.

***— ამას წინათ თქვით, რომ რუსეთის ჩემპიონატი ჰოლანდიისაზე ძლიერია.***

— თუ გაითვალისწინებთ, თქვენი რამდენი კლუბი მონაწილეობს ევროთასებზე და რას აღწევენ ისინი, ეს ობიექტური მიდგომაა.

***— რა არის იმის მიზეზი, რომ ჰოლანდიურმა ფეხბურთმა პოზიციები დათმო?***

— მთავარი ამოსავალი წერტილი ფულია. დაიშალა იგივე „ჰაარლემი“, ვალებშია ჩაფლული „ფეინოორდი“. დიდი გასაქანი არც სხვებს აქვთ. შედეგად, როგორც კი ჰოლანდიაში კარგი ფეხბურთელი გამოჩნდება, ის სხვას მიჰყავს. ტალანტებს ვკარგავთ. ეს სტიქიური უბედურების ტოლფასია.

***— ყველა დროის ფეხბურთელებიდან რომელი გხიბლავთ ყველაზე მეტად?***

— მარადონა და კრუიფი. ისინი საფეხბურთო პოეტები არიან.

***— დღევანდელებიდან ვის გამოარჩევდით?***

— მესის. მისი თამაში მუდამ სიხარულს განიჭებს. მეჩვენება, რომ მას ფეხები პლასტილინისგან აქვს გაკეთებული და ბურთი, უბრალოდ, ეკვრის.

***— ცრუმორწმუნე მწვრთნელი ხართ?***

— ფეხბურთელობის დროსაც კი მსგავს რამეს ყურადღებას არ ვაქცევდი.

***— სერ ბობი ჩარლტონი სამარკო ვისკის ასხამს. ალკოჰოლური სასმელებიდან რომელს ანიჭებთ უპირატესობას?***

— ხანდახან სადილობისას დროს მშრალ თეთრ ღვინოს მივირთმევ.

***— რელიგიური თუ ხართ და რომელი მიმდევრობის ადამიანი ბრძანდებით?***

— რწმენა ჩემს გულში ცხოვრობს. მამა ღმერთი სხვადასხვა რელიგიის ადამიანების ერთობისთვის ძალიან დიდ როლს თამაშობს. თუ ადამიანი მართლა ადამიანია, მის რელიგიურ მიმდევრობას მნიშვნელობა აღარ აქვს.

# ფრენკ ლამპარდი: „მანჩესტერის“ ძლევა ჩვენი წარმატების იმპულსი გახდება“

ლონდონის „ჩელსის“ ნახევარმცველი, ფრენკ ლამპარდი, მიიჩნევს, რომ მის გუნდს „მანჩესტერ იუნაიტედის“ ძლევამ დამატებითი იმპულსი უნდა მისცეს და ეს „არისტოკრატებს“ პრემიერლიგის დასკვნითი ნაწილის მაღალ დონეზე ჩატარებაში დაეხმარება.

ლამპარდმა მანჩესტერელთა კარში გადამწყვეტი გოლი 79-ე წუთზე გაიტანა და მისმა გუნდმა 2:1 მოიგო, არადა, პირველი ტაიმის შემდეგ 0:1-ს აგებდა. ახლა „ჩელსის“ სატურნირო ცხრილში მეოთხე პოზიცია უკავია და ლიდერ „მანჩესტერს“ მთელი 12 ქულით ჩამორჩება. იმის მიუხედავად, რომ თამაშით ნაკლები აქვს, 32 წლის ნახევარმცველი ფიქრობს, რომ მის გუნდს ჩემპიონობის მოპოვების შანსი არ აქვს.

***— რას ნიშნავს „ჩელსისათვის“ „მანჩესტერ იუნაიტედის“ დამარცხება? მისი მნიშვნელობა სატურნირო თვალსაზრისით უნდა შევაფასოთ თუ უფრო ფსიქოლოგიურ განწყობაზე იმოქმედებს?***

— რაღა თქმა უნდა, ამ მოგებას უწინარესად ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვს. ჩვენთვის აუცილებელი იყო, ეს იმპულსი მიგვეღო და საკუთარი შესაძლებლობების გვერწმუნა. ახლა იწყება სეზონის დასკვნითი, გადამწყვეტი მონაკვეთი და კარგი სიჩქარე უნდა ავკრიფოთ, რათა წლევანდელი



გათამაშება ღირსეულად დავამთავროთ.

***— იმაზე არ გიფიქრიათ, რომ „მანჩესტერის“ გადასწრება შეგიძლიათ?***

— არ ვიტყვი, რომ საჩემპიონო რბოლას დავუბრუნდით, რადგანაც „მანჩესტერთან“ ჩამორჩენა ჯერ კიდევ ძალიან დიდია. მხოლოდ იმის გაკეთება შეგვეძლო, რომ ეს თამაში მოგვეგო და მომავალი ბრძოლებისთვის მზადყოფნა გამოგვეხატა. ამას მივაღწიეთ, მაგრამ კიდევ დიდი გზა გვაქვს გასავლელი. „მანჩესტერი“ ჩემპიონატს დამსახურებულად ლიდერობს, თუმცა, ჩვენ ჩვენსას მაინც ვეცდებით.

***— მიუხედავად ამ გამარჯვებისა, ნებისმიერმა ჩაგდებულმა შეხვედრამ, შესაძლოა, საუკეთესო ოთხეულის მიღმაც კი დაგტოვოთ.***

— ზუსტად ასეა. თუ მომდევნო შეხვედრაში „ბლექპული“ ვერ დავამარცხეთ, მაშინ „მანჩესტერის“ ძლევა აზრს დაკარგავს და ასე იქნება ყოველი მომდევნო მატჩის შემთხვევაში. „მანჩესტერის“ დამარცხება გამარჯვებათა სერიის ტრამპლინად უნდა იქცეს. მხოლოდ ამ ერთი თამაშის მოგება დამატებითი დივიდენდების მომცემი სულაც არ არის.

***— და მაინც, „ჩელსი“ — „მანჩესტერი“ ჩვეულებრივი მოვლენაა არ გახლავთ და ის პრინციპული ბრძოლების რიცხვს განეკუთვნება.***

— რა თქმა უნდა. დიდი გამარჯვებებისგან სულ სხვა, განსაკუთრებულ შეგრძნებებს იღებ. განსაკუთრებით სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ მეორე ტაიმში ყველამ ძველი „ჩელსი“ იხილა — ძლიერი, საკუთარ თავში დარწმუნებული, ორგანიზებული გუნდი.

***— რატომ ვერ ახერხებთ რეგულარულად ასეთი თამაშის ჩვენებას?***

— ძნელი სათქმელია. ზუსტად ვიცით, რომ თამაში ბევრად უკეთ შეგვიძლია. გასული სეზონის ბოლოს და მიმდინარე გათამაშების დასაწყისში უმაღლესი კლასის ფეხბურთს ვაჩვენებდით, შესაძლოა, საუკეთესოს ევროპაში. სამწუხაროდ, ამ დონის შენარჩუნება ვერ მოვახერხეთ. მიუხედავად ამისა, დარწმუნებული ვარ, ძველი დონის დაბრუნება შეგვიძლია.

***— ისევ განვლილ თამაშს დავუბრუნდეთ. რა იყო ყველაზე რთული „მანჩესტერთან“ თამაშისას?***

— ყველაზე მეტად მაშინ გაგვიჭირდა, როდესაც ანგარიში 0:1 გახდა. ჩვენს შემტევ სამეულს მაქსიმალური ძალისხმევა სჭირდებოდა, რათა სიტუაცია შემოეტრიალებინა. ტორესმა დიდი სამუშაო შეასრულა, მერე კი მოედანზე დროგბა გამოჩნდა და ყველას დაანახვა, თუ რისი გაკეთება შეუძლია. მათი თამაშის შემყურეთ, გვწამდა, რომ შეხვედრის გადარჩენის შანსი გვქონდა და ეს შანსი გამოვიყენეთ კიდეც.

***— ამბობენ, დიდიემ ძირითად შემადგენლობაში ადგილის დაკარგვის შემდეგ გულში წყენა ჩაიდოო.***

— ეს ნონსენსია. მან სიტუაცია აბსოლუტურად ადეკვატურად აღიქვა და სამაგალითოდ იქცეოდა. მას გულში არანაირი წყენა არ ჩაუდია და ბოლომდე ჩვენ გვერდით იდგა.

***— როგორ მოგწონთ თქვენი გუნდის შემტევი სამეული ტორესის დამატების შემდეგ?***

— ვფიქრობ, ახლა ჩვენს გუნდში მსოფლიოს საუკეთესო თავდამსხმელები არიან თავმოყრილი. გადამწყვეტი თამაშების წინ ეს ძალიან კარგია.

***— გიფიქრიათ იმაზე, რომ „მანჩესტერის“ დამარცხებით საჩემპიონო რბოლაში სერიოზულად დაეხმარეთ მეორე ლონდონურ გუნდ „არსენალს“?***

— ახლა ყველაზე ნაკლებად სხვა გუნდებზე ვფიქრობთ. რა თქმა უნდა, თუ „არსენალი“ თამაშს თამაშზე მოიგებს, მაშინ მწვერვალების დალაშქვრაც შეუძლია, მაგრამ ამას გაკეთება უნდა. „მანჩესტერი“ გამოცდილი გუნდია, პრემიერლიგა კი — გრძელი მარათონი და ერთი მოგება ან ერთი წაგება მის ბედს ვერ გადაწყვეტს.

**მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა**

# ევროპული ფეხბურთის ყურადღება ლივერპულსა და ტურინში



### ინგლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 05.03 ბირმინგ.-ვესტ ბრომვიჩი | 2.4 | 3.1 | 3.1 |
| 05.03 არსენალი-სანდერლენდი | 1.5 | 4.2 | 6.5 |
| 05.03 ბოლტონი-ასტონ ვილა | 2.25 | 3.3 | 3.2 |
| 05.03 ფულემი-ბლექბერნი | 1.67 | 3.6 | 5.5 |
| 05.03 ნიუკასლი-ევერტონი | 2.6 | 3.2 | 2.75 |
| 05.03 ვესტ ჰემი-სტოკი | 2.25 | 3.2 | 3.3 |
| 05.03 სიტი-უიგანი | 1.4 | 4.5 | 8.0 |
| 06.03 ლივერპული-მანჩესტერი | 2.87 | 3.2 | 2.5 |
| 06.03 ვულვზი-ტოტენჰემი | 2.9 | 3.25 | 2.45 |
| 07.03 ბლექპული-ჩელსი | 9.0 | 5.5 | 1.3 |

**ბირმინგემი — ვესტ ბრომვიჩი**

ბირმინგემი: ***ტრავმ***-ალექსანდრ გლები, სკოტ დანი

ვესტ ბრომვიჩი: ***ტრავმ***-პაბლო იბანიესი

**არსენალი — სანდერლენდი**

არსენალი: ***ტრავმ***-თეო უოლკოტი, სესკ ფაბრეგასი, რობინ ვან პერსი, ლუკაშ ფაბიანსკი, ტომას ვერმალენი, ემანუელ ფრომპონგი

სანდერლენდი: ***ტრავმ***-დევიდ მეილერი, დანი უელბეკი, ლი კატერმოლი, მაიკლ ტერნერი, ფრაიზერ კემბელი

**ბოლტონი — ასტონ ვილა**

ბოლტონი: ***ტრავმ***-სამუელ რიკეტსი, ზატ ნაითი, ლოიდ სამუელი

ასტონ ვილა: ***ტრავმ***-კარლოს ხიმენესი, ჟან მაკუნი, ლუკ იანგი, ანდრეას ვაიმანი

**ფულემი — ბლექბერნი**

ფულემი: ***ტრავმ***-ფილიპ სენდეროსი

ბლექბერნი: ***ტრავმ***-ფილ ჯონსი; ***დისკვ***-რაიან ნელსენი

**ნიუკასლი — ევერტონი**

ნიუკასლი: ***ტრავმ***-დან გუსლინგი, შოლა ამეობი, სტივენ აირლანდი, ალან სმიტი, ჰატემ ბენ არფა; ***დისკვ***-რაიან ტეილორი

ევერტონი: ***ტრავმ***-ტიმ კეიჰილი, მარუან ფელაინი, როს ბარკლი

**ვესტ ჰემი — სტოკი**

ვესტ ჰემი: ***ტრავმ***-მეტიუ აპსონი, რობი კინი, პეტერ კურუჩი

სტოკი: ***ტრავმ***-მეტიუ ეტერინგტონი, აბდულაიე ფაიე, მამადუ სიდიბე

**სიტი — უიგანი**

სიტი: ***ტრავმ***-ვინსენტ კომპანი, შეი გივენი, ნაიჯელ დე იონგი, ადამ ჯონსონი; ***დისკვ***-კოლო ტურე

უიგანი: ***ტრავმ***-ემერსონ ბოისი

**ლივერპული — მანჩესტერი**

ლივერპული: ტრავმ-მარტინ კელი, დანიელ აგერი, ფაბიო აურელიო, ენდრიუ კეროლი

მანჩესტერი: ***ტრავმ***-მაიკლ ოუენი, ანდერსონი, სუ ჯუნ პარკი, ოუენ ჰარგრივზი, ჯონათან ევანსი, რიო ფერდინანდი, ანტონიო ვალენსია; ***დისკვ***-ნემანია ვიდიჩი

**ვულვზი — ტოტენჰემი**

ვულვზი: ***ტრავმ***-სტივენ ჰანტი, მაიკლ კიტლი

ტოტენჰემი: ***ტრავმ***-ჯერმენ დეფო, რაფაელ ვან დერ ვაარტი, ჯონათან ვუდგეიტი, ვერდან ჩორლუკა, იუნის კაბული, ლედლი კინგი

**ბლექპული — ჩელსი**

ბლექპული: ***ტრავმ***-ელიოტ გრანდინი, პოლ რაჩუბკა, მეტიუ გილკსი, კრის ბაშამი, ბილი კლარკი; ***დისკვ***-დ.ჯ. კემბელი, ჩარლი ადამი

ჩელსი: ***ტრავმ***-ალექსი, იოსი ბენაიუნი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მანჩესტერი | 28 | 17 | 9 | 2 | 62:27 | 60 |
| 2.არსენალი | 27 | 17 | 5 | 5 | 57:27 | 56 |
| 3.სიტი | 28 | 14 | 8 | 6 | 44:25 | 50 |
| 4.ჩელსი | 27 | 14 | 6 | 7 | 48:23 | 48 |
| 5.ტოტენჰემი | 27 | 13 | 8 | 6 | 38:31 | 47 |
| 6.ლივერპული | 28 | 11 | 6 | 11 | 36:35 | 39 |
| 7.ბოლტონი | 28 | 9 | 10 | 9 | 39:38 | 37 |
| 8.სანდერლენ. | 28 | 9 | 10 | 9 | 33:35 | 37 |
| 9.ნიუკასლი | 28 | 9 | 9 | 10 | 43:39 | 36 |
| 10.სტოკი | 28 | 10 | 4 | 14 | 32:35 | 34 |
| 11.ევერტონი | 28 | 7 | 12 | 8 | 35:36 | 33 |
| 12.ას. ვილა | 28 | 8 | 9 | 11 | 35:47 | 33 |
| 13.ფულემი | 28 | 6 | 14 | 8 | 29:29 | 32 |
| 14.ბლექბერნი | 28 | 9 | 5 | 14 | 35:46 | 32 |
| 15.ბლექპული | 28 | 9 | 5 | 14 | 42:55 | 32 |
| 16.ბირმინგემი | 26 | 6 | 12 | 8 | 25:35 | 30 |
| 17.ვესტ ბრომ. | 28 | 7 | 8 | 13 | 36:53 | 29 |
| 18.ვულვზი | 28 | 8 | 4 | 16 | 31:46 | 28 |
| 19.ვესტ ჰემი | 28 | 6 | 10 | 12 | 33:49 | 28 |
| 20.უიგანი | 27 | 5 | 12 | 10 | 27:46 | 27 |

### იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| 05.03 იუვენტუსი-მილანი | 2.87 | 3.2 | 2.5 |
| 06.03 სამპდორია-ჩეზენა | 1.67 | 3.4 | 6.0 |
| 06.03 ბოლონია-კალიარი | 2.37 | 3.0 | 3.25 |
| 06.03 კიევო-პარმა | 2.3 | 3.1 | 3.3 |
| 06.03 ფიორენტინა-კატანია | 1.75 | 3.5 | 5.0 |
| 06.03 ინტერი-ჯენოა | 1.4 | 4.2 | 9.0 |
| 06.03 ნაპოლი-ბრეშა | 1.44 | 4.0 | 8.5 |
| 06.03 უდინეზე-ბარი | 1.3 | 5.0 | 11.0 |
| 06.03 ლაციო-პალერმო | 3.0 | 3.4 | 3.8 |

**იუვენტუსი — მილანი**

იუვენტუსი: ***ტრავმ***-ჰასან სალიჰამიჯიჩი, ფაბიო გროსო, ალბერტო აკვილანი, მოჰამედ სისოკო, ფაბიო კვალიარელა, პაოლო დი ჩელიე, ლეანდრო რინაუდო; ***დისკვ***-სიმონე პეპე

მილანი: ***ტრავმ***-ლუკა ანტონინი, დანიელე ბონერა, ანდრეა პირლო, მასიმო ამბროზინი, ფილიპო ინძაგი

**სამპდორია — ჩეზენა**

სამპდორია: ***ტრავმ***-ფერნანდო ტისონე (?), ნიკოლა პოცი, ფრანკო სემიოლი

ჩეზენა: ***ტრავმ***-ფელიეპ (?), ნიკოლას კორომბსოვი, ივან ფატიჩი, იგორ ბუდანი (?); ***დისკვ***-ლუკა ჩეკარელი, ერჯონ ბოგდანი

**კიევო — პარმა**

კიევო: ***ტრავმ***-ლუჩიანო; დისკვ-გელსონ ფერნანდესი

პარმა: ***ტრავმ***-მარიანო ანგელო, ანტონიო კალვო, ფერნანდო მარკესი; დისკვ-მასიმო პაჩი

**ფიორენტინა — კატანია**

ფიორენტინა: ***ტრავმ***-გაეტანო დაგოსტინო, პერ კროლდრუპი, სებასტიენ ფრეი, სტევან იოვეტიჩი

კატანია: ***ტრავმ***-ფაბიო სკიაცა, რაფაელ მარტინიო, ჩირო კაპუანო, ჯუზეპე ბელუჩი, მარიანო იზკო; ***დისკვ***-ბლაჟეი აუგუსტინი

**ინტერი — ჯენოა**

ინტერი: ***ტრავმ***-ესტებან კამბიასო, დიეგო მილიტო, ვალტერ სამუელი

ჯენოა: ***ტრავმ***-ომარ მილანეტო, ჩიკო, მატია დესტრო; ***დისკვ***-ანტონიო ფლორესი, დომენიკო კრიშიტო, მიგელ ველოდო

**ნაპოლი — ბრეშა**

ნაპოლი: ***ტრავმ***-ლუიჯი ვიტალე, ჯანლუკა გრავა; ***დისკვ***-ეზეკიელ ლავეცი

ბრეშა: ***ტრავმ***-ნიკოლას კორდოვა, სიმონე დალამანო

**უდინეზე — ბარი**

უდინეზე: ***ტრავმ***-ალმენ აბდი, დუშან ბასტა, დამიანო ფერონეტი

ბარი: ***ტრავმ***-ანდრეა რაგი, სიმონე ბენტივოლიო, სერხიო ალმირონი, ვიტალი კუტუზოვი, ვიტო ბარეტო, სალვატორე მასიელო

**ლაციო — პალერმო**

ლაციო: ***ტრავმ***-ანდრე დიასი, კრისტიან ბროკი, ფერნანდო მუსლერა (?), სტეფანო მაური, ტომაზო როკი

პალერმო: ***ტრავმ***-ფაბრიციო მიკოლი, დორინ გოიანი; ***დისკვ***-არმინ ბაჩინოვიჩი, მატეო დარმიანი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მილანი | 27 | 17 | 7 | 3 | 49:20 | 58 |
| 2.ინტერი | 27 | 16 | 5 | 6 | 49:29 | 53 |
| 3.ნაპოლი | 27 | 16 | 4 | 7 | 41:25 | 52 |
| 4.ლაციო | 27 | 14 | 6 | 7 | 33:23 | 48 |
| 5.უდინეზე | 27 | 14 | 5 | 8 | 49:30 | 47 |
| 6.რომა | 27 | 12 | 7 | 8 | 41:38 | 43 |
| 7.იუვენტუსი | 27 | 11 | 8 | 8 | 41:34 | 41 |
| 8.პალერმო | 27 | 12 | 4 | 11 | 44:43 | 40 |
| 9.კალიარი | 27 | 11 | 5 | 11 | 33:28 | 38 |
| 10.ჯენოა | 27 | 9 | 8 | 10 | 25:27 | 35 |
| 11.ბოლონია | 27 | 10 | 8 | 9 | 29:34 | 35 |
| 12.ფიორენტ. | 27 | 8 | 10 | 9 | 29:29 | 34 |
| 13.კიევო | 27 | 7 | 10 | 10 | 28:30 | 31 |
| 14.სამპდორია | 27 | 7 | 10 | 10 | 23:29 | 31 |
| 15.კატანია | 27 | 7 | 8 | 12 | 25:35 | 29 |
| 16.პარმა | 27 | 6 | 10 | 11 | 27:38 | 28 |
| 17.ლეჩე | 27 | 7 | 7 | 13 | 30:48 | 28 |
| 18.ჩეზენა | 27 | 6 | 7 | 14 | 20:36 | 25 |
| 19.ბრეშა | 27 | 6 | 6 | 15 | 22:35 | 24 |
| 20.ბარი | 27 | 3 | 7 | 17 | 15:41 | 16 |

*ბოლონიას დაკლებული აქვს 3 ქულა*

### ესპანეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 05.03 მალიორკა-ვალენსია | 2.62 | 3.25 | 2.7 |
| 05.03 ბარსელონა-სარაგოსა | 1.11 | 9.0 | 21.0 |
| 05.03 ატლეტიკო-ვილიარ. | 2.05 | 3.5 | 3.5 |
| 06.03 ერკულესი-ალმერია | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 06.03 ლევანტე-ესპანიოლი | 2.37 | 3.2 | 3.1 |
| 06.03 მალაგა-ოსასუნა | 2.15 | 3.3 | 3.4 |
| 06.03 ხიხონი-ხეტაფე | 2.25 | 3.2 | 3.3 |
| 06.03 ბილბაო-სევილია | 2.37 | 3.4 | 2.9 |
| 06.03 რასინგი-რეალი | 8.0 | 4.5 | 1.4 |
| 07.03 დეპორტივო-სოსიედ. | 2.2 | 3.1 | 3.5 |

**მალიორკა — ვალენსია**

მალიორკა: ***ტრავმ***-ჯონათან დე გუზმანი, ნადალი, ვიქტორ კასადესუსი; ***დისკვ***-ლუის მარტი

ვალენსია: ***ტრავმ***-არიტ ადურიზი, მიგელი, დავიდ ალბელდა, მიგელ მოია; ***დისკვ***-მეჰმეტ ტოპალი, ბრუნო

**ბარსელონა — სარაგოსა**

ბარსელონა: ***ტრავმ***-ვიქტორ ვალდესი, კარლეს პუიოლი, ჟეფრენი

სარაგოსა: ***ტრავმ***-ნობრეგა ბრაულიო, ლეო ფრანკო, ლაფიტა, ვიქტორ ლაგუარდია; ***დისკვ***-კარლოს დიოგო

**ატლეტიკო — ვილიარეალი**

ატლეტიკო: ***ტრავმ***-ტომაშ უიფალუში, მარიო სუარესი, ელიაში, მერიდა პერესი, პულიდო

ვილიარეალი: ***ტრავმ***-მარკოს სენა, ანგელ ლოპესი

**ერკულესი — ალმერია**

ერკულესი: ***ტრავმ***-ფრანსისკო ფარინოსი, რუფეტე, ნელსონ ვალდესი, პაცო პენა, როისტონ დრენტე; ***დისკვ***-კრისტიან პულჰა

ალმერია: ***ტრავმ***-მანუელ ორტიზი, მიგელ ნიეტო; დისკვ-ანტონიო როდრიგესი, ერნან ბერნანდელო, ხოსე ულოა

**ლევანტე — ესპანიოლი**

ლევანტე: ***ტრავმ***-ფელიპე კაიჩედო, მიგელ გოლომერი, სერხიო, რამირეს ექტორი, გარსია ლარეა, მიგელ პერესი, იგნასიო გონსალესი

ესპანიოლი: ***ტრავმ***-ხავიერ მარკესი, ხუან ფორლინი, რაულ ბაენა, ივან ალონსო, დანიელ ოსვალდო, ივან დე ლა პენია, ფელიპე მატიონი

**მალაგა — ოსასუნა**

მალაგა: ***ტრავმ***-ელდერ ორასიო, ხულიო ბატისტა, ხავიე მალაგენო, დუდა, სერხიო ასენხო, რუბენი

ოსასუნა: ***ტრავმ***-ვალტერ პანდიანი, მიგელ ფლანო, ოიერი, კარლოს არანდა, რობერტო, რუპერი

**ხიხონი — ხეტაფე**

ხიხონი: ***ტრავმ***-გარსია ტორე; დისკვ-ალბერტო ბოტია

ხეტაფე: ***ტრავმ***-ხუან ალბინი, პაბლო პინტოსი, ბორხა, იბრაჰიმ კასი, ოსკარ უსტარი, მარიო

**ბილბაო — სევილია**

ბილბაო: ***ტრავმ***-ფერნანდო ამორებიეტა, კარლოს გუპრეგი, ხავიერ კასტილიო, იბაი გომესი, იონას რამალიო

სევილია: ***ტრავმ***-არუნა კონე, ლაუტარო აკოსტა, მარტინ კასერესი, ანდრეას პალოპი, ლუკა გიგარინი, ტიბერიო გუარენტე, ივიცა დრაგუტინოვიჩი

**რასინგი — რეალი**

რასინგი: ***ტრავმ***-ოსკარ სერანო; ალექსანდროს ციოლისი

რეალი: ***ტრავმ***-კრიშტიანუ რონალდუ, ეზეკიელ გარაი, პეპე, სამი ჰედირა, გონსალო იგუაინი

**დეპორტივო — სოსიედადი**

დეპორტივო: ***ტრავმ***-მანუელ პაბლო, ხუან ვალერონი, ხისკო, საული

სოსიედადი: ***ტრავმ***-ხავი პრიეტო, გორკა ელუსტონდო, დიეგო იფრანი, ხოსება ლიორენტე

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 26 | 23 | 2 | 1 | 77:13 | 71 |
| 2.რეალი | 26 | 20 | 4 | 2 | 62:19 | 64 |
| 3.ვალენსია | 26 | 15 | 6 | 5 | 40:27 | 51 |
| 4.ვილიარ. | 26 | 15 | 5 | 6 | 45:26 | 50 |
| 5.ესპანიოლი | 26 | 13 | 1 | 12 | 35:38 | 40 |
| 6.ბილბაო | 26 | 12 | 2 | 12 | 40:38 | 38 |
| 7.სევილია | 26 | 11 | 5 | 10 | 41:40 | 38 |
| 8.ატლეტიკო | 26 | 10 | 5 | 11 | 36:34 | 35 |
| 9.სოსიედ. | 26 | 11 | 2 | 13 | 37:42 | 35 |
| 10.მალიორკა | 26 | 10 | 4 | 12 | 27:35 | 34 |
| 11.ხეტაფე | 26 | 9 | 5 | 11 | 36:39 | 33 |
| 12.რასინგი | 26 | 7 | 9 | 10 | 24:36 | 30 |
| 13.ლევანტე | 26 | 8 | 4 | 14 | 27:38 | 28 |
| 14.დეპორტ. | 26 | 6 | 10 | 10 | 21:35 | 28 |
| 15.სარაგოსა | 26 | 6 | 9 | 11 | 24:38 | 27 |
| 16.ოსასუნა | 26 | 6 | 8 | 12 | 26:32 | 26 |
| 17.ერკულესი | 26 | 7 | 5 | 14 | 24:39 | 26 |
| 18.ხიხონი | 26 | 5 | 10 | 11 | 23:34 | 25 |
| 19.მალაგა | 26 | 6 | 5 | 15 | 34:58 | 23 |
| 20.ალმერია | 26 | 4 | 10 | 12 | 26:44 | 22 |

### გერმანია

| | | | |
|---|---|---|---|
| 05.03 აინტრახტი-კაიზერი | 2.37 | 3.25 | 3.0 |
| 05.03 ჰანოვერი-ბაიერნი | 4.75 | 4.0 | 1.67 |
| 05.03 გლადბახი-ჰოფენჰაიმი | 2.62 | 3.6 | 2.5 |
| 05.03 ნიურნბ.-ზანკტ პაული | 1.83 | 3.5 | 4.4 |
| 05.03 შტუტგარტი-შალკე | 2.05 | 3.4 | 3.6 |
| 05.03 ლევერკ.-ვოლფსბურგი | 1.61 | 4.2 | 5.0 |
| 06.03 ფრაიბურგი-ვერდერი | 2.4 | 3.5 | 2.8 |
| 06.03 ჰამბურგი-მაინცი | 1.91 | 3.5 | 4.0 |

**აინტრახტი — კაიზერი**

აინტრახტი: ***ტრავმ***-ოკა ნიკოლოვი, კაიო, რიკარდო კლარკი, კრისი, ზლატან ბაირამოვიჩი

კაიზერი: ***ტრავმ***-ჯირი ბილეკი, ივო ილიჩევიჩი, ალან სტულინი, იან შიმუნეკი

**ჰანოვერი — ბაიერნი**

ჰანოვერი: ***ტრავმ***-დიდიე კონანი, კრისტოფერ ავევორი, მარკუს მილერი, ლეონ ანდრეასენი

ბაიერნი: ***ტრავმ***-ივიცა ოლიჩი; დისკვ-ბასტიან შვაინშტაიგერი

**გლადბახი — ჰოფენჰაიმი**

გლადბახი: ***ტრავმ***-პოლ სტალტერი, ბერნარდ იანეჩეკი, კრისტიან დორდა

ჰოფენჰაიმი: ***ტრავმ***-იოსიპ შიმუნიჩი, ტობიას ვეისი, მანუელ გულდე, ჩინედუ ობასი

**ნიურნბერგი — ზ.პაული**

ნიურნბერგი: ***ტრავმ***-ჯური ჯუდტი, ჯულიან შეიბერი, ალბერტ ბუნიაკუ, ჰასიმ ბენ ჰალიფა

ზ.პაული: ***ტრავმ***-ჯერალდ ასამოა, ფაბიო მორენა, ბასტიან ოკზიპკა, კარსტენ როტენბახი

**შტუტგარტი — შალკე**

შტუტგარტი: ***ტრავმ***-პატრიკ ფუნკი, ფილიპ დეგენი, ჩიპრიან მარიკა, არტურ ბოკა, იოან აუდელი; ***დისკვ***-მეტიუ დელპიერი

შალკე: ***ტრავმ***-კლაას იან ჰუნტელაარი, კრისტიან პანდერი, ტიმ ჰოოგლანდი, კრისტოფერ მორიცი, ლევან ყენია

**ლევერკუზენი — ვოლფსბურგი**

ლევერკუზენი: ***ტრავმ***-კევინ კამპლი, ჰანო ბალიჩი, ტრანკილიო ბარნეტა; ***დისკვ***-არტურო ვიდალი

ვოლფსბურგი: ***ტრავმ***-ხოსე, ალექსანდერ მადლუნგი, ტომას კალენბერგი

**ფრაიბურგი — ვერდერი**

ფრაიბურგი: ***ტრავმ***-ჯულიან შუსტერი, დანიელ უილიამსი, სიმონ პუპლინი; ***დისკვ***-მენსურ მურჯა

ვერდერი: ***ტრავმ***-ფელის კროოსი, საიდ ჰუსეინოვიჩი, დანიელ იენსენი, კრისტიან პანდერი, ნალდი; ***დისკვ***-კლემენს ფრიტცი

**ჰამბურგი — მაინცი**

ჰამბურგი: ***ტრავმ***-მაქსიმ ჩუპომუტინგი, თუნაი თორუნი, მიროსლავ შტეპანეკი; რომეო კასტელენი

მაინცი: ***ტრავმ***-სამი ალაგუი, მიროსლავ კარანი, ადამ ზალაი, იან შიმაკი

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დორტმუნდი | 24 | 18 | 4 | 2 | 52:14 | 58 |
| 2.ლევერკუზ. | 24 | 13 | 7 | 4 | 50:34 | 46 |
| 3.ჰანოვერი | 24 | 14 | 2 | 8 | 34:31 | 44 |
| 4.ბაიერნი | 24 | 12 | 6 | 6 | 50:30 | 42 |
| 5.მაინცი | 24 | 13 | 1 | 10 | 37:30 | 40 |
| 6.ჰამბურგი | 24 | 11 | 4 | 9 | 35:32 | 37 |
| 7.ფრაიბურგი | 24 | 11 | 4 | 9 | 31:31 | 37 |
| 8.ნიურნბერ. | 24 | 10 | 6 | 8 | 34:32 | 36 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 24 | 8 | 9 | 7 | 41:35 | 33 |
| 10.შალკე | 24 | 8 | 6 | 10 | 29:29 | 30 |
| 11.კიოლნი | 24 | 8 | 5 | 11 | 31:42 | 29 |
| 12.ზ.პაული | 24 | 8 | 4 | 12 | 27:38 | 28 |
| 13.აინტრახტი | 24 | 8 | 3 | 13 | 24:34 | 27 |
| 14.ვოლფსბ. | 24 | 6 | 8 | 10 | 29:34 | 26 |
| 15.ვერდერი | 24 | 6 | 7 | 11 | 30:50 | 25 |
| 16.კაიზერი | 24 | 6 | 6 | 12 | 33:42 | 24 |
| 17.შტუტგარ. | 24 | 6 | 4 | 14 | 42:47 | 22 |
| 18.გლადბახი | 24 | 5 | 4 | 15 | 34:59 | 19 |

### საფრანგეთი

| | | | |
|---|---|---|---|
| 05.03 კაენი-სენტ ეტიენი | 2.5 | 3.2 | 2.9 |
| 05.03 ლორიენი-ნანსი | 1.8 | 3.3 | 4.8 |
| 05.03 მონპელიე-რენი | 2.4 | 3.2 | 3.0 |
| 05.03 ნიცა-ლანსი | 2.1 | 3.2 | 3.6 |
| 05.03 ტულუზა-სოშო | 1.85 | 3.3 | 4.5 |
| 05.03 ვალანსიენი-მონაკო | 2.1 | 3.1 | 3.75 |
| 05.03 ოსერი-პსჟ | 3.25 | 3.1 | 2.3 |
| 06.03 ბრესტი-ბორდო | 2.62 | 3.25 | 2.62 |
| 06.03 ლიონი-არლე | 1.2 | 6.0 | 15.0 |
| 06.03 მარსელი-ლილი | 2.15 | 3.1 | 3.6 |

**კაენი — სტ.ეტიენი**

კაენი: ***ტრავმ***-რომაინ ჰამუმა, ანტონი დეროინი, ნიკოლას სეუბე, ნბრანკო ლაზარევიჩი

სტ.ეტიენი: ***ტრავმ***-ლორის ნერუ, ბუბაქარ სანოგო, აბდულაიე კულიბალი

**ლორიენი — ნანსი**

ლორიენი: ***ტრავმ***-ბრუნო მანგა, ლამინე კონე, ფაბიენ რობერი, ოლივიე მონტერუბიო, იოან იუფრე

ნანსი: ***ტრავმ***-აიტირ ჩაჩეჩუეჩე, ჯონათან ბრისონი, პაულ ეფოულუ, ჯენარო ბრაჩილიანო

**მონპელიე — რენი**

მონპელიე: ***ტრავმ***-ბენგალი კოიტა, ნენად ძოძიჩი

რენი: ***ტრავმ***-იასინ ბრაჰიმი, ფადერ მანგანე, იერის ეკოკო, სილვიან მარვო, ონიეკაჩი აპამი

**ტულუზა — სოშო**

ტულუზა: ***ტრავმ***-მარკ ვიდალი, მეურო კეტო, ხავიე პენტეკოტე, იოან პელე

სოშო: ***ტრავმ***-ჟერემი ბრეჩე, ედუარდ ბუტინი, იასინ მიკარი

**ვალანსიენი — მონაკო**

ვალანსიენი: ***ტრავმ***-გაეტან ბონგი, კრისტოფერ მფიუ, ფუდ კადირი, იოან ლაკური

მონაკო: ***ტრავმ***-კრის მალონგა, დანიელ ნიკულაე, მუსა მააზუ, ჯიმი ტრაორე

**ოსერი — პსჟ**

ოსერი: ***ტრავმ***-რემი რიუ, როი კონტო, პასკალ მინიო, იაია სანოგო, ალექსანდერ ლიკატა

პსჟ: ***ტრავმ***-ნენე, ჟერემი კლემენტი, ზუმანა კამარა

**ბრესტი — ბორდო**

ბრესტი: ***ტრავმ***-აჰმედ კანტარი, ტომას კოტი, ნოლან როი, ოსმან კულიბალი

ბორდო: ***ტრავმ***-იოან გუფრანი, მარკ პლანუსი, კარლოს ენრიკე, აბდულაიე კეიტა

**ლიონი — არლე**

ლიონი: ***ტრავმ***-ლისანდრო ლოპესი, ედერსონი

არლე: ***ტრავმ***-სირილ მერვილი, ჯამელ ბენ იდირი, ლოიკ აბენზოარი

**მარსელი — ლილი**

მარსელი: ***ტრავმ***-მეტიუ ვალბუენა, ანდრე-პიერ ჟინიაკი, ჟულიენ როდრიგესი

ლილი: ***ტრავმ***-არავინ

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.რენი | 25 | 13 | 7 | 5 | 30:18 | 46 |
| 2.ლილი | 25 | 12 | 10 | 3 | 43:24 | 46 |
| 3.მარსელი | 25 | 12 | 9 | 4 | 36:21 | 45 |
| 4.ლიონი | 25 | 11 | 9 | 5 | 39:25 | 42 |
| 5.პსჟ | 25 | 12 | 8 | 5 | 39:25 | 44 |
| 6.მონპელიე | 25 | 10 | 8 | 7 | 21:23 | 38 |
| 7.სტ.ეტიენი | 25 | 9 | 8 | 8 | 33:32 | 35 |
| 8.ლორიენი | 25 | 10 | 5 | 10 | 32:31 | 35 |
| 9.ბრესტი | 25 | 9 | 8 | 8 | 26:25 | 35 |
| 10.ბორდო | 25 | 8 | 10 | 7 | 32:30 | 34 |
| 11.ტულუზა | 25 | 10 | 3 | 12 | 27:28 | 33 |
| 12.სოშო | 25 | 9 | 5 | 11 | 39:31 | 32 |
| 13.ვალანს. | 25 | 7 | 10 | 8 | 30:27 | 31 |
| 14.კაენი | 25 | 7 | 8 | 10 | 28:36 | 29 |
| 15.ნიცა | 25 | 7 | 8 | 10 | 17:27 | 29 |
| 16.ნანსი | 25 | 8 | 4 | 12 | 27:41 | 28 |
| 17.ოსერი | 25 | 4 | 14 | 7 | 29:33 | 26 |
| 18.მონაკო | 25 | 4 | 13 | 8 | 25:28 | 25 |
| 19.ლანსი | 25 | 5 | 9 | 11 | 26:44 | 24 |
| 20.არლე | 25 | 1 | 8 | 16 | 13:45 | 11 |

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

# რატომ არ ამართლებს რევოლუციები?



თეა მარხვაი ე

საქართველოში დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებს. ოპოზიცია არაბულ სიოს გულისფანცქალით შეჰყურებს. ნაციონალებს კი ეს ამბავი დიდად არ ეპიტნავებათ.

ყველას კარგად გვახსოვს, როგორი აჟიტირებული იყვნენ ისინი უკრაინაში, ყირგიზეთსა და ბელორუსში მიმდინარე რევოლუციებით. მარტო აჟიტირებული კი არ იყვნენ, სამთავარობო დესანტიც გააგზავნეს. იქ მიმდინარე პროცესებს კი საათში ორჯერ მაინც გვამცნობდნენ.

ახლა კი დუმან და კომენტარების გაკეთებასაც გაურბიან. თუ რამეს შეეკითხები, გპასუხობენ, რომ ასეთი რამე საქართველოს არ ემუქრებაო. არადა, როგორც ექსპერტები ამბობენ, ლიბიაშიც კი ხალხი ქართველებზე უკეთესად ცხოვრობს. ცნობისათვის, ლიბიაში პური ჩვენს ფულზე დაახლოებით 7-10 თეთრი ღირს. 5 დოლარად კი თურმე 65 ლიტრ საწვავს იყიდი.

არავინ იცის, საქართველოში მოხდება თუ არა სოციალური ბუნტი. ხალხს, მართალია, ძალიან უჭირს, მაგრამ რევოლუციის გარისკვა არავის უნდა. სხვებისგან განსხვავებით ბოლო 20 წლის განმავლობაში ორი რევოლუცია ვნახეთ. ერთი სისხლიანი, ერთიც ვარდიანი. ერთიც და მეორეც საქართველოს ცუდად შემოუბრუნდა. ვარდის ეკლებს ახლა ისინიც კი გრძნობენ, რომლებიც აქამდე ყველაფერს ვარდისფერში ხედავდნენ.

რევოლუციებს კიდევ ერთი თვისება აქვს. რევოლუციების შემდეგ ჩვენთან ხელისუფლებაში ის ადამიანები მოვიდნენ, ვინც ხელისუფლებას კარგად ვერ მოერგო.

ასე მარტო ჩვენთან არ ხდება. ამასთან დაკავშირებით ძალიან კარგი მასალა გამოაქვეყნა გამოცემა „ინდიფენდენტმა“, რომლის თარგმანსაც საიტი „ფორეიგნპრესი გთავაზობთ.

## რატომ იმარჯვებენ დამარცხებულები

სტატიის ავტორი დომინიკ ლოუსონია, სტატიას ჰქვია „წაგებულები, რომლებიც რატომლაც იმარჯვებენ“.

აი, რას წერს დომინიკ ლოუსონი:

— ყველა ქვეყანაში არსებობენ ძალაუფლების მოყვარული ადამიანები, რომლებიც ძალიან გამოცდილები ხდებიან ამ ძალაუფლების ხელში ჩაგდებასა და მის შენარჩუნებაში,როდესაც ჯონ სიმფსონი თქვენს ქვეყანაშია, ხვდებით, რომ რეჟიმის შეცვლა გარდაუვალია. ბი-ბი-სი-ს დაუცხრომელი საერთაშორისო რედაქტორი (ამას ვამბობ, როგორც მისი ძველი მეგობარი და ზოგჯერ რედაქტორიც) ახლა ლიბიაშია. ის ცდილობს ინტერვიუების ჩაწერას გამარჯვებულებთან და თავის საფირმო ელეგანტური სიტყვის წარმოთქმას წაგებულთა პანაშვიდებზე. თუკი ყველაფერი სცენარის მიხედვით განვითარდა, მუამარ კადაფი კონკრეტულად ამ აჯანყებაში ყველაზე სერიოზული წაგებული გახდება, მაგრამ ვინ ავა მწვერვალზე რევოლუციის დასრულების შემდეგ? ეს გაცილებით რთული და ეშმაკური კითხვაა. იმაზე ხშირად, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია, გამარჯვებულთა რიგებში ძველი რეჟიმის □„ცუდი ბიჭები“ აღმოჩნდებიან ხოლმე. მაგალითად, გასულ ოთხშაბათს სიმფსონმა ინტერვიუ ჩაწერა გენერალ აბდელ ფატაჰ იუნისთან, რომელიც რამდენიმე გულითადი რეპლიკის შემდეგ კამერებს მოუბრუნდა და ლიბიის მოსახლეობას პირდაპირ მიმართა: „ჩემო ძმებო, დადგა თავისუფლების, ტრიპოლისა ლაშქრობისა და იმის დრო, რომ ამ სისხლიან რეჟიმს ბოლო მოვუღოთ“. შესანიშნავი სიტყვებია გენერალო.

არადა, ერთი დღით ადრე გენერალი იუნისი ლიბანის მთავრობაში შინაგან საქმეთა მინისტრი და სპეცდანიშნულების ძალთა მეთაური იყო. ის კადაფის 42-წლიანი დიქტატურის ცენტრალური ფიგურა გახლდათ და საკუთარი სურვილით და მონდომებით მონაწილეობდა რეჟიმის დანაშაულებებში, მის სინდისზეა —□ სისხლი, წამება და მკვლელობები. როგორც ეს სიმფსონმა ძალიან დელიკატურად აღნიშნა, იმის მოულოდნელმა საფრთხემ, რომ პოლკოვნიკმა კადაფიმ შეიძლება ძალაუფლება დაკარგოს. როგორც ჩანს, გენერალს რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყებულთა მხარეს გადასვლა აიძულა, იმ აჯანყებულთა მხარეს, რომელთა ჩახშობაზეც ის ორმოცი წლის განმავლობაში იყო პასუხისმგებელი.კიდევ სადღაც, ანალოგიურად გადამდგარმა იუსტიციის მინისტრმა მუსტაფა აბდელ-ჯალილიმ განაცხადა, რომ ის „თავისუფალი ლიბიის“ დროებით მთავრობას ჩაუდგება სათავეში. ამას უმალ გამოეხმაურნენ ბენგაზიში ჩამოყალიბებული ახალი ნაციონალური საბჭოს წარმომადგენლები. ერთ-ერთმა მათგანმა განაცხადა, რომ კადაფის რეჟიმის ნარჩენებთან შერიგებაზე საუბარიც კი ზედმეტია „ადამიანის უფლებების მხრივ იმ უამრავი დარღვევის გამო“,□ რომელიც მათ ჩაიდინეს, თუმცა ამავდროულად მან პარადოქსული რამ თქვა, რომ იუსტიციის ყოფილი მინისტრი შეიძლება ნაციონალური საბჭოს წევრი გახდეს.

ეს სადავო საკითხი იმ დილემას ეხება, რომლის წინაშეც ნებისმიერი ახალი მთავრობა დგება ხოლმე, რომელიც ხელისუფლებაში მრავალწლიანი ტოტალიტარული დიქტატურის შემდეგ მოდის. მთელი ადმინისტრაციულ-ჩინოვნიკური კლასი ასე თუ ისე ძველი რეჟიმის ფუნქციონირებაში მონაწილეობდა და ამავდროულად მოკლევადიან თუ ზოგჯერ გრძელვადიან პერსპექტივაშიც კი, ქვეყნის ფუნქციონირების გაგრძელება ამ ადამიანების გარეშე წარმოუდგენელია.

ერაყის გამოცდილება ამის შესანიშნავი მაგალითია. სადამ ჰუსეინის დამხობისთანავე გარდამავალმა ადმინისტრაციამ პოლ ბრემერის ხელმძღვანელობით გამოსცა განკარგულება, რომლის თანახმად სადამის პარტიის „ბაასი“-ს წევრებს სახელმწიფო სამსახურში მუშაობა ეკრძალებოდათ. მათ ეს კეთილი განზრახვით გააკეთეს, მაგრამ საბოლოო ჯამში აკრძალვა მხოლოდ სამოქალაქო სახელმწიფო სამსახურს არ შეეხო, არამედ ისეთ პროფესიებსაც როგორებიცაა მასწავლებელი, ექიმი და სამხედროები. ათასობით ამ პროფესიის ადამიანმა შემოსავლის და სტატუსის მოულოდნელ დაკარგვაზე იმით მოახდინა რეაგირება, რომ აჯანყებულ ძალებს შეუერთდა. ქვეყანა დიქტატურიდან ანარქიაში გადაეშვა.

მაგრამ თუკი უხეში და უპირობო დებაასიფიკაცია ტრაგედია იყო (რაც აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა და ცენტრალურმა სადაზვერვო სააგენტომ იწინასწარმეტყველა, მაგრამ ბოლოს მაინც თავდაცვის სამინისტროს მოსაზრებამ გადაწონა), ის შთაგონებული იყო უფრო გმირული სამხედრო გამარჯვების, ადოლფ ჰიტლერის რეჟიმზე გამარჯვების შედეგებით. 1947 წლის დასაწყისში ე.წ. დენაციფიკაციის პროგრამის ფარგლებში მოკავშირეებმა ნაცისტური პარტიის იმ 1.9 მილიონი წევრისგან შემდგარი სია შეადგინეს, რომლებსაც ხელოსნობის გარდა აეკრძალათ ყველა ტიპის საქმიანობა, მაგრამ დასავლეთ გერმანიის პირველი ომის შემდგომი კანცლერი კონრად ადენაუერი დენაციფიკაციის პოლიტიკას კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა და საბოლოო ჯამში მიაღწია იმას, რომ გატარდა მთელი რიგი კანონები ამნისტიის შესახებ, რომლითაც პატიება მიიღეს არა მხოლოდ რიგითმა ჩინოვნიკებმა, არამედ SS-ის წევრებმაც, რომლებსაც □„კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებებში“ სდებდნენ ბრალს.თავად ადენაუერი ყოფილი ნაცისტი არ იყო, მაგრამ დენაციფიკაციის პროგრამას განიხილავდა, როგორც მოკავშირეების მისწრაფებას იმისკენ, რომ გერმანული მოსახლეობა კოლექტიურად დაედანაშაულებინათ. რა თქმა უნდა, არსებობს მნიშვნელოვანი სხვაობა იმ სიტუაციებს შორის, რაც ხდებოდა გერმანიაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, შემდეგ ერაყში სადამის დამხობის მერე და იმ ვითარებას შორის, რაც დღეს ახლოაღმოსავლეთსა და აფრიკაშია: ამ უკანასკნელ შემთხვევაში არ არსებობს არანაირი გარე ძალა, რომელიც გამარჯვებულ ქვეყანაში ახალ წესრიგს დაამყარებდა. აქ ქვეყნები დაპყრობილები არ არიან და ახალ ეპოქაში შეუძლიათ საგარეო ჩარევების გარეშე საკუთარი შეცდომები თავად დაუშვან.

და ჩვენც ვინც, კონფლიქტის მიღმა ვიმყოფებით, არა გვაქვს მორალური უფლება ჩავერიოთ და ლიბიელები გავაკრიტიკოთ, თუკი ისინი მიდიან ამაზრზენ კომპრომისებზე ყოფილი მმართველი ელიტის ზოგიერთ დისკრედიტებულ წევრებთან. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ დასავლეთში ვთანხმდებოდით (ყოველ შემთხვევაში, ჩვენი მთავრობების სახით) კადაფის ქება-დიდებაზე, მისთვის იარაღის მიყიდვასა და სამხედრო წვრთნაში დახმარებაზე მანამ, სანამ ის ჩვენთან მეტ-ნაკლებად ნორმალურ ურთიერთობას თანხმდებოდა: არანაირი კომპრომისი, რომელზეც შეიძლება ლიბიელები წავიდნენ, არ იქნება ისეთი ამაზრზენი, როგორიც ეს მიდგომაა.

ანალოგიურად არც საბჭოეთი და არც ამერიკელები დიდად არ ეწინააღმდეგებოდნენ იმას, რომ ადენაუერს დენაციფიკაცია გაეუქმებინა, რადგან ორივე მოხარული იყო დაექირავებინა წამყვანი მეცნიერები, რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ გერმანიის სარაკეტო პროგრამაზე, არადა ბევრი მათგანი ნაცისტური პარტიის წევრი იყო. ამ ფაქტთან დაკავშირებით ერთხელ პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა ირონიულად განაცხადა, როდესაც მას დაუსვეს შეკითხვა, თუ რატომ გაუსწრო საბჭოთა კოსმოსურმა სისტემამ გაცილებით უკეთ დაფინანსებულ ამერიკულ სისტემას. როგორც ამბობენ, მან უპასუხა: „მათი გერმანელი მეცნიერები ჩვენს გერმანელ მეცნიერებს სჯობიან“.

ცივი ომის თანმდევი ეს ექსტრემალური აუცილებლობა სერიოზულად განსხვავდება ახალ მთავრობაში ყოფილი დიქტატორული რეჟიმის ჩინოვნიკთა დაშვებისგან და სწორედ ეს მოხდა მეტ-ნაკლები დოზით იმ ქვეყნებში, რომლებიც ადრე კომუნისტური მმართველობის ქვეშ იმყოფებოდნენ. ხშირად ამბობენ, რომ ახლოაღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკაში მიმდინარე დღევანდელი სახალხო აჯანყებების ტალღა 1989 წელს აღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური დიქტატურების დამხობის გამოძახილია. თუკი ეს მართლაც ასეა, მაშინ ჩვენ იმის მოლოდინიც შეიძლება გვქონდეს, რომ პოლკოვნიკ კადაფის აპარატის წევრები არცთუ შორეულ მომავალში რაღაც მომენტში ხელისუფლებაში მოვლენ და შესაძლოა ისინი აირჩიონ კიდეც.

უნგრეთსა და პოლონეთში კომუნისტები ხელახლა დაიბადნენ, გახდნენ სოციალ-დემოკრატები და კვლავ მოვიდნენ ხელისუფლებაში, რაზეც ამ ქვეყნების ნაციონალისტური მოძრაობების ბევრ წევრს ასეთი კითხვაც კი გაუჩნდა: და იყო კი რევოლუცია საერთოდ. რუმინეთსა და ბულგარეთში ძველი რეჟიმის ზოგიერთი სასტიკი წარმომადგენელი არ კარგავდა პოლიტიკური ძალის აღდგენის იმედს და ხშირ შემთხვევაში ისინი არ ცდებოდნენ.

ანალოგიური სიტუაციებიდან ყველაზე საოცარი თავად რუსეთის ისტორიაა, ქვეყნის, რომლის არმიაც ახშობდა უფრო ადრეულ აჯანყებებს ბუდაპეშტსა და პრაღაში და რომელმაც უარი სთქვა ევროპული იმპერიის ვასალ სახელმწიფოებში საკუთარ ძალაუფლებაზე მხოლოდ მას შემდეგ, რაც მისი შიდა ეკონომიკა საკუთარ წინააღმდეგობათა სიმძიმის ნანგრევებში მოექცა. ორი ათწლეულის შემდეგ ლენინის და სტალინის მიერ აწყობილმა უსაფრთხოების აპარატმა რუსეთში საკუთარი პოლიტიკური გავლენა აღადგინა და ამის საუკეთესო მაგალითია „კაგებეს“ ოფიცერი პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი. ის ხელმძღვანელობს ე.წ. „სილოვიკების“ (ეს რუსული სიტყვა „ძალაუფლების ხალხს“ ნიშნავს) უზარმაზარ ქსელს და დიდწილად ეს ადამიანები „კაგებეს“ ყოფილი თანამშრომლები და მისი მემკვიდრე ორგანიზაცია „ეფესბეს“ წევრები არიან.



„ძალაუფლების ხალხი“ მართლაც სასარგებლო გუნდია, რომელიც ფართო გამოყენებას საჭიროებს. ყველა ქვეყანაში არსებობენ იმ ტიპის ადამიანები, რომლებსაც ძალაუფლება იზიდავს, შედეგად ისინი ძალიან გამოცდილები ხდებიან ამ ძალაუფლების ხელში ჩაგდებასა და მის შენარჩუნებაში, ასევე გარკვეული წყვეტის შემდეგ ძალაუფლებაში საკუთარი წილის აღდგენაში და არ არის აუცილებელი, ამ ადამიანებს განეკუთვნებოდნენ ისინი, ვინც ასე გმირულად იბრძვიან პოლიტიკური თავისუფლებებისთვის ტუნისის, კაიროს ან ტრიპოლის ქუჩებში.

## რას მოუტანს რევოლუცია საქართველოს

როგორც ზევით უკვე აღვნიშნეთ, არავინ იცის, მოხდება თუ არა საქართველოში სოციალური ბუნტი. მშვიდობიანი რევოლუციის აუცილებლობაზე ბევრი საუბრობს, თუმცა მათაც კი ეშინიათ შედეგების.

— საქართველოში რამდენჯერმე მოხდა რევოლუცია. არც ერთმა მათგანმა შედეგი არ მოიტანა. ჩვენ ისევ ქუჩაში ვდგავართ და ხელისუფლების შეცვლას ვითხოვთ. ქუჩის გზით ხელისუფლების შეცვლას არ მივესალმებით. იმიტომ, რომ შეიძლება ახალი სააკაშვილი ან მასზე უარესი დიქტატორი მივიღოთ, — ამბობს „ახალ თაობასთან“ საუბარში ალეკო შალამბერიძე.

ხალხის პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ვარდების რევოლუციის აქტივისტი იყო. ახლა ამ ნაბიჯს მცდარად მიიჩნევს. მიაჩნია, რომ გამოსავალი სისტემის შეცვლაა და არა ხელისუფლების.

მისი განცხადებით, ძალაუფლების გაყოფა უნდა მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში საქართველოს სათავეში სულ დიქტატორები იქნებიან.

ირაკლი ალასანიას აზრით, საქართველოში რევოლუციების დრო უნდა დამთავრდეს. ორმა მათგანმა სასიკეთო ქვეყანას არაფერი მოუტანა და, რაც მთავარია, ხელისუფლებაში ისევ ის ხალხია.

ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ახალი რევოლუციის მოწყობას ის ხალხი აპირებს, რომელიც რამდენიმე წლის წინ ვარდებით ხელში შევარდა პარლამენტში. მათ ხელისუფლებაში თავიდან კარგი ადგილები ეკავათ, მერე ოპოზიციაში აღმოჩნდნენ. ახლა ისევ უკან უნდათ დაბრუნება.

ხალხი კი ისევ რევოლუციას ელოდება და სჯერა, რომ ერთხელ მათთვისაც გაისვრის „ავრორა“.

ნათელმხილველი
მანანა
იგებს წარსულს, აწმყოს, მომავალს, ადგენს უიღბლობის მიზეზს, ათავისუფლებს ავი თვალისა და ჯადოსაგან, ამზადებს თილისმებს ბარაქაზე, ბედის გახსნაზე, წარმატებაზე, ჯადოსა და თვალისგან დამცველს, შეუძლია დანგრეული ოჯახების აღდგენა და ნევროზის განკურნება. მიღება წინასწარი შეთანხმებით.
მის: მეტრო „ავლაბართან“, მახათის შესახვევი N6.
ტელ: 897-29-27-50.

## ორშაბათი 7 მარტი

06.30 დოკ. ფილმი "მსოფლიოს ოდისეები" 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 ვ. სანაიას რეპორტაჟი 13.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 14.00 აქცენტები 15.00 სერ. "ტკბილი, მწარე ცხოვრება" 17.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 18.00 მეხსიერება 19.05 დოკ. ფილმი "გამორჩეული სასტუმროები" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. "ტკბილი, მწარე ცხოვრება" 22.00 აუდიტორია 23.00 თოქ-შოუ "არენა" 00.30 მხ. ფილმი "პირველი რაინდი" (შ. კონერი) 02.45 მოამბე 03.05 ცხოვრება მშვენიერია

08.00 დოკ. ფილმი 09.00 მხ. ფ. "ზაზუნას დღე" 11.00 ვ. სანაიას რეპორტაჟი 11.30 დოკ. ფილმი 12.30 ქართული დოკუმენტალისტიკა 13.30 ისტორია 14.00 რეგიონის დროით 14.45, 17.45, 23.00 ბრიფინგის დროით 16.00 დოკ. ფილმი 17.00 მეხსიერება 19.00 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი "ოცნების გოგონები" 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 01.00 მხ.ფ."დონი ბრასკო"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "სასოწარკვეთილი დიასახლისები" 10.00 სერ. "მიმწყვდეული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 03.20 კურიერი 12.30 სერ. "შენ ჩემი სიცოცხლე ხარ" 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 იღბლიანი შოუ (გან.) 15.30 სერ. "ჩვენი ოფისი" 16.00 სერ. "სიყვარულის საიდუმლო" 16.50 სერ. "მორენას ვნება" 18.30 სერ. "გაორება" 18.50 სერ. "დანიელა" 19.50 სერ."ელენას მოჩვენება" 22.00 ნიჭიერი 00.00 საფეხბურთო ღამე 01.00 მხ. ფილმი "რემბო" (18) (ს. სტალონე) 03.00 პატრული

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია "ბეტმენი" 09.00 სერ. "ჩენტო ვეტრინე" 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ."დაუნდობელი სამყარო" 12.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.40 პულსი 15.20 სერ."ორნახევარი კაცი" 16.30 გადაცემა "ტვ-ტესტი" 17.00 მხ. ფილმი 19.00 სერ. "ვნებათა მიწა" 20.00 სერ."დაუნდობელი სამყარო" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "სილამაზის მსხვერპლი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.40 ქრონიკა 11.40 ტვ-მარკეტი 11.50 სერ. "ბოშები" 13.00 სერ."ლობას საიდუმლო" 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. "მონტეს ოჯახი" 17.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 18.45 სერ."ლობას საიდუმლო" 21.00 სერ. "ქალბატონი" 22.00 სეტუმრად იუმორინასთან 23.30 მხ. ფილმი "სამართლიანობისთვის მებრძოლი" (12) (ს. სიგალი) (სუბტ.) 01.30 მხ. ფილმი "უკანასკნელი ლეგიონი" (კ. ფერტი) (სუბტ.) 03.10 მხ.ფ."დამცველი"(12)(სუბტ.)

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ."დაცვის უფლება" 10.30 დოკ. ფილმი 11.50, 21.00 სერ. "იდუმალი სტუმარი" 12.50, 19.30 სერ."ორმაგი ცხოვრება" 14.50 ფერისცვალება 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. "ოქროს კერპი" 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00 პატრიარქის ქადაგება 10.35 კვირიაკე 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 24.00 საგალობელი 12.05, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.10 ანდრია კრიტელის კანონი 12.30 დოკ. ფილმი "წმინდა ოთხთავი" 1-ლი ნ. 13.30 კონცერტი 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.25 დოკ. ფ. "ფურცლები ფრანგული დღიურიდან" 16.25 დოკ. ფ."ველური ბუნება" 16.50 დოკ. ფილმი "მესაზღვრე ბერები" 1-ლი ნ. 18.05 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 19.15 დოკ. ფ. "ახალმოწამენი" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.25 დოკ. ფილმი "ცხრა კოლაელი ყრმა" 22.25 ერთსულოვანი ოჯახი 22.50 ანდრია კრიტელის კანონი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დოკ. ფილმი "ათონის ქართველთა სავანე" 00.30 სუფთა დაფა

## სამშაბათი 8 მარტი

06.30 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 ჩვენი დილა 11.00 სამოთხის ვაშლები 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 12.30 თოქ-შოუ "არენა" 14.00 ჩვენი ეზო 15.00 სერ. "ტკბილი, მწარე ცხოვრება" 17.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 18.00 მეხსიერება 19.05 დოკ. ფილმი "სრული სიმართლე კვებისს შესახებ" 19.40 პეპეს ზღაპრები 21.00 სერ. "ტკბილი, მწარე ცხოვრება" 22.00, 04.00 დიალოგი დ. პაიჭაძესთან 23.00 ჩემპიონთა ლიგა 23.40 ჩემპიონთა ლიგა. ბარსელონა-არსენალი 01.40 მოამბე 02.00 მხ.ფ."მე დავიპყარი ციხე-სიმაგრე" (18) (სუბტ.) 05.00 აუდიტორია

08.00, 00.00 მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) 09.00, 23.00 ბრიფინგის დროით 10.00, 22.00 თავისუფალი ტრიბუნა 11.00 პარლამენტის სხდომის ტრანსლაცია 19.00 დოკ. ფილმი 20.00 მხ. ფილმი "პირველი რაინდი" 01.00 მხ. ფილმი "დროის მანქანა"

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. "სასოწარკვეთილი დიასახლისები" 10.00 სერ. "მიმწყვდეული" 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.20 კურიერი 12.30 სერ. "შენ ჩემი სიცოცხლე ხარ" 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 ვანოს შოუ (გან.) 15.30 სერ. "ჩვენი ოფისი" 16.00 სერ. "სიყვარულის საიდუმლო" 16.50 სერ. "მორენას ვნება" 18.30 სერ. "გაორება" 18.50 სერ. "დანიელა" 19.50 სერ."ელენას მოჩვენება" 21.50 ეროვნული ლატარეა 22.00 ვის უნდა 20 ათასი 23.00 დოკ. ფილმი "ჯაზის ლეგენდები" 23.40 ჩემპიონთა ლიგა. შახტარი-რომა 01.40 პატრული 02.00 ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა 02.20 მხ.ფ."დისტანციური მართვა" (18) (კ. დილონი)

07.30 მუსიკა 08.00 ანიმაცია "ბეტმენი" 09.00 სერ. "ჩენტო ვეტრინე" 10.00 გოგიჩას დილა 11.00 სერ."დაუნდობელი სამყარო" 12.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 13.00 "მზესუმზირა" (პირდ.) 14.30 იმედის ფსონი (პირდ.) 15.30 სერ."ორნახევარი კაცი" 16.30 გადაცემა "ტვ-ტესტი" 17.00 მხ. ფილმი 19.00 სერ. "ვნებათა მიწა" 20.00 სერ."დაუნდობელი სამყარო" 21.00 სერ."გაუხსნელი საქმე" 22.00 მხ. ფილმი 00.00 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 10.00 სერ. "სილამაზის მსხვერპლი" 11.00, 14.00, 17.00, 20.00 ქრონიკა 11.40 ტვ-მარკეტი 11.50 სერ. "ბოშები" 13.00 სერ."ლობას საიდუმლო" 14.40 დღის შოუ 16.00 სერ. "მონტეს ოჯახი" 17.40 სერ."სიყვარულის ზღვა" 18.45 სერ."ლობას საიდუმლო" 21.00 სერ. "ქალბატონი" 22.00 ნანუკას შოუ 23.30 "ფეის კონტროლი" 00.30 მხ.ფ."ევროპელი ჟიგოლო" (12) (რ. შნაიდერი) (სუბტ.) 02.15 მხ.ფ. "სიცილიური კლანი" (ა. დელონი) (სუბტ.) 04.10 მხ. ფილმი "საშობაო ამბავი" (პ. კრუსი) (სუბტ.)

08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30 "დრო" 09.00 მუსიკა 09.30, 23.00 სერ. "დაცვის უფლება" 10.30 დოკ. ფილმი 11.50, 21.00 სერ. "იდუმალი სტუმარი" 12.50 სერ."ორმაგი ცხოვრება" 15.00, 18.00 დოკ. ფილმი 16.30 სერ. "ოქროს კერპი" 19.30 სერ. "მომიყევი ერთი ამბავი" 00.00 მხ. ფილმი

ერთსულოვნება

08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00, 19.00, 22.00, 00.05 სიახლენი 10.35 დოკ. ფილმი "ცხრა კოლაელი ყრმა" 11.00 ერთსულოვანი ოჯახი 11.25 დოკ. ფილმი "ათონის ქართველთა სავანე" 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00 საეკლესიო კალენდარი 12.10 ანდრია კრიტელის კანონი 12.30 დოკ. ფილმი "წმინდა ოთხთავი" მე-2 ნ. 13.30 კონცერტი 15.05 ახალი აღთქმის განმარტებანი 15.25 დოკ. ფილმი "ნაძარცვის კვალდაკვალ" 16.30 დოკ.ფ."ველური ბუნება" 17.00 დოკ. ფილმი "მესაზღვრე ბერები" მე-2ნ. 18.25 დიდმარხვის პირველი კვირის საკითხავი 19.15 დოკ. ფილმი "რამდენიმე სურათი ილისა ცხოვრებიდან" 20.00 ანდრია კრიტელის კანონი 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 სალვთისმეტყველო საუბრები 22.20 მგზავრები წუთისოფლისა 22.50 ანდრია კრიტელის კანონი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 დროის ჩანაწერები 00.25 წარმატების ფორმულა

## ოთხშაბათი 9 მარტი

